


သင္က္ခန

လူမှောင်အမျိုးသမဂ္ဂ ဆုကြောဇ်
№၅, ၂၀၁၅

၈၃၃၁၄
ဝေါဒနေ့တွင်
အောင်ဖော်စီ
သူ၏ ရှားမျိုး

ပြောရှိ
ပြန်လည်
အနေဖြင့်
တာရုံမြှောင်





ქეთევან ჯავახიძის ნამუშევრები

რუსულ „ანერლის“ შემომწირველები:
თანე ჯაფარიძე, ჯუმბერ გოგრიჭიანი (კუბა ღებელი),
ნაზი უშიყაშვილი, მავვალა გერმანიშვილი

კულტურულ-საკანცალლებლო საზოგადოება „ანერლის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ნოვემბრის 10-ის სახელმწიფო დღესასწაული კონცერტი

დასრულდა ლიტერატურულ ფურნალ „ანეულთან“ არსებული რევაზი ინანიშვილის სახელობის .ერთი მოთხრობის „ კონკურსი. სულ შემოსული იყო 120 ნაწარმოები საქართველოს სპეციალური კუთხითან.

უიურიმ, რომლის ნევრებიც იყვნენ: მნერალი თამაზ ხმალაძე (თავმჯდომარე), პოეტი და მთარგმნელი ნინო ქუთათელაძე, მნერალი და კრიტიკოსი ნინო ჩხინვალიშვილი, პოეტი ჭუშბერ გოგირიშვიანი (ლებელი), გამოავლინა გამარჯვებულები:

- I პრემია – ლაშა ბიბიჩაძე („ჯარისკაცის დედა“)
II პრემია – ანზორ სიფრაშვილი („ფესვი ვაზისა“)
III პრემია – თინათინ სიყმაშვილი („შიში“)

კონკურსის პრიზიორები გახდნენ: ზურაბ ჯონარიძე, ნინო ჭინჭარაშვილი, თემურ ცერცვაძე, ლევან ლორია. ხოლო კონკურსის ნომინანტები არიან – მანანა დანგაძე, ვაჟა მიროტაძე, ლია წერეთელი, ნუნუ ქადაგიძე, ლელა თოთაძე.

კონკურსის პრიზიორები დაჯილდოვდნენ მხატვრების: რეზო (ემელიანე) ადამიას, გასილ ბოსტაშვილის, ქეთევან ჯავახიძის ნამუშევრებით.

რევაზ ინანიშვილის კონკურსის დამფუძნებელია ურნალ „ანეულის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი თამარ შაიმშელაშვილი. გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ ყოველწლიურად, 20 დუკამბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს.

კონკურსი ტარდება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანაფარმით (თავმჯდომარე ზურაბ ნიკოლაევი).

ლიტერატურულ უურნალ „ანეულის“ რედაქცია მაღლობას უხდის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს თანადგომისთვის.





ანალიტიკური

№ 4. დეკემბერი. 2015 წელი

ლიტერატურული

ე წ ხ ნ ა ლ ი

ჩვეულების განიცდის ჩემი სული	3
ერთი მთხოვთა	
ლაშა ბიბიჩაძე ჯარისკაცის დედა	4
აზერ სიფარაზილის ფესვი ვაზისა	8
თიბისი სიყმაზილი შიში	12
ციცინ ჯერვალიძე – ნიკო თოფურია-95	16
პოეზია	
ბერ ახალია	17
მაია მოუკია	20
პროზა	
ბერ ლამბაძე ბეგლარ	23
ბერ მამალაძე ჩემი სოფელი	25
უნიკალური თოლემისთვის	
თამას ბაჯანძე ფოტოებში გაცოცხლებული სუხიშვილები	27
პოეზია	
ასამი ბერძე „მერე, ზეცაში იწყება კაცი“	29
ილია ტერეზე რეცენზია დავით ჭელიძის წიგნზე	32
ლილიან ლილი კრიფია	
ბერნა ბავალი ელავს სამყარო	35
პოეზია	
თამას შაიხხალაზილი	37
სიუჰი მასხემილი	38
მახაბ მახხველი	40
პროზა	
ნინო ჩეჩივილი ნაწყვეტი პიესიდან „ვანო და შექსპირი“	42
პოეზია	
ლანა მოლებაძე	46
პროპარტი	
თაფლო ზაჟიძე როგორ გაჩნდნენ ღამის პეპლები დედამიწაზე	47
პროზა	
ანა უჩაშვილი შოკოლადის ნაყინი, სახელად „სიკეთე“	49
სტუმრად ფონიჭალის უსინათლოთა კულტურის სახლში	51
უსუსაფრია	
მაყვალ ბერძანიშვილი „შექი სულისა“	52
ლალია ბერძანიშვილ ირიოდე სიტყვა ქეთევან შენგელიას პოეზიაზე	55
თამას მიუკა მცირე მოგონება	58
ბურლი უმის წიგნადან	
ჯამბა აიშაურიანი ფაქსი ვილენ მარდალეიშვილს	60
დასმახსოვრებელი შეხვედრა ტიბაანის საჯარო სკოლაში	61
თარგმანი	
მარინ სვატურავა პოზია (რუსულიდან თარგმნა მარინა გოგოლაშვილმა)	62
ჯონ კლეინი ხეების დარგვა (ინგლისურიდან თარგმნა მანანა დუმბაძემ)	66
მსაცირმა ქეთევან ჯავახიძის ნატიფი სახისმეტყველება	67
ერთი ლექცია	
ჯამბა ლაბალი შენ ზარ	68
ღიმიუფრი	
მარიამ ბერძანი	68
ჭავავან სხალაძე	69
ლალია ბერძანიშვილ კიდევ ერთხელ პანტომიმის თეატრის შესახებ	70

აკლუსიურ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ეუქნაღ „ანეულთან“ ახსებელი
ღიაქეჩატურელი გაერთიანება:

თამარ მიქაელ
ლეილა ქილოშვილი –
სახლთხუციშვილი
თემურ ჩალაგაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხილაშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებალი
ჯუმბერ ჯიშპარიაძე

მთავარი ჩედაქუმრი

თამარ შაიშვილაშვილი

პასეხისმგებელი ჩედაქუმრი
სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიორჩი ზურბული

კომპიუტერი უზრუნველყოფა

გოჩა სოჭიაშვილი

გახეკანზე: ქვთი ჯავახიძე – „ბობონა ციხით“

ჩედაქუმრის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ეუქნაღში გამოქვეყნებულ მასალებზე პასეხისმგებელია ავტორი

հՀՅԱՅ ՈԵԱՅՈԹՅՈՅ

რას განიცდის ჩემი სული...

„ჩემი წერითი კულტურის შემუშავებაში გაღრმავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის შოპენს. აბსოლუტური სიზუსტე და მეტყველების სიცხადე, თავგანწირგამდე მისვლა ყოველივე ამის განხორციელებისათვის... ასეთია შოპენი ჩემთვის“.

„თუ მწერლობა მიატოვებს ბავშვებს, მოხუცებს და უმწეოებს, იგი მოსწყდება მიწას, ვითარცა ანთეოსი და დაკარგავს თავის კეთილშობილური ძალას“.

„ბედნიერი მწერალი... ცოცხალი ბედნიერი
მწერალი უკვე საცოდაობაა... იგი უკვე მოწყვეტილია
მთავარს – ჭეშმარიტების ტანჯვით მაბიძებელ
სულს, იგი უკვე აღარ განიცდის სხვათა მოთქმა-
გოდებას, აღარ განიცდის მათ მარტობას“...

„ყალბი მოკრძალების გარეშე შემძლია ვთქვა
რომ მე უკეთ და უკეთ ვწერ, მაგრამ უფრო და
უფრო მინხლდება დროის გამოგლევა წერისთვის.
დილიდან საღამომდე სამსახურში ვარ, აქ რომ
არ ვიარო, შიმშილით ამომხდება სული. ჩემს
მოთხრობებში 15-20 მანეთს მიხდიან. ამ 15-20
მანეთის მიღებაზეც უნდა დაგანთხევინონ სისხლი“.

„ვაი, ჩემო დაღალულო მხრებო, რა ამაოდ გვიზიდნია სიმძიმეები უდრტვინველად! მივდივარ ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში და დუღუნით ვთხზავ რეკვიემს“...

„არავის უნდა მებაღე? ო, რა სიამოვნებით
მოვუკლიდი ყვავილებსა და ზებს. რა სიამოვნებით
მოვრწყავდი კალებს, რა სიამოვნებით ჩავჯდებოდი
ჩრდილში“...

„მე მოწოდების მწერალი არ ვარ. მამუშავეთ, თუკი საზოგადოებას სჭირდება, გნებავთ – ქვის მთლელად, თავისუფალ დროს კი მაწერინეთ, რას განიცდის ჩემი სული...“

„დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი, მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემიძლია აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთის შესკოდმაც და –

მოძრაობები, ხმები, ფერები, სახეები, სუნი. უთუოდ
იყითხავთ, მაშ, რატომ არ აკასხავ ასევე. გიპასუხებთ;
არ შეიძლება, არ შეიძლება არც დადებითი, არც
უარყობითი ემოციების აღმდვრელი მოვლენების
გარკვეული ზღვარის იქით ჩვენება. რატომ? ეს
მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის “...

„მოიცათ, კველანი ერთად ნუ ჩამახით – ქვეყანა
წაწყმდა, დამყაყდა, ინგრევა და თავს ვუშველოთო...
მე ვერსად გავიქცევი, მე ხვალაც უთენია ვარ
სამუშაოზე წასასვლელი, ლობიო და სიმინდი მაქსე
მოსარწყავი. ნება-ნება უნდა მოვრწყა, თორემ თავქვეა
და დახრამავს წყალი. არ მოვრწყა ლობიო და
სიმინდი, ხალხო? თქვენი საქმისა თქვენ იცოდეთ, მე
კი მითხარით, არ მოვრწყა ლობიო და სიმინდი“?

„մյ մասնց ցափուրցեցն լու կեռարկեցին նպազոյ զար. յալայագ զօյազո ու սոյզլագ, ան շմեսաեղոնձու, ան ցլցենցը սամեց զայտութձու պացալցարո Շերձատեցին ցարեմք. րաց առ սենց վոցն մյոնոնց վասակոտեօ, անցա դասաբյերո, մյ մատ ցթուցեցու, րատա դրոնք մոմինցա հիմո սամեսաեղուրու հնիսա ու զենախուսատցուն.

კვიქრობ, აქედან მოღის ურლვევი ჩვევა, სწრაფად წავიკითხო ჩემი წასაკითხი, სწრაფად ჩავიწერო ჩემი ჩასაწერი. დღესაც მუდმივად მდევს რაღაც გაფრთხილება, რომ მე უფლება არა მაქვს, მთლიანად მივეცე კითხვასა თუ წერას“.

„ოქენე შეგიძლიათ თვით ჩემი თანდასწრებით
ლანძღოთ ქართველი ხალხი, იმის გამო, რომ იგი
მარცხენა ხელით მუშაობას არის ჩვეული, და
მომზვეჭელობაზე დახარბეჭულს გაჭუჭყიანებული
აქვს სული. მაგრამ მე უფლებას არ მოგცემთ,
იგივე გაიძეორულ ერზე, ქართველ ერზე... ხალხი
ესაა, რასაც ახლა უყურებთ, ერი კი სხვაა, ისაა
მთლიანობა ხალხისა და დროისა, რომელიც
საუკუნეებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ ...”

„შენ იყავი პირველი მწერალი ქვეყნისებაზე, შენკენ იშვერდეს ყოველი გამვლელი თითხ, აგერ, ის, აგერ ის, შენ იყავი უმდიდრესი, უძლიდნიერესი ამ სიმდიდრით. მე მირჩევნია, უცნობად ვიჯდე ვაგონის ფანჯარასთან და როგორც ირგვლივ ვველას, რაღაც პატარა ცნობისწადილი მეგდას თვალდებში“...

ჯარისკაცის დედა

წერილი 1

დღეს პირველად მოგხვდი სამხედრო მანქანაზე. უცნობი მიმართულებით მივდივარ. პერიოდულად ქართული სიტყვები მესმის:— სოხუმი... საქართველო... ომი... ბოზისშვილები...

მებრძოლები არიან ჩემ გვერდით, ყველანი სხვადასხვა ხასიათის, მშარ-ბეჭის, რელიგიის და ასე შემდეგ. მარტო თვალები აქვთ ერთნაირი, მშიერი ნადირის თვალები, რომელიც მსხვერპლს კი არ ექცეს, არამედ იცის, საღაც არის და კისერში ეშვებით უნდა ეცეს. ერთი ჩვენი მეზობელია. ნანა დეიდა თუ გახსოვს, მეწალის ცოლი ნანა დეიდა, აი მისი შვილი, გიორგი. მე ვერ ვიცანი, თვითონ მიცნო. სულ სხანაირია, გამზდარი, უხეში, დიდი წვერით და გადაპარსული თმით. ტყიან მთაზე მთვარის ამოსვლას ჰგავს, რაღაც იდუმალი და შიშისმომგვრელი გამომეტყველებით რომ მოგაჯადოებს. უყურებ და ტანში გზარავს, თუმცა არ გინდა თვალი მოაცილო. გაუკვირდა, რომ დამინახა, სომქეს რა უნდა ქართულ ომშიო. გვერდით მომისვა და ბავშვობის ეპიზოდები გამახსენა. დიდი სატვირთო მანქანაა, ჭერი არ აქვს და ღრუბლებს ვუყურებ, თუ როგორ მოგვყვებან და ჩვენამდე წასული ბიჭების დედების სამოსით შავდებიან გზადაგზა.

არ ვიცი, რა ადგილას მივდივართ, მხოლოდ ის ვიცი, იმ წერტილს ომი ჰქვია. ის წერტილი ცხელიან და საღაც ცხელი წერტილია, ის ქალაქი შეიძლება მრავალწერტილი გახდესო. ავტომატი მომცეს, საკუთარი თავივით მოუფრთხილდით. ჯერ ის ვერ გავიგე, თავს უფრო უნდა მოვუფრთხილდე თუ ავტომატს. სროლაც კი არ ვიცი ნორმალურად. არა, მე ვერავის გავიძეტებ მოსაკლავად. მუხლამდე ფეხსაცმელები და სამი ზომით დიდი ფორმა ჩამაცეს. ორი ნახვრეტი აქვს მუცელთან და ერთიც გულთან. გვარი ეწერა, ის ააძრეს და საგანგებოდ დამზადებული ჩემი გვარი „აკოფოვი“ დააკრეს ზედ. ჩვენს ბატალიონს „ღამურები“ ჰქვია. ჩექმები მუხლებში მახრჩის, ორი ზომით დიდია, თუმცა ეგ არაფერი, თუ დიდხანს დავყავი ომში, ფეხიც გამეზრდება, თუ არა და, მაღლე გავიხდი და ისევ ფეხშიშველი ვივლი ჩვენს სახლში. მე წავედი... მეც მათნაირი მებრძოლი ვარ... მებრძოლები ომში იბადებიან... მე ბრძოლას ვისწავლი... ომში მხოლოდ მკვდრები იმარჯვებენ... უნდა გავიმარჯვო...



წერილი 2

არ ვიცი, საიდან დავიწყო. აქ ყველა წერს ვიღაცას წერილს, ზოგი ცოლს, ზოგი მშობლებს, ზოგი შეყვარებულს. მე, მე კი ისევ შენს სახელზე დავწერ. ომის დროსაც რა ლამაზი ყოფილა აფხაზეთი. რაც აქ ჩამოვედი, პირველად მომეცა დრო, რომ დავწერო. საოცარია ეს ზღვა, მზის ამოსვლისთანავე იწყებს ხმაურს და დაღამებამდე ცელქიბს სახლიდან სათამაშოდ გამოპარული ბავშვით. მერე ტალღების ხმაურს სამხედრო მანქანების გრგვინვა და გემების საყვირები ერთვება. ეს რაღაც საოცარ მუსიკას ქმნის, მე ამას ბაბილონის სიმფონია დავარქვი. შიგადაშიგ უუბიარის აფეთქება დრამის შემოსვლას ჰგავს კომპოზიციაში. ბაბილონის მუსიკას მხოლოდ ომის დროს თუ მოისმენს ადამიანი, მერე ამ ხმას ისე ეწვევა, სხვას ვერაფერს დაუგდებს ყურს და სიჩუმე მომაბეზრებელიც კი ხდება. დედა, აქ ჯოჯოხეთია! კლავენ, იპარავენ, მტრის და მოყვასის სიყვარულს რომ თავი დაგანებოთ, ბავშვებსაც კი არ ინდობენ, გესმის?!

სიკვდილს რომ სუნი ჰქონია, იცოდი?! — იცი როგორი? მონატრების მარილიანი ცრემლი, სანგრიდან ამოყოლილი მიწის მტვერი, ჭრილობაზე დადებული ბალახის სიმწარე, თუთუნი ძალიან ცოტა, კისერში დაგროვილი ოფლი, ბევრი სისხლი და ღმერთის სიბრალული გემოვნებით — ეს ყველაფერი ერთ დიდ ქვაბში უნდა ჩაყარო, მერე ქალაქის თავზე შემოდგა და ქვემოდან ცეცხლი შეუნთო. ყველაფერი დაწვა, რაც ხელში მოგვება, ხეები, სახლები, სათამაშოები, მანქანები, ეკლესიები თავისი მღვდლებით, აკვინინი დედები და კედლებზე დაკიდებული სურათები. ალბათ, ღმერთი ზის მაღლა, რომელიდაც შავ ღრუბელზე, ჭექა-ქუხილის ყვითელი ჯოხით ურევს ქვაბს, შიგადაშიგ წვიმას ჩამატებს, ვაი და, კერძი სახელად „ომი“ არ ჩამეხრაკოსო. ცალი თვალით აკვირდება ათასგვარ სიკვდილს, გვერდით დიდი, ორ ნაწილად გაყოფილი საანგარიშმ უდევს და ითვლის მკვდრებს, გაჰყავს ასე დრო. მასაც ხომ სჭირდება გასართობი.

მე ამ დროს გულის ჯიბით შენს სურათს ვატარებ, თუ ტყვია მაინცდამაინც გულში მომარტყეს, ჩვენ ერთად გარდავიცვლებით, ღმერთის სათამაშოზე კი კიდევ ერთი კოჭი გადაინაცვლებს საპირისპირო მხარეს. თუმცა, მანამდე უნდა გამოვტყდე, ეს სამნელებაც კი ვერ ფარავს იმ მონატრებას, რასაც შენ მიმართ განვიცდი. ალბათ როდესმე შევწვდებით (ზარენი).

1992 წელი, 22 აგვისტო

წერილი 3

მოწევა დავიწყე, იცი? სიგარეტს თუ ვიშოვი, ქალალდიც დამრჩება წერილების საწერად. ერთი გურული ბიჭი გვყვავდა „დამტურებში“ და აფხაზებს პპარავდა თუთუნს. უხსენებელს ეძახდნენ, ქეეწარმავალივით გაწვებოდა და მისრიალებდა მიწაზე. დაზევერვაში იყო განწესებული. ბალახებში ცვარივით იკარგებოდა, რამდენიმე სათში კი უკან ჯიბეებგამოტენილი ბრუნდებოდა. სამი დღის წინ ისევ გამოგველია სიგარეტი და გურულმაც საკუთარ თავზე აიღო ჩვენი მომარავება... ჩვენ სამი დღეა აღარ მოგვიწევია, უხსენებელს კი ლოცვაში იხსენიებენ.

კიდევ ერთი მეგობარი შევიძინე, ვაჟა პეტრი. როცა მე, ვაჟას და გიორგის ერთად გვხედავნ, მუშკეტერების გეშინოდეთო, ამბობენ ბატალიონში. დღეს ტყვიები გამოგველია და ცარიელი ავტომატებით სიარულს ლოდინი და ცოტა სულის მოთქმა ვამჯობინეთ. არც ის ვიცით, როდის შეგვაიარალებები ხელახლა. ზღვის პირას გავედით. ერთი ნაძვარი ამოვარჩიეთ და გასაყიდად გამოტანილი თევზებივით მივწექით ერთმანეთის გვერდით. სამივე მღვრიე თვალებით აკვერებდით ცას და ვაკვირდებოდით ახალშობილი ვარსკვლავების სიმრავლეს. არადა, ისინი ვარსკვლავები კი არა, ტყვიები იყო. აფხაზების ციდან რომ მოწყდებოდა და სურვილის ჩაფიქრებას ვერ მოასწრებდა, ისე გაუხვრეტდა გულმკერდს რომელიმე უბედურს.

ვაჟას სისუფთავე და წესრიგი უყვარდა, არასდროს არაფერი წაუსვამს სახის შესანიღბად და სანგრიდან ამოსული ყოველთვის ნერწყვით იწმენდდა ტანსაცმელს. ამბობდა, სომეხი აქ არ მოკვდება. ან თუ მოკვდა, საიქიოს ავლაბარში მოხვდება.

უცცე ჩემსკენ გადმობრუნდა და მეკითხება:

- ზარენ, იცი რა არის ომი?
- ომი... ომი! – ზედმეტად დამაჯერებლად ვუპასუხ.

– ძმაო-ჯან, ომი ბიზნესია, ერთეულების ბიზნესი. ზარენ, ჩვენ გაზაფხულზე წამოყინჩულ ბალახებს ვგავართ, სიმინდის ჩრდილში ვიზრდებით. მერე სიმინდს რომ ნაყოფიერება მეტი ჰქონდეს, ჩვენ

გამოგვხმირავენ, ფესვიანად მოგვთხრიან, ჩვენს ბედეზე ნაკელს მოაყრიან და იქ, ზემოთ, მხოლოდ რამდენიმე ტარო შეინარჩუნებს სიცოცხლეს.

– ეპ, ერთდროულად ამოვიზენებეთ მე და გიორგიმ და გავჩუმდით. ნახევარი სათი არცერთს ამოგვიღია ხმა. მხოლოდ ზღვის ღელვას ვაკვირდებოდით. შორიდან, სიღრმეში მოკრევდა ძალას, მერე ტალღებით სანაპირო ზოლს გადაუვლიდა და ისევ უკან ბრუნდებოდა ახალი იერიშისთვის. თითქოს სისხლი უნდოდა მიწიდან ამოერეცხა.

– ბიჭებო, – განაგრძო ვაჟამ, – ჩვენ სახლებიდან აფხაზეთიანი საქართველო გამოგვატანეს და სახლებში ხელცარიელები ვერ დავბრუნდებით, გესმით? ვერ დავბრუნდებით პირში ჩაგუბებული მამაო ჩვენოთი! ზარენ, დედას წერ, არა? ბიჭებისგან მოკითხვა გადაცი... ერთი თბილისში დავბრუნდეთ და ხომ გაგვასინჯებ დედაშენის გაკეთებულ ტოლმას?

– კი, მეთქი... შევპირდი.

1992 წელი, 15 სექტემბერი

წერილი 4

ბრძოლა გაგრის ასალებად დილიდან დაიწყო. აფხაზმა სეპარატისტებმა შეტევა გუდაუთის მხრიდან, სოფელ კოლხიდიდან განახორციელეს და აიღეს კიდეც. თავდასხმები აბსოლუტურად ყველა მხრიდან მიმდინარეობდა. გაგრის და ჩვენი სამხედრო მეთაურები დაუკავშირდნენ თბილისს და შეატყობინეს საგანგაშო სიტუაციის თაობაზე. მათ შეტევის მოსაგერიებლად ვერტმფრენი და ავიაცია მოითხოვეს. თბილისიდან კი მორიგი, ტრადიციული ფრაზა გაისმა: „როგორმე გამავრდით!..“ ამ დროისთვის გაგრაში მოწინააღმდეგის ძირითადი დამრტყმელი ძალა ქალაქის ცენტრში გამავალი ერთადერთი გზით შემოვიდა.

ერთი დღე და ღამე ვიბრძოდით. ბოლო ძალებიც ამოგვეწურა, მთელი ქალაქი აფხაზეთის დროშებმა შეფუთა და გაგრა ისე მარტივად გაქრა საქართველოს რუკიდან, თითქოს მაკრატლით ჩამოეჭრას ვინმეს.

არ მახსოვს, რა ქუჩა იყო, რამდენიმე მეომარი, მეთაურთან ერთად დაცლილ სახლში შევედით, რომ საკვები მოგვეპოვებინა. მაგიდაზე წერილი დაგვხვდა:

„მამა, აქ ისვრიან, მეზობელი სახლები დაბომბეს ქართველებმა. ჩვენ რატომ გვესვრიან, მამა? მე და დედა მივდივართ, შენ ეს წერილი აუცილებლად უნდა ნახო, დეიდასთან მოგვებნე თბილისში. ჩვენ ძალიან გვიყვარსარსარ“ (31 სექტემბერი).

სამწუხაროდ, მამამისი ვერ ნახავს, ვერ მოძებნის საკუთარ ცოლ-შვილს, რადგან სახლის უკან ვიპოვეთ ჩაცხრილული კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა საოჯახო ფოტოზე ასახულ ერთადერთ მამაკაცს.

დედა, ახლა უნდა დაგემშვიდობო. ერთადერთი, რასაც ვნატრობ, ისაა, რომ მეც შემძლოს შენგან წერილის მიღება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. ნახვამდის...

1992 წელი, 2 ოქტომბერი

წერილი 5

კელასურის პირას გაგვამწესეს. დამის სამ საათზე ჩავედით და მდინარით გამოპარულ დევნილებს ვეხმარებოდით. აქეთა ნაპირიდან „ლამურას“ მებრძოლები ვამაგრებდით და იქიდან სულ უცხო კაცები ცდილობდნენ მშვიდობით გადმოგვეყვანა ხალხი ფონს. რამდენჯერმე მომიწია მდინარის გადაცურება-გადმოცურვა. აფხაზეთის მხარეს ერთი მღვდელი იდგა, ნავში ჩასხდომაში ეხმარებოდა ქალებს და ბავშვებს. როცა ყველანი გადმოვიყვანეთ, ბოლოს თავადაც გადმოვიდა, წვიმამ მოვევისწრო და მთლიანად დაგვასველა. ტყეუში შევედით, მყუდრო ადგილი მოვტებნეთ, ცეცხლი დავანთეთ, წვიმით და სისხლიანი მდინარით გაუღინოთილი ტანსაცმლის გაშრობას ვცდილობდით. რელიგიაზე ჩამოვარდა საუბარი. მე ვთქვი, რომ მონათლული არ ვიყავი. ამის თქმა იყო და გიორგიმ მამაოს გადაზედა, მერე მე, მერე ვაჟას, სხვა ბიჭებსაც ჩამოურიგა სათითაოდ კითხვაჩაბუდებული მზერა, მომიძრუნდა, მხარზე მაგრად დამარტყა წელი და ყველას გასაგონად თქვა:

— დღეს გვაქვს პატივი, მოინათლოს ზარენ აკოფორვი. აგერ მდინარე და აგერ მღვდელი, ნათლიობას კი არცერთი დაგამადლით.

იმ ღამეს ვაჟა და გიორგი ჩემი ნათლიები გახდნენ, აწი მეც ჭეშმარიტი ქრისტიანი მქია. კელასურმა მისი სუფთა სული, ცივი გონება, ჩქერის სისწრავე, აზროვნების სიღრმე და მეომბრისოვის სხეულის ხიდად გამოყენება გადამდო. ეს ისეთი ამაღლელვებელი იყო, ვიცი, აქ რომ ყოფილიყვავი, არც შენ დაგტოვებდა დედა უცრემლოდ. ალბათ შენც ინატრებდი მირონცხებას.

1992 წელი, 17 ოქტომბერი

წერილი 6

მე დაჭრილი ვარ, უკვე ერთი კვირაა ვწევარ, წერის თავიც კი არ მქონდა. ალბათ, უკვე რამდენჯერ ეყოლებოდა დედას ჩემნაირი შვილი გამოტირებული. ნაღმზე ავფეთქდი და სამი დღის შემდეგ მოვედი გონს ფოთის პოსტიტალში. თერთმეტი ნაკერი ფეხზე, ორჯერ მეტი მუცელზე და სახის მსუბუქი დამწვრობა... გადაკეთებული ადამიანი ვარ. ომისთვის აღარ გამოვდგები. ხანდახან საკუთარ თავზეც კი მეკარგება კონტროლი და გაქცევას ვცდილობ, თუმცა ვერ ვიძვრი საწოლიდან. საშინელ სიზმრებს ვხედავ, თითქოს კატები მოდევენ და ომის ხმაზე კნავიან. იმ მელოდიას გამოსცემენ, მე რომ ბაბილონის მუსიკა

დავარქვი.. გავრბივარ, გზა მთლიანად გველის ტყავივით ჭრელია და ფეხი მიცურდება მასზე. შავი, ლორწოვნი სისხლი მდის ჭრილობებიდან. სადღაც შორის შენი სილუეტი გამოჩნდება ხოლმე, გაშლილი თმები გიფრიალებს და გულზე ქინძისთავით გაქვს ჩემი სურათი მიმაგრებული. გიახლოვდები და როცა ხელისგაწვდენალა მრჩება, რომ შეგეხო, თითქოს რაღაც ბლაგვი საგანი მხვდება თავში და გონებას ვკარგავ. არ მეუბნებიან, როდის გამწერენ. არც ყურადღებას მაქცევს ვინმე ნორმალურად. რომ შეგეძლოს, ვიცი, აუცილებლად ჩამოხვიდოდი და სასოფლოან გამითვდი ღმეუბს.

1992 წელი, 30 ოქტომბერი

წერილი 7

დღეს პოსპიტლიდან გამოვიპარე, გაგრაში ჩავდი. ღამეა, ქუჩაში დაკამიდიალებ. ტროტუარზე შავი აჩრდილები დაძრწიან, მხოლოდ ზღვის ნაპირია თეთრი. ბებოს გაკეთებული ნადულივით თეთრია და სქელი. მე ვიცი, ამ ქალაქში ნაძვებს სახალწლოდ არავინ მორთავს. არც იღორის ზარები მიულოცავენ ოჩამჩირეს გიორგობის დადგომს. ხელში არყის ბოთლი მიჰირავს, ნახევრად ცარიელი, ან პირიქით, ნახევრად სავსე, სულერთია. ვწერ და ვფიქრობ, რომ ამ წერილს აუცილებლად დავწვავ, ამ წერილს დავწვავ. მარღვებში არაფერი მოძრაობს სისხლის მსგავსი, ჩემი კაპილარები გაგრასავით გაძარცულია და, როგორც ყუმბარების ხმით ვგებულობ, რომ ამ ქალაქში ვიღაც იბრძვის გადარჩენისთვის, ისე მამცირის გულის ძლიერი დარტყმა შიგნიდან, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

ხშირად ვფიქრობ ამ ყველაფერზე, რატომ? ეს ხომ ჩემი სამშობლო არაა? სანამ აქ ჩამოვიდოდი, არასდროს მიფიქრია ეგ, შიშმა მაიძულა აღბათ. არადა, არც გაქცევა და მითუმეტეს არც სახლში დაბრუნება გამივლია გუნებაში. არადა, როგორი შეხვედრა იცოდი, როცა დიდი ხნის უნახვი მოვდიოდი შინ. მე არ ვიცი, ეს ჯოჯოზეთი როდის მორჩება. აქ ომია, სანგრებს თხრიან გადასარჩენად. მიწაში კაცები ჩადიან და მიწიდან კაცების ადგილას ნის ჯვრები იზრდებიან. ეს ღამე სანაპიროზე უნდა გავათენო. მე აქედან ვიფიქრებ შენზე, შენ კი...

1992 წელი, 4 ნოემბერი

წერილი 8

ისევ გაგრაში ვარ. ქუჩაში დავიპარები. ვინმეს რომ არ დავენახე, სკოლის შენობას შევაფარე თავი. სრულიად მარტო ვარ. ნეტავ, ამ სკოლაში ზარი როდის დაირეკა ბოლოს? აღბათ ის ზარი არც გაკვეთილის დაწყებას და არც დამთავრებას არ იუწყებოდა, ის იქნებოდა ზარი განგაშის. ერთ-ერთ კლასში შევიხედე და დაფაზე დიდი ასოებით

წარწერა დამხვდა: „ჩვენც ქართველები ვართ!“

ყველანი შატალოზე იყვნენ, მოსწავლებიც, მასწავლებლებიც და დირექტორიც – იყვნენ იძულებით შატალოზე. ფანჯარასთან მივედი. ჩამსხვრეული მინის მიღმა ჩამსხვრეული საქართველო ჩანდა. იმ დღეს არცერთი ფრინველი არ სერავდა აფხაზეთის ცას.

მას. სავარაუდოდ, მალე ომიც დამთავრდება და უფრო გამიოლდება პოვნა. დღეიდან სხვა მისია აღარ მაქვს. წარმატება მისურვე. ნახვამდის.

1992 წელი, 7 ნოემბერი

საქართველო, თბილისი, 2015 წელი, 11 აგვისტო

უეფას სუპერთასის მატჩი, ბარსელონა-სევილია. თამაშზე დასასწრებად საქართველო-აფხაზეთის საზღვარი „უკანონოდ“ გადმოკვეთა რამდენიმე ახალგაზრდამ. მეორე დღეს ისნინ თბილისის რუკით ხელში ქუჩაში დადიოდნენ და ეძებდნენ ბელინსკის 107-ს.

შუადღისას თანმხლებ ქართველთან ერთად
მიადგნენ წითელი აგურის სახლს. კარი მოხუცმა
კაცმა გააღო. ეს კაცი, ვაჟას მამა იყო. გრძელ,
სარეველასავით გაუხეშებულ წვერში ოცნელიან
ტკივილს მალავდა. ბიჭებმა საგანგებოდ ჩამოტანილი
ჰატარა დასტა მიაწოდეს. დასტას თავზე გახუნებული
სიგარეტის ქოლოფე ეცო.

სტუმრების მონაცემლიდან გაირკვა, რომ ზარენი ერთ-ერთი მათგანის მამას მოუკლავს 1992 წლის 11 ნოემბერს. ცხედარს რაც თან აღმოაჩნდა, ყველაფერი წაუკითხავს და სამუდამოდ ჩარჩენია დარღად, როგორმა უნდოდა დანაშაული გამოისყოდა.

ცოტა ხანში ბიჭები ვაჟას მამასთან ერთად
მეორე მისამართის საძებნად გაემართონ. იტალიურ
ეზოში ერთი ქალი აღმოჩნდა, ვისაც სომეურ
ოჯახზე შეეძლო მოყოლა. რა თქმა უნდა, ზარენი
აფხაზეთის ომიდან დაბრუნებული არავის უნახავს.
ქალმა ასწავლა საფლავი, სადაც ზარენის დედა იყო
დაკრძალული. ყველაფერი ბედის ირონიაა. ვაჟა და
ზარენის დედა ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის
დაშორებით ავსებდნენ კუკის სასაფლაოს მიწას.

„ვაჟა ოლეგის ძე ნადირაძე (1972-1992)“ – ამ საფლავიდან ღამის 2 საათზე თბილისის ზეცა გახსრიერა აკტორამაზე ის ტყიად, სახელად „ნათლიად“....

„ზაირა კოსტას ასული აკოფოვი (1950-1989)“
– როგორც აღმოჩნდა, ზარენის დედა აფხაზეთის ომის დაწყებამდე 2 წლით ადრე გარდაცვლილა. ზარენი კი წერილებს განსვენებული ქალის სახელზე წერდა. ამიტომ მათზე არც მისამართი იყო მითითებული და არც არავისთან გამოუვზავნია ომიდან.

მეორე დღეს, აფხაზეთში დაბრუნებული ბიჭები სეპარატისტებმა დააპატიმრეს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და თავისუფლებისთვის დაღუპული აფხაზების შეურავხყოფის ბრძოლით.

1992 წელი, 5 ნოემბერი

၆၂

օւրօ? Իշենո ձաტալօնին չարուսէ կապօ զնաեց Շըմթէց զատ. Ծակուլու ոյս դա մասաւ ամ Տյուղօնեցուն Մշմուցարեծնա տարօ. Տնիքնա այ Ծակուլու է յիմնու մռացլամդւ. Տամնո յոյցուլան Ծարհենուլու դա Տևոն ոմթու ցածրնեցնուլան, ամ Տավալունեցուն զո Արշ յիմնու մռացտեաց դա Արշ Ռոմելումի մշակուարն. Արութա արապու ճաշալուցոնց. Ռողորնց զո Տաշիարն Շյելու, մռմուցա, Ռապ հիմո Կուսենիթալթու յոյցնուն գորոնս ցածրականէ.


– ზარენ, ჩვენ ერთად სანატორიუმის შენობაში ვიყავით შეეფარებული და იქედან გხსნიდით ცეცხლს. თვითმფრინავმა დაგვბომბა. გიორგი და კიდევ ერთი ადგილზე დაიღუპა. ვაჟა მძიმედ დაიჭრა, ალბათ ახლა ცოცხალიც არაა. აი, ეს დამიტოვა, ვინმე ისეთს მიეცი, ვინც უკნებელი გააღწევს აქედანო. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფთა ამოიღო და მომაწოდა. გავხსენი. კოლოფთში ავტომატის ტყვია იღო და წერილი. ტყვიაზე ლურსმნით ამოკაწრული სიტყვა: „ნათლია“.

უცებ თვალებში დამიბნელდა. მეორა ტყვია ხელში კა არ მეჭირა, არამედ გულის ყველაზე ღრმა კედელს მოხვდა და მთელი ორგანიზმი დაუშვნა- მეთქი. შემდეგ ცოტა გონიერ მოსვლა ვცალე და წერილის კითხვაზე გადავველი:

„არ ვიცი, ეს ფურცელი ვის ხელში მოხვდება. იქნებ არც არავინ გამოუჩნდეს წამკითხავი. თუმცა, მე მაინც ვწერ. მოძებნეთ ზარენ აკოფორი. თბილისი, ავლაბარი, სომხეური თეატრის უკან, იტალიურ ეზოში უნდა ცხოვრობდეს. ან გაგზავნეთ მეორე მისამართზე: თბილისი, ბელინსკის ქუჩა 107. იქ ჩემი ოჯახი ცხოვრობს და თავად მოძებნიან ზარენს. ახლა კი ადრესატს:

ზარენ, ჩვენ ომში გავიცანით ერთმანეთი, ნათლიად ამირჩიე და მეგობრად. ახლა ბოლო თხოვნა უნდა შემისრულო. მოქმებები ჩემი საფლავი, დაღამებას დაელოდე და ეს ავტომატის ტყვია ცაში ისროლე. მერე, როგორც იმ ღამით მოწყვეტილ ვარსკვლავზე, ისე ჩაიფიქრე, რომ ოდესმე კვლავ შეახვდებით ურთმანეთს. „შენ ვაჲ ნათლია“.

გაუგებრობამ შემი პყრო, აღარ ვიცოდი, საით
წაგსულიყავი, სად მომექებნა ვაჟა, ცოცხლებში თუ
მკვდრებში. დედა, მე აუკითლებოდა უნდა მივაგნო



ଓଡ଼ିଆ କାନ୍ତିଶା

გეგენა სოფლის თავში ცხოვრობდა, მთის
კალთაზე, საიდანაც აღაზნის ველიცა და მის
იქით ლურჯად აზიდული თეთრთავიანი მთებიც
ისე მშვენივრად ჩანდა, რომ ადამიანს მათი ცეკვა
არასოდეს მოსწყინდებოდა. უახლოესი მეზობლის
სახლი კარგა მოშორებით იდგა, ათი წერთი მაინც
იყო სავალი, იქნებ მეტიც, რადგან გზა წვიმებისგან
ჩახრამული იყო და კაცს დიდი ოსტატობის გამოჩენა
დასჭირდებოდა, რომ აკაკის ზეებით დაჩრდილულ,
ნიადაგ სველ მიწაზე ფეხი არ აკურებოდა.

სამაგიროდ, მშვენიერი სამანქანო გზა უდგებოდა
აღმოსავლეთიდან და ოოცა რაიმე ტკირთი
პჟონდა მოსატანი, შემა იქნებოდა, თავის ვენახში
გამოთიბული ბალახი თუ ყურძნით სავსე გოდრები,
გეგენას სულ იმ გზით მოპტონდა ხოლმე.

ეს ორი წელია ახალი მარნის აშენება და
ქვევრების ჩაყრა მოიწადინა. ვენახი მეზუოთ წელში
გადავიდა, მსემლიარობას უძარა და შარშანვე ძლივს
ჩაეტია იმ ქვევრებში, რომლებშიც ჯერ კიდევ
მამამისი წურავდა. წელს ვენახს უკეთესზე უკეთესი
პირი უჩანდა, მტევნების სიმძიმისგან ვაზები ლამის
ძირს გართხმულიყო, და ცხადი იყო, მოსავლის
დაბინაგება ნამდვილად გაძნელდებოდა.

ამიტომაც იყო, რომ აგვისტოს ერთ კვირა დღეს
გეგენა ბოლდისხევში გადავიდა, ძველი ნაცნობი,
მეთუნე იაკობა ინაზელა, სამი ორმოცხაფიანი ქვევრის
გაკეთებაზე შეიპირა, ფასზეც მოურიგდა და მეორე
დღეს დილიდანვე იმ ადგილის მოსწორებას შეუდგა,
სადაც მათ ჩაყრას ვარაუდობდა. ცოტა კი უჯიკლინა
ცოლმა, რაღა დროის შენი მძმე მუშაობაა, მაგ ხელა
ორმოს ამოღებას ხო არ ეხუმრები, მოგკლავს, შე
საცოდავოო, მაგრამ რომ ვერა გააწყო, საგარეოდ
გამოეწყო და მეზობელ სოფელში გათხოვილ
ქალიშვილთან წასასვლელად მოემზადა, თან დაუბარა,
პატარა გოგო ავადა ჰყოლია, მე აღბათ სამ-ოთხ
დღეს დაგრძები, შენ კი მუშაობით თავი არ მოიკლა,

Եթուա-Եթուրաց գատացնեց, Եզալ աճա չեց տռնու Տասակուրցձլաց Համքենիմ շոնա ջոինո Խամունիանեց, Սակոմյունո Քամեց, մացուցանցուց ցացմինհաց և մացուցարժուց Շեցաց, մայուրո ար Հարիեռ, և Քումարո ցանեցուրա.

გეგენამ კი ნელა, გამოზომილად, დინჯად
დაიწყო მიწის თხრა. შრომაში გამოვეკილი იყო,
თავისი მოსწრება სულ გარჯაში გაღია და არასოდეს
არაფერი დაზარებია. თუ ქვეყანა არ იქცეოდა არ
აჩქარდებოდა, საქმეს გულდაგულ დაადგებოდა და
რაგინდ ძნელად გასაკეთებელი უნდა ყოფილიყო,
შედეგს მაინც მოადევნებდა.

ეს სიღინჯე წინაპრებისგანაც მოსდევდა, მაგრამ თავის შთამომავალს კი ვერ გადასცა. ჯერ კიდევ პატარა იყო მალხაზი, რომ რასაც ხელს მოკიდებდა, სურდა მალე გაესრულებინა, სულსწრაფობდა და ამიტომ ხშირად მიზანი უცუდდებოდა. ამ დროს უფრო ბრაზობდა და შესაძლო იყო გაბრაზებულს უკი გაკეთებულისთვისაც წირვა გამოიყენა.

თითქოს სულ ახლახან იყო, სასიხარულო
ამბავი რომ შეიტყო გეგენამ: ბიჭი უმაღლესში
ჩარიცხულიყო! თითქოს არაფერი, ვინდა არ
ირიცხება უმაღლესში, მაგრამ მალხაზისგან ეს
მოულოდნელი ამბავი იყო: რაც სკოლა დაამთავრა,
ჯარში წასვლაზე ლაპარაკობდა და ერთხელაც არ
წამოსცდენია, თუ სწავლის გაგრძელებას აპირებდა.
ქეთვანს არ მოსწონდა შვილის განზრახვა: მაშ
თაგვიაანთ ყეყერა გივია სტუდენტი უნდა გახდეს
და ჩემი შვილი კიდე მძიმე ჩემქებს დაათორევდესო?
გგეგენა ამართლებდა შვილს: წავიდეს, ქვეყნა
მოიაროს, ავიცა ნახოს და კარგიც, სწავლას
ყოველთვის მოესწრებაო, მაგრამ დახე: მალხაზმა
არც დედა გააწილა და არც მამა, ისე რომ არავინ
იცოდა, სასოფლოზე ჩუქად საბუთები შეიტანა და
აი სტოონტიცა ასწოვ!

ის იყო ქეთომ გული დაიარხეინა და მეზობლებში
ამაყად თავაწეული დადიოდა, რომ შეიძლეა
გამოუკვება: ჯარში მაინც უნდა წავიდეო, და
ქეთოსაც პირკატა ეცა, გეგენა კი იღიოდა: უნდა
თა წავითის ჩამოვა თა ქრისტესა ვაარტოვის

მაგრამ მალესაზმა, ვიდრე ჯარში წავიდოდა, კიდევ ერთხელ გააკირკა მშობლები: დანიშნულ დრომდე სამი დღით ადრე მეზობელს ისფლელი გოგო კარზე მოაყნა და განაცხადა: ჩემი ცოლია, სანამ წავალ, ხომ ერთად ვიქებით, მერე კა თქვენთან იცხოვრებს, ჩემს დაბრუნებამდე.

გაკვირდნენ ქოთოცა და გეგნაც, მაგრამ გაკვირვება
სიხარულით შეეცვალათ და რძალი შვილად მიიღეს,
მეორე დღეს მძახლები მოიწვიეს და სახელდახელოდ
ადღეგრძელეს ახლად შეუღლებულები, მესამე დღეს
კი ბიჭი ჯარში გაცილეს და...

არც მიცვალებული, არც კუბო, არც საფლავი... თვითმფრინავით გადაჰყავდათ სხვა ახალწევეულებთან ერთად, სადღაც დაკარგულში ჰქონდა აფეთქებულა და ოცდათი ტალიკ-ტალიკი ბიჭი ისე დაიღუპა, სხეულის ერთი ნამცეციც კი ვერავის უნახია.

მაშინ იყო, სიცოცხლე რომ გაათავა გეგენამ, მაგრამ მერე, როცა ამ დიდ უბედურებაში ერთმა მცირე სხივმა გაიჭიატა – მშობლებთან დაბრუნებული რძალი თურმე ფეხმიმედ დარჩენილაო, – კბილი კბილს დაადგა და ცხოვრებას ისევ შეეჭიდა, თუმცა მისი მზიარულება და უხსიტყვიანობა აღარავის სმენია.

ჰოდა, სწორედ ის ჯერ დაუბადებული ბავშვია ახლა გეგენას არსებობის გამართლება. იქნებ ბიჭიც იყოს! გაიზრდება, დაკაცდება და პაპას გვერდით დაუდგება, მობერებულ, დაშაშრულ გულს გაუხალისებს და გეგენას მოწყენილი სახლიც კვლავ ახმიანდება.

ამ იმედით ცოცხლობდა გეგენა, ამ იმედით ჩაყარა ვენახი და ახლაც ამ იმედით თხრის მიწას ქვევრებისთვის, რომ ერთ დღეს მისი შვილიშვილი ყურძენს ამ ქვევრებში თავისი ხელით დაწურავს და მამასა და პაპას მოიგონებს. გეგენა აღბათ ამ ქვეყანაზე აღარ იქნება, მაგრამ იქვეყნად უეჭველად გაიგებს და გვარის გამგრძელებულს მაღლიდან გადმოხედავს, გადმოხედავს და დალოცავს...

– გეგენავ, კაცო, შუადღე წამოვიდა, დააყე ეგ წერაქვი და ბარი, ჩამოჯექ, დაისვენე, – მოქსმა მეზობლის, იოველას ხმა, – მიწის მომრევი ვის უნახია, შენ მოერიო! თავი გინდა მიაკლა, კაცო?

ეს იოველა სოფლის ბოლოს ცხოვრობდა, გეგენასავით ვაზს ელოლიავებოდა. თუმცა სულ ერთი ციდა ვენახი ჰქონდა, მაგრამ ვაზები ისე ლამაზად ჰქონდა რიგებში ჩამწერივებული, მაგათი შემხედვარე თვალწინ ხელიხელგადახვეული ჯარისკაცები წარმოგიდგებოდა: სულ ერთ სიგანეზე, სულ წელში ამაყად გამართულები, თავმოომწონეები, მტევნებით დახუნძლულები... ზოგჯერ გეგენასაც კი გაექცეოდა ხოლმე თვალი მომიჯნის ვენახისკენ. მოსწონდა, რა თქმა უნდა.

გეგენამ თავი აიღო, ოფლი ხელისზურგით მოიწმინდა და მოსაუბრეს გახედა, რომელიც მესერს მოსდგომოდა, მხარზე ცული გაედო, ხელში კი დახვეული თოკი ეჭირა.

საით გაგიწევიარ, ხელით ანიშნა გეგენამ, თუმცა რა ამას კითხვა – მიხედრა უნდოდა, ცხადი იყო, იოველა ტყეში მიღიოდა ფიჩის ჩამოსატანად. ამიტომ ისევ ხელით ანიშნა: დამიცადე, მეც წამოვალო, მარანში შევიდა, თავადაც თოკი და წამოვალო, ეზოში პირსაბანს ხელები შეუშვირა, გადაიბანა და ვიდრე მეზობელს მიაშურებდა, ნამუშევარს დახედა.

არა, საქმე ჯერ წინ იყო, მაგრამ მაინც გაუკვირდა ეს რამდენი მიმუშავიაო, რადგან კარგა მოზრდილ ორმოს დევივით დაეფრინა შავი პირი, მაგრამ მერე გაახსნდა, რომ თავიდანვე ნაყარი, ფხვიერი მიწა შეხვდა და მუშაობა არ გასჭირვებია. როგორც კი დაგბრუნდები, მაშინვე გავაგრძელებო, გაიფიქრა და ჭიშკრისაკენ გაემართა.

ტყე ახლოს იყო. ტყე, თორემ მუხებს, რცხილებს, თელებსა თუ ნეკერჩელებს ნახავდა კაცი! რაც მსხვილი ხე იდგა, ჯერ კიდევ შემოდგომაზე ხალხმა შეშად მოიმარავა, მერე, უკვე ზამთარში, თუ რამე გადარჩენილიყო, ახლა ის მოჭრეს და მთელი ფერდობი მოატიტვლეს. სამაგიეროდ გაზაფხულზე იყარა და ახლა უკვე ისეთი ხშირი ბუჩქნარი იყო წამოსული, რომ გავლა ჭირდა. ჯერ კიდევ შარშანდელი ფჩჩიც ბლომად ეყარა და სარებსაც ხომ გამოჭრიდა და გამოჭრიდა კაცი.

გეგენას რომ ლაპარაკი არ უყვარდა, მთელმა სოფელმა იცოდა. ახლაც უხმოდ მიაბიჯებდა და როცა ყურს იოველას ქაქანი მოსწევდებოდა, თვალს კი შეავლებდა, მაგრამ გზას მაინც მდუმარედ აგრძელებდა. იოველა ღობე-ყორეს ედებოდა, ხან თავის ცოლს აქებდა, ხან მეზობლებს კილავდა, ხანაც მთავრობას მიადგებოდა და ერთხელ თუ შეაქებდა – პენსია მოგვიმატესო, მეორედ ძაგებას მოჰყებოდა – მაგათი უნიათობით პურიც გაძვირდა, შაქარიც და ამ ოხერმა პაპიროზმაც ფასი დაიდოო. მოკლედ, ხან აქ ამოჭკრავდა, ხან იქა.

გეგენას მოსწყინდა მისი ბუტურის მოსმენა და როცა გზაგასაყარს მიადგნენ, მე იქით უნდა წავიდეო, უთხრა დაბალი ხმით. უთხრა კი არა, უფრო ხელით ანიშნა, თორემ იოველას მისი ხმა არც გაუგია, იქნებ იმიტომაც, რომ ენას არ აჩერებდა.

მოკლე ხანში მაყვალიან-ეკლიანი მოზრდილმა ჯაგრცხილამ შეცვალა. ხები ისე იყო დაგრეხილი და ერთმანეთს ჩაწეული, შალის ძაფებს რომ დაძახავებ დედაბრები. ყველგან დამჭკნარი ფოთლები ეყარა, ჭრელ-ჭრულა, ფეხის დაბიჯებაზე რომ ჩუმად შრიალებდნენ.

გეგენამ მოჭრილ ხის ტოტებს მოჰკრა თვალი, ვიღაცას ზედ ბილიკზე დაეყარა და აქა-იქ მწვანე ფოთლები კიდევ შერჩენდა. თავად ფიჩისთვის ხეს არასოდეს მოჭრიდა, არც ტოტებს მოამტვრევდა – ეტკინება საცოდავსო, ფიქრობდა, ისედაც მრავლად არი უსულებულო ადამიანთა ნაცოდვილარით. არა, თუ საჭირო იყო, სასხლავს მარჯვედ ხმარობდა, მაგრამ ისევ ხის სიკეთისთვის, თორემ ვაზი თუ არ გასხალი, ან რომელიმე ხეხილი, გალალდება, თავს გაუვა და დაკნინდება.

ერთი მსხვილი ტოტი მოხვდა ხელში, მკლავის სისქე მაინც იქნებოდა, უფრო შეშად გამოდგებოდა, ვიდრე ფიჩხად. გვერდითი ტოტებიც მეტად

გაფარჩეულად გამოსჩროდა და შეკრული კონიდან ნამეტანი უშნოდ გამოჩნდებოდა, გეგენას კი ფიჩის კონაც კონტაც შეკრული უყვარდა, თითქოს ისიც გაფურჩნილი ვაზი ყოფილიყო. ამიტომაც წალდი მოიმარჯვა და ტოტების შეჭრას შეუდგა, მაგრამ თავისძა გასაკირად, ფოლადის პირი პირველივე დაკვრაზე წასძვრა გრძელ ტარს. არც ზედ გარშემოკრულმა რკინის რგოლმა უშველა. როგორც ჩანს, ალუბლის ხის ტარი იმდენად ძველი იყო უკვე, რომ ფოლადის ბრტყელ, ცხვირმოკაუჭებულ პირს ვეღარ იჭერდა. ტარი ხელში შერჩა, პირი კი ქვებზე წკრიალით დავარდა.

ეჭ, დღეს რაღაც მარცხენა ფეხზე ვარ ამდგარიო, წამით გაუელვა გეგენას გულში, მაგრამ არც გამწყრალა, არც შეუკურთხებია, ფოლადის პირი აიღო, ბუდეში ჩასვა და ხელცულისთვის სახლისკენ გამობრუნდა, წალდის შეკეთება კი მეორე დღისთვის გადადო.

სახლში წელანდელი სიჩუმე დახვდა, არც ქვემოდან, სოფლიდან ისმოდა რამე, ყველაფერი გაყურსული და თითქოს თვლემაში ჩაძირული იყო. ნიავიც არსაიდან იძვროდა და თუ სხვა დროს სიჩუმეს რომელიმე მეზობლის ნაწვალები მანქანის ღმული მაინც არღვევდა, ახლა ისიც არსაიდან მოდიოდა.

გეგენა სახლში არ შესულა, პირდაპირ მარნისკენ გაემართა, სადაც სამეურნეო იარაღებს ინახვდა. ხელცული იქვე იღო, ყურძნის საწურის ძირში, უხმარობისგან ოდნავ დაჟანგული თითქოს პატრონს საყვედურობდა, რად დამივიწყო. მართლაც, რამდენიმე თვე იყო გეგენას იგი ხელში არ აუღია, როცა რაიმეს მოჭრა დასჭირდებოდა, წალდს ხმარობდა. აკი დღესაც წალდს მოჰკიდა ხელი, ამ პატარა ცულისგნ არც გაუხედია. პოდა, თითქოს სამაგიერო გადაეხადა: წალდი გაფუჭდა, ხელცულს კი პირი გასალესი აღმოჩნდა, თუმცა არ უშავს, აი საღესი ქვა ეგერ დევს და მაღე ისევ ტყეში შეუძლია გაბრუნდეს.

მაგრამ გეგენას გულმა ქვევრებისთვის ამოთხრილი ორმოსკენ გაუწია, მოუნდა, ერთხელ კიდევ დახეხდა და დაეთვალა მიწის ამოღებასა და შიგ ორი ვება თიხის ჭურჭლის ყელამდე ჩაფელას რამდენ დღეში დაასრულებდა. რთველი კარზე იყო მომდგარი, საქმის დასრულებას კი საქმაო დრო სჭირდებოდა.

აი ორმოც, უზარმაზარ ჯამს რომ მიაგავს, რომლის ერთ ნაპირზე ფხვიერი მიწის ბორცვია აღმართული. ნახევარს ჩაყრილ ქვევრებს შემოუყრის, მეორე ნახევარს კი მოშორებით, ღობის ძირში ქვის ყორეს დააყრის, მერე კი ზედ ხეს დარგავს. ორმოს კედელში, თითქმის შვეულად რომაა ჩაჭრილი, წვეტიანი ქვა გამოჩრილა. ძირშიც ისეთივე, ოღონდ უფრო მცირე ზომის ქვა გდია, რომლის მაღლა

ამოტანაც გუშინ დაეზარა გეგენას, ან იქნებ დაიღალა და მათს ამოსაღებად იმიტომ აღარ ჩავიდა? არც ამ ქვის დატოვება შეიძლება და არც იმისა, გვერდით რომ ჩანს, თორემ ჩაგდებისას ქვევრი შეიძლება მიეხალოს და გატყდეს. გატეხილი ქვევრი კი, გინდაც გაამთელო, სანდო აღარ არი: ერთ ღამეს შეიძლება მთელი ღვინო გაეპაროს.

გეგენა ორმოში ჩავიდა, ჯერ ფსკერის შედარებით პატარა ქვა ამოაგდო მაღლა, მართალია წვალებით, მაგრამ მაინც ამოაგდო, მერე დიდს დაეჭიდა, მიწის კედლიდან ცხვირი მუხლების სიმაღლეზე რომ გამოეყო, ჩაჭიდა, თუმცა ძრა ვერ უყო და იქვე მიყენდებული რკინის ლომი მოიშველია, ერთი ღონივრად დასცხო და...

მოისმა უცნაური შრიალი, ჩხრიალი, ხრიალი, მაღლა დაყრილი მიწა ჯერ მუჭა-მუჭა წამოვიდა. შემდეგ გეგონება ვედროთი გადმოყარესო, მერე კი მთელი ბორცვი დაიძრა და გეგენა ერთიანად ქვეშ მოიქცია, თითქოს მოჭიდავებ მეტოქეს სარმა გამოსდო და მთელი ტანით ზედ დააწვაო. მოდიოდა მიწა, ორმოში ზვავდებოდა, ავსებდა და ავსებდა, იქნებ იმის გამო გაბრაზებული, მშობლიურ ადგილს რად მომწყვიტეო.

გეგენას სამრაობა წაერთვა, სული შეუგუბდა, პირს ვეღარ აღებდა, მიწის პირველივე ნაკადით წაქცეული, თვალებდახუჭული, შეშინებული და თავზარდაცემული ეგდო. ერთი-ორჯერ ხელების გაქნევა სცადა, ფეხებიც გაატოკა, მაგრამ მიწის ვეება გროვა შეუბრალებლად დასწოლოდა ზემოდან და თანდათან უფრო მეტად აწვებოდა, თავის სახევეში ხევდა, გულში იკრავდა, არტახებად ეჭირებოდა.

გეგენა გონების კუნძულში მიხვდა, რაც მოხდა და რაც ამის შემდეგ მოხდებოდა. თუმცა, არა, არაფერიც არ მოხდებოდა, ა დ ა რ მოხდებოდა, ყველაფერი დ ა მ თ ა ვ რ დ ა, დასრულდა, ყველაფერს წერტილი დაესვა, დადგა ის, რაც არაერთის თავს დამდგარა.

მაგრამ აკი ცაში უნდა აფრინდეს და შორეულ სივრცეებს უნდა ეწვიოსო? ამ მიწის ასეთ სქელ ფენაში საიდან გააღწიოს? როგორ გაძვრეს? მხოლოდ მიწაა ირგვლივ, ზემოთაც, ქვემოთაც, მარჯვნივაც და მარცხნივაც. ერთი ხის ფესვიც არსაითაა, რომ ჩაჭიდოს, აჰყვეს, აჰყვეს, ხემდე მიაღწიოს, მის ტანში აძვრეს, ფოთლებიდან გამოფრინდეს და ცისკენ გასწიოს, იქით, საითაც მას საუკუნო სიმშვიდე და ნეტარება ელის... არა, ამ ვეება, ზედ დაყრილი მიწის ფენაში ვერსად გააღწევს, აქ უნდა დარჩეს სამუდამოდ...

...მეორე საღამოს ქეთომ ეზოში რომ შემოაბიჯა, გაკვირვებამ მოიცავა: სახლის კარი ღია იყო, გეგენა კი არსად ჩანდა. მაგიდაზე საჭმელი ხელუხლებლად

იდო, წყლის დოქსაც არავინ მიპკარებოდა, საწოლზეც ლოგინი არავის აეშალა — თითქოს ამ სახლში ამ სამი დღის მანძილზე დამე არავის გაეთია.

არც ეზოს ეტყობოდა, რომ სახლის პატრონი ბოლო დღეები აქ ტრიალებდა: ქათმები კაბის კალთაზე მიაფრინდნენ ნაშიმშილებინი, მამლებიც ისე უძლურად ყიოდნენ, რომ ცხადად ჩანდა, არც იმათ ნისკარტებს ეგემათ ხორბლის თუ სიმინდის მარცვლები, ის კი არა, ინდაურებიც ვეღარ იფჟორებოდნენ.

— ნეტავ, რა იქნა ის კაცი, ხომ არაფერი შეემთხვა? — გული შეუტოკდა ქეთოს, — როდის იყო სახლის გარეთ საღებ რჩებოდა? იქნებ მეზობლებმა იცოდნენ რამე, — გადაწყვიტა და გატრიალდა, ჯერ აქეთ შეეხმანა, მერე იქით, მაგრამ მათგანაც რომ ვერა გაიგო, გულმა ავად დაკვნესა.

რაკი ვერსაით ვერა შეიტყო რა, სოფლის ფოსტაში გაქანდა, ტელეფონით შვილსა და სიძეს დაურეკა, არიქა, მიშველეთ რამეო. ვიდრე მუხლებმოკვეთილი სახლამდე ააღწევდა, სიძემ მოაგდო მანქანა და ქეთო და მისი ქალიშვილი რომ ლოფებს იკაწრავდნენ, ის ეზოში დასეირნობდა და ნარგავებს ათვალიერებდა, მერე სახლის გვერდზეც გავიდა და პირდაღებულ, ნახევრად ამოვსებულ ორმოს დახედა, მხრები აიჩეჩა, უკან გაბრუნდა და სიდედრს შეეკითხა:

— ის ორმო რომ ამოგითხრიათ, ნეტავ რაზე სწვალობთ, ახლა ქვევრში ყურძენს ვიღა სწურავს, კარგი გიქნათ, რომ ისევ მიწა მიგიყრიათ.

— მიწა მიგვიყრია? — გაკვირდა ქეთო, — რას ამბობ, შვილო, დღე-დღეზე ქვევრები უნდა მოეტანა და ჩაეყარა, მიწით რაღაზე ამოავსებდა?

— აბა, რა ვიცი, ამოვსებული კია ნახევრადა და... — როყიოდ წარმოთქვა სიძემ, — მაშ, დამნახავიც არავინაა? — იკითხა გულსგარეთ და ისევ იმ ორმოსენ გასწია, ერთხანს უყურა, უყურა და მერე მოტრიალდა:

— იმდენი მიწა მოუთხრია, რო ნეტავ როგო შექლო... მაგ მიწამ ხო არ მოიყოლა ქვეშა?

— უი, ქა, იქნება და მართლა... — ლოფაზე ხელი იტკიცა ქეთომ და შვილს გადახედა, — ხო არ გაენახა, გოგო?

— რას ამბობ, ეგ არ იქნებოდა, — თავისივე ვარაუდი უარყო სიძემ, — მიწის ქვეშ არა, ისა... ჯანიანი კაცი იყო, სადმე გაივლიდა ქალებში, — გაიღრიჭა უშნოდ და თავი გააქნია, — თუ კიდევ მიწამ მოიყოლა, იყოს მანდა, მაინც ცოცხალი აღარ იქნება. სიძემ კვლავ მოატარა თვალი ეზოზე, თითქოს მუშტრის თვალით ზომავსო, და ქალებს მიმართა:

— თუ დამნახავი არავინაა, პოლიციას გავაგებინოთ, გრეა წესი.

— ვაიმე გეგენავ, — ცრემლი ჩამოუგორდა ქეთოს,

— ისე როგორ იქნება, ვინმემ რამე არ იცოდეს... ეგ მიწაც გაგვესინჯა...

— რას ამბობ, განა მართლა ვთქვი ეგა, მიწას როგორ უნდა მოეყოლა ქვეშა, რა, ამოსვლას ვერ მოასწრებდა?

— ვაიმე, გეგენავ, ეს რა დაგვემათა, კაცოო...

— მოთქვამდა ქეთო და მდუღარე ცრემლით შესტიროდა ამბის გასაგებად მოსულ მეზობლებს.

როცა კიდევ გაიკითხეს, აღმოჩნდა, რომ ბოლო მნახველი იოველა იყო, რომელმაც მოყვა, თუ როგორ იარეს ერთად ბილიკზე ტყისკენ, როგორ გადაუხვია გეგენამ და როგორ გაემართა ფიჩხის მოსაკრელად. მეტი არაფერი ვიციო, დედ-მამის სულს იფიცავდა იოველა, როგორც მუდამ პირქუშად იშენდა ჩემს ლაპარაკს და ხმაც არ ამოუღიაო.

ახლა იფიქრეს, ნადირმა ხომ არ დაგლიჯაო და ახლო-მახლო ტყე და მიდამო სულ გადაჩხირებს, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში მთელი ათი დღე გავიდა. ქეთო ჯავრით აღარ იყო, მაგრამ სიძე ამშვიდებდა, ნუ დარღობ, გეგენა დღეს თუ არა, ხვალ გამოჩნდება, შენ კი ჩვენთან იცხოვრე და ამ თქვენს კარმიდამოს დასახედად ჩამოგიყვან ხოლმეო, მაგრამ სახლ-კარის დატოვებაზე ქეთოს ფიქრიც არ სურდა და როცა ერთხელ იმ ორმოს წინ გაიარა, გუნებაში ისევ ის აზრი ამოუტივტივდა, სიძემ რომ ივარაუდა თავიდანევე: იქნებ მართლა მიწა ჩამოიშალა და ქვეშ მოიყოლა, დიდხანს დასცექროდა კიდეც თითქმის ამოვსებულ ორმოს, მიწის ამოყრა ხუმრობა საქმე არ იყო და იქნებ სიძე მართალიც იყო: ახლა, ამდენი ხნის შემდეგ აღარცა ლირდა — თუ იქ აღმოჩნდებოდა, იმაზე უკეთეს საფლავს რაღას გაუთხრიდნენ.

...გეგენა ვერ ხვდებოდა, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მიწის ქვეშ აღმოჩნდა: ერთი თვე, ერთი წელი, იქნებ ხუთიც და ათიც. ვერა და ვერ დაეღწია მიწას, ხან მარკხნივ უცადა გასვლა, ხან მარჯვნივ, მაგრამ ჯერ ქვა გადაეღობა წინ, მერე ძველისძველი აგურის ნატეხი. ჭიანჭველა რა არის, ისიც არსად გამოჩნდილა. დაღონდა გეგენა, რადგან ზეცა უხმობდა აგერ რა ხანია, ის კი მიწის ზვინიდან ვერ ამომბვრალიყო და ყოველი მხრიდან ისე იყო მოწყვედეული, როგორც კვერცხის გული ნაჟუჭში. სული თავისუფლებას ითხოვდა, თავისუფლება კი არსად იყო.

გეგენა ძალიან დაღონდა, მაგრამ მდგომარეობას შეეგუა და ლოდინად იქცა, თუმცა თავადაც არ იცოდა, რას ელოდებოდა, რისი იმედი უნდა ჰქონდა, რომ მიწაყრილისთვის თავი დაეღწია და ცაში აფრენილიყო. იწვა, ფიქრობდა, იხსენებდა, წუხდა, დარღობდა... ხანდახან მაღლიდან ყრუ ხმაური თუ ჩამოაღწევდა, ეგეც ძალზე უღონო და ძლივს გასაგონი. ბოლოს რაღაც შარიშურის ხმა

მოახლოვდა, სუსტი, მეტად სუსტი, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც საამოდ გასაგონი. ეგ იყო, რომ მეტად ნელა ახლოვდებოდა, თუმცა მოდიოდა, აქეთ მოიწევდა, რაღაცნაირი დაჟინებით და შეუჩერებლად გზას მოიკვლევდა.

ვერც ახლა იტყოდა გეგენა, ამ ხმის გაგონებიდან იქამდე, ვიდრე იგრძნობდა, რომ რაღაც შეეხო, რა ხანმა განვლო, ხოლო რომ შეეხო, ამას ნამდვილად მიხვდა, რადგან ესიამოვნა და იცნო კიდეც: ვაზის ფესვი იყო, ვაზისა, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელსაც მთელი ცხოვრება ელოლიავებოდა, ეფერებოდა, ალამაზებდა, ცას უხსნიდა... სწორედ რომ ვაზის ფესვი იყო, ძაფივით წვრილი, თუმცა თბილი და საამო.

მაგრამ ამ ადგილას ვაზი საიდან გაჩნდა? — გაუკვირდა გეგენას, — აკი თალარი ეზოს მეორე მხარეს ჰქონდა, მარნიდან კარგა მოშორებით, და იმ ვაზის ფესვები აქამდე ვერანაირად ვერ მოაღწევდნენ! თანაც, ეს რქაწითელია, იქ კი თითაყურებენი ედგა!

და გეგენა იმის გასაგებად, როგორ აღმოჩნდა ამ ადგილას ვაზით, იმ ფესვს ჩაეხუტა, ჩაეკრა, მის ჰაწია, თვალით დაუნახავ ფოსოში შეძრა, მის სხეულში გზა გაიკვალა, გავლო თუ გაცურა, ჯერაც გაუმაგრებელ ყლორტს ააღწია, სამამულე რქა უკვე აჩქარებით გაირბინა, ყუნწიდან ფოთოლშიც სწრაფად გავიდა და იქიდან უკვე მზის გულზე მოხვედრილმა დაკვირვებით გადმოიხედა.

ჴო, ესაა, მისი ეზო-კარმიდამოა, მისი სახლია, მისი მარანია, აი აქ თხრიდა მიწას ქვევრების ჩასაყრელად, ზვავად რომ დაეყარა და ქვეშ მოიყოლა. ახლა ამ ადგილზე ვიღაცას ორი ვაზი დაურგავს, სარები შეუდგია და ზედ მიუბამს. ორივეს რქები დამსხვილებია, განსაკუთრებით იმ მეორეს, ჩანს კარგად უვლიან, მზრუნველობენ...

ეს ყმაწვილი ვიღა? რაღაც ეცნობა მისი ნაკეთები... მოიცა! ასეთი ქოჩორი ხომ გეგენას ბიჭს ჰქონდა, მაღაზის, ასეთი ხშირი წარბები... ზედა ტუჩზე უკვე დინდლიც ემჩნევა! იქნებ... იქნებ კი არა, ნამდვილად ის არის, გეგენას შვილიშვილი, რომლის დაბადებასაც ვერ მოესწრო. ის არის, ის! ბიჭი წინა დღეს ქარისაგან ჩამოგდებულ ყლორტს ნამდვილი მეზვრესავით ფრთხილად ამაგრებდა სარზე, თან ცალი თვალით მეორე ვაზს უყურებდა, რომლის ერთი ფოთოლი კარგა ხანია შეუჩერებლივ ქანაობდა. ბიჭი თვალს ვერ აცილებდა და უკვირდა, ნიავი არსადაა, თანაც მხოლოდ ეს ერთი ფოთოლი ტოკავსო.

მცირე ხნის შემდეგ კი ბიჭმა ლოყაზე რაღაც თბილი იგრძნო, თითქოს ვიღაცამ ხელი მოუთათუნა, ხოლო როცა კვლავ ფოთოლს გახედა, ის უკვე უმოძრაოდ ეკიდა ტოტზე.

თითათონ სიყმაშვილი



შიში

იმ ვაიუშველებელს — კრწანისსა და მის მიდამოებში ჯერ კარგად მოუთენებელზე, ასე, დილის შვიდ უამზე რომ ატყდა, ჯანდი და სინსლი რაღა ჯანდაბად და დოზანად დაერთო. რაკი ერთი ჩამოწვა, ჩამოიქუთრა და ჩამოიქრუშა, აღარ აიკრიფა...

ზოგს თუ ფარად ეფარა, ზოგსაც თვალგზა აუბნია.

აქა-იქ კიდევაც წამოჟინელა.

ნაგვალევი მიწა ალაფდა, აზილა და აითლოხნა.

ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი ჰაერი დამბიძა, ერთ ადგილზე შეეუბდა...

მზემ, როგორც იყო, ცერად გამოიჭვრიტა. მერმე ისევ მიიმალა, თითქოს პირი აარიდა იქაურობას.

ზარბაზნების ზათქსა და ბათქზე მიწა ირყეოდა, სულთმობრძავი კაცივით ბორგავდა და ყრუდ გმინავდა. ცხენი და მხედარი, ცოცხალი და მკვდარი ერთმანეთში აზინთულიყო. მებრძოლთა ყიუინა, განწირულთა კვნესა-გოდება, თოფის ჭახაჭუხი და ხმლის ჩახაუხი შავნაბადას, სეიდაბადისა და ნარიყალას ქედებს ასკდებოდა და ხევზუგებში ინთქმებოდა.

თბილისი ავის მოლოდინში ზიმზიმებდა და ზაფხაყებდა. ვისაც გული ერჩოდა და მკლავიც მოსდევდა, აბანოს კართან ჩაცვენილიყვნენ და ჩასალკლდებულიყვნენ. ქალაქი ქალების, ხეიბრების, წლოვანთა და უწლოვანთა ამარა დარჩენილიყო. ისინც გალავანს აკერძონენ, მტრის დასახვედრად ქალოდები და ქაფქაფა კუპრი მოემარაგებინათ.

მთელი სათათრეთი აქოთქოთებულიყო, აფუთფუთებულიყო და თბილისისაკენ დაძრულიყო.

აღა-მაპმა-ხანმა თავისი რჩეული, ქრისტიანის სისხლს მოწყურებული და დახარბებული მხედრობა თელეთ-შინდის-სეიდაბადის სანახებს მიუსია. თვითონ კი, მთავარი ძალებით, სოღანლულიდან

წამოვიდა, ქართველების უკანდახეულ მეტინავე რაზმს ბრძოლით მისდია, და მტკვარი-სეიდაბადის ვიწრობში შემოეტია და ჩაიჭედა...

გა სულ სწრაფებულები მოიწევდნენ ენ ყიზილბაშები, უხსენებლებივით მოიგრავნებოდნენ და მოიწელებოდნენ, ფაფარაშლილ ბედაურებს მოაშავნელებდნენ და ყელის სიღრმიდან კი არა, სადღაც შიგნიდან, გულგვმიდან მოჰყიოდნენ, გიაურ, გიაუროო... ვითომ იმისი დარდი და ჯავრი კლავდათ და ჭამდათ, ამ მიწა-წყლის პატრონები რჯულიანები იყვნენ თუ ურჯულონი...

ვერ იტევდა ქედსმიტყვლეტილი მდინარისპირი იმდენ მომხდეურსა და მოძალავეს...

აი, ახლა იყო, რაც იყო და მოსახდენიც სწორედ ახლა და აქ უნდა მომხდარიყო.

სამყაროს შემოქმედს თითქოს განგებ, საამდღეოდ და საამჟამოდ, ამოეზიდა და ამოემართა დედამიწის გულისგულიდან და მაინცადამაინც აქ, ზედ მტკვრისპირას დაეყუდებინა ეს ციცაბო, კლდებიან-ლრებიანი ქედი. ეს სწორედ ის უადგილო ადგილი იყო, სადაც მომხდეურისა ვერც ცხენი აიყალყებოდა და ვერც მხედარი გაშლიდა მკლავს. იქ, იმ ვიწრობში, ათასამდე მარჯვე ქართველი შუაზე გაწევეტდა ოვალგაუწვდენელ მანძილზე გაწოლილ ურჩხულს, მერმეთ კი თავსაც გაუსრესდნენ და კუდსაც ზედ მიაყოლებდნენ...

მაგრამ ის ათასიც სანატრელ-საძებნელი გამხდარიყო და იმისი ნახევარიც...

აკი ის სიგრძეცა და სიგანეც მტკაველ-მტკაველ და გოჯ-გოჯ გაიანგარიშა და საკუთარი ლაშქრის სიმცირეც ზედ მიათვალა ერკლებ, თავისი დღე და მოსწრება, სიყრმიდან მხცოვანობამდე, ხმლის ქნევასა და ერთი მუჭა ქართველებით ურიცხვი მტრის მოგერიებაში რომ შემოლეოდა...

პოდა, ღონე რომ არ ეღონებოდა და ეიმედებოდა, ხერხი ამჯობინა... იმ ხერხს აქ უნდა ეხერხა და ეჭრა...

საჭურის შაპს სხვა უბედურება სჭირდა, თორებ არც ის იყო ცხვირმოუხოცელი ოლლანჭიჭო, ან ბეცი და ახლო მჩხრეკელი. იმასაც თავისი საზომ-საწონი პქონდა და კიდევაც ნირიანად და გერგილიანად ზომავდა და წინიდა ყველასა და ყველაფერს. უნაგირზე გასწორებულ დღეებსა და ღამეებსაც უქმად როდი ჩაევლო. მანამდე ბარებ ორმოცდათამდე დიდი ბრძოლა გადაეხადა შინაურთან თუ გარეულთან. ახლა გურჯისტანზე წამოსულიყო. ყველაზე დიდი ომი წინ ელოდა...

იქაურობა კარგად რომ მოზილა და დაზვერა, დაეჭვდა, ერეკლე ხანმა, იმ ბებერმა ლომმა, ხაფუნგში შემომიტყუა, ვინ იცის, ამ დაწყევლილი ქედის უბეებსა და ლაჯებში რაძენი გურჯი და ლეგი ჰყავს ჩასაფრებულ-ჩასანგრებულიო. ეს რომ გაიფიქრა

და გაიაზრა, უმაღლესი გადაწყვეტილება მიიღო. თავისი ჯიშისა და სისხლის თურქმანთა რაზმს უკივლა, ვისაც შაპი უყვარს, მომყვესო... გაცოფებულმა და თავზეხელაღებულმა იმათ არც ჰოს დაუცადა და არც – არას. უკანმოუხდავად შეაგდო ცხენი ადიდებულ მდინარეში... ისინიც მიჰყვნენ... ბევრი ჩაიხვა და წაიღო წყალმა. ბევრზე ბევრმა კი გაცურა. აღმა აუყვნენ.

საიდანღაც, დაბარებულებივით, რამდენიმე გადარჯულებული, მტრის ცულს ტარადმორგებული ქართველი გამოტყვრა. თითქოს მთელი თავიანთი ცხოვრება იმ წამის მოლოდინით ცოცხლობდნენ; მიეგებნენ, მიეფოლორცნენ, ყბა-პირი ყურებამდე მოიხიეს და ორთაჭალის ბაღებთან ორად გაყოფილ მტკვარზე ფონი მიასწავლეს... კიდევაც მიაძახეს, ემანდ საპალნიანი ჯორიც გავაო... აღასა და იმისიანებს წაქეზება და შეგულიანება რა თავში სახლელად უნდოდათ; ფონი იფონეს, გადამდინარეს, ისევ მარჯვენა ნაპირზე გადმოლაგდნენ, გადმოსიკვდილდნენ და ქართველების მეჩერ ლაშქარს ზურგიდან დაუარეს...

ერეკლესიანები, ვინც გამოსავარდნი იყო წევებიდან და ღრეებიდან, კიდევაც გამოვარდნენ...

სანგრებიდანაც ჩამოხვავდნენ და ჩამოზავდნენ...

მომხდეური და დამხვდეური სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტანენ ერთმანეთს.

უთანასწორო ომი გაჩაღდა ხოხბიანში...

ის იყო, წვიმაბ დაასხა. თქეში წამოვიდა. დოგა-დოგა ღრუბლები აირ-დაირია. ბოლომდე მაინც არ ჩამოიწურნენ. ხოცვა-ულეტის დამთავრებას თუ ელოდნენ და სავსე ჯიქნებსაც მიწის გადასარეცხად და სისხლის მოსაბანად ინახავდნენ...

ეს იქთ და, ზურგსუკანაც რაღაც არმოსახდენი ხდებოდა. გალავანსა და დედაცისის ქონგურებზე ახორცილი ქალაქელები ვიღაცამ თითქოს ერთი ხელისმოსმით ჩაყარა და ჩახვეტა ძირს. ქალების, უმწეო მოხუცებისა და ხეიბრების წიოკმა და შეცხადებამ იქაურობა შეძრა და შეაზანზარა. სატანტო ქალაქს ამკლები დასცემოდა. გარეულები არ უნდა ყოფილიყვნენ, თორემ უხმოდ და უამბოდ შიგნით ვერ შეაღწევდნენ. შეეღწიათ კი... ქუჩაბანდებსა და ეზოებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღებულიყო...

აქედან არავინ ელოდა მტერსა და ორგულს.

არც ერეკლე ელოდა...

ზურგმოშლილმა მეფემ მედროშეს ხმლის წვერით სეიდაბადის მაღლობისაკენ მიაიშნა და რაღაც უბრძანა. თვალი აქორა. გულისყურიც ოთხივეუთხივ მიუმარჯვა.

მიმხმარე და მშველელი არსაიდან ჩანდა.

იაღლუჯისა და სოღანლუღის მხრიდან კი ემატებოდა და ემატებოდა ყიზილბაშებს.

უფლისწული გიორგი მოინაკლისა და მოინატრა, მაგრამ იმისგან ბაიბურიც არ ისმოდა. ამბის მიმტან-მომტანი ათხუთმეტი მალემსრბოლიც ცასა თუ მიწას ჩაეყლაპა.

ბევრი სხვაც დაისაჭიროვა და კიდევაც ეფეთა და ემტეთა უიმათობა.

ჩანდა, მარკოზელების სოფელ-სოფელ წანწალსა და ტუნტულს თავისი ნაყოფი გამოეღო, ტყუპ-ტყუპი ბალამწარა და კიტრანა გამოესხა და გამოება.

თთქოს, იმ დაჭირვებისა და მონაკლისების პასუხად, ვიღაცებმა პირაქეთ შემოაბრუნეს ცხენები. ხმალჩაგებულები გამორბოდნენ, ისე მოიჩქაროდნენ და მოიცანცლებოდნენ, ვითომ ეგ არიდა, თავიანთი საბრძოლი ებრძოლათ, საომარი ეომათ და მტრისთვისაც კულით ქვა ესროლინებინათ.

ვინ არიანო, ამერები თუ იმერებიო, ეჭვმა გული მოუწალა. დააპირა, დაემუნათებინა, სად გარბისართ, რომ დაგადედლათო, მაგრამ იმათი უკუმდოლი რომ იცნო, ელდისაგან ენაზე შეაცივდა იმისი სახელიცა და იმისთვის მისაძახებელიც...

იმათ არც გზა-საგალი შეშლიათ, არც ფეხი არევიათ, ჩაიქროლეს, თვალს მიეფარნება.

თაბორის მთიდან კი ერთი მეორის მიყოლებით მორახრახებდნენ და ხევ-საგუბარში იჩეხებოდნენ მტრისთვის ნადავლად და ალაფად ვერგამეტებული ზარბაზნები.

ავად ენიშნა მეფეს: ყაჯარისიანებს ხელი და ხმალი ისე წაგრძელებოდათ, რომ ქართველთა არტილერიის განლაგებასაც მიწვდომოდნენ...

ბრძოლა გველეშაპთან უმხარმკლავო კაცის შერკინებას დაემგვანა.

კალადან და მეტეხიდან ისევ გამეტებით უშენდნენ, მაგრამ ამათი აღარც ტყვია ტყვიაობდა და ცეცხლიც აღარ ცეცხლობდა.

თბილისის ექვსივე ბჭე და კარი ღია იყო, ზოგი გარედან შენგრეული, ზოგიც – შიგნიდან მოდარდალინებული.

ყიზილბაშები ქალაქში შესასვლელთან ძნებივით ჩაშლილ-ჩალეწილი დამცველების ცხელრებზე გადადიოდნენ...

მეზუთე ჟამი იწურებოდა.

მწუხრი წევბოდა თბილისის თავზე.

მიხვდა მეფე და მხედართმხედარი, ან რაღა მიხვედრა უნდოდა, როცა ყველაფერი ხელისგულზე ედო: მარტო თბილისისა კი არა, მთელი ქვეყნის ბედ-ილბალი გადაწყვეტილიყო... მაგრამ არა იმ ნაგსიან დღესა და არა იქ, კრწანისში... ქართველთა სამკვიდრო ახალ დინებასა და ორომტრიალში მოქცეულიყო. იმის იქიდან თავდაღწევასა და ამ ნაპირის თუ იმ ნაპირის არჩევას კი ერეკლესა და იმის ქართველებს აღარავინ აკითხებდა და, ვინ უწყის, ამიერიდან აღარც არასოდეს დაეკითხებოდნენ...

მაგრამ ამას საზრუნავ-საჭმუნავითა და წლებით დამძიმებული, კიდევაც გადაღლილი, ყველასაგან მხარგამოცლილი და ნაღალატევი მეფე ერეკლე მიხვდა.

პატარა კახი ამას ფიქრადაც არ გაივლებდა გულში. აკი არც გაივლო. ნეიშნი და ასპინძა და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცები და ვიღაც-ვიღაცები გაიხსენა...

ჰატე, თქვე წუნკლებო თქვენაო, დასჭყივლა თავისებურად, ომახიანად, ხმალი გააელვა და სიმრავლით გალალებულსა და თავგასულ ჩალმიანებს ცხენდაცხენ შეუტია...

ძველებური სიკისკასე აღარ მოსდევდა, თორემ...

მარჯვნივ და მარცხნივ კვეთებითა და ზეთქებით მიჰყვა იოანე ბატონიშვილი... მიჰყვა და ჩაჩეხა და ჩაკაფა მეფეზე დაგეშილი ცხენ-კაცი. მაინც მოასწრო, დაინახა დასანახი: თავისი გვირგვინოსანი პაპის ირგვლივ თვალის ერთი გაფრენის სისწრაფით იკვრებოდა და ვიწროვდებოდა წითელთავიანების რკალი. მიეჭრა, მიეტანა... უმაღ დავით მაჩაბელი, ჯანდიერ ჯანდიერიშვილი, საქობოელი სინვია ქევხა და სხვა ერთგულები წამოეშველნენ. ალფა ფიცხლად გაარღვიეს... ზაქარია ანდრონიკაშვილმა ივარგა, მეფის ცხენს უყადან შემოკრა ხმალი... მეფე იქაურობას ძალისძალად გამოარიდეს, სამშვიდობოს გაიყვანეს...

სამშვიდობო თუ ეთქმოდა ნახოხბარს...

იმის ქა-ღორღისა და კორახ-მორახებში მრავლად ჩახოცილიყვნენ ჩვენიანებიცა და სხვისიანებიც. სხვისიანებისა რა ვიცი და, სამიდღეშიოდ ჩაწოლილიყვნენ მამაცზე უმამაცესი და ერთგულზე უერთგულესი თბილისელები, ფშავ-ხევსურები, არაგველები და კახელები... ჩაწოლილიყვნენ ბრძოლით დამაშვრალნი, მაგრამ გაუმაძლარნი, სისხლისაგან დაწრეტილები, თვითონაც დაესვენათ და პირმოცვეთილი ხმლებიც დაესვენებინათ... ჭრილობებით გაწამებულებს, მაგრამ საამქენიო ვალმოხდილებს, ბაგეზე რაღაც ღიმილისნაირი შერჩენოდათ... რა უყოთ, დღეიდან მარჯვნით თუ ვეღარ შეეწოდნენ და უშველიდნენ მეფესა და დედულ-მამულს, იმათი ხორცი და ძვალი ხომ მაინც გააპოხიერებდა ქართულ მიწას და ესლა თუ ემედებოდათ და ენუგეშებოდათ...

ერეკლემ ავლაბრის ხიდიდან შემოხედა აბოლებულ ციხეყალას, ნატახტარ ქალაქს. აქა-იქ, სახლებიდან და სასახლეებიდან ავარდნილი ცეცხლის ალი უნასივით იკლაკნებოდა, სისინებდა და, თითქოს ნიშნს უგებსო, კვამლით ალანბულ-ახრჩოლებულ ცას ენას უყოფდა...

თბილისი ინგრეოდა, იწვოდა და იძარცვებოდა...

მეფემ ერთხელაც მეყსეულად მოიქნია ხმლიანი ხელი... მერმე უილავობისაგან ამოიგმინა, პირისახიდან

საკუთარი თუ უცხოს სისხლი მოიხოცა, მოიწურა...
ვინ იცის, ცრემლებიც!

მეფე, ალბათ, თავის სიცოცხლეში პირველად
ტიროდა...

...

მეც ვტირი. ცრემლები წვიმასავით ჩამომდის.
ვიმშრალებ და ვერც ვიმშრალებ. კარგად ვეღარაფერს
ვხედავ. ასოები, სიტყვები და სტრიქონები ერთმანეთში
იძლანდება და იდლანდება.

ფურცლებს ვნომრავ და მიმდევრობით ვალაგებ.
თან ძლივძლივობით ვავლებ თვალს. შიგადაშიგ
რაღაცებს ვასწორებ... ვშლი... ვამატებ. ისევ ვშლი...
ისევ ვამატებ...

ღია ფანჯარაში ცნობისმოყვარე ღიაცივით
იყურება ვაშლის ხე. ვითომ, მანდ რა ხდებაო...

აქა? აქ არაფერი-მეთქი...

როგორ თუ არაფერიო... ტოტები ირხევიან და
ეხეთქებიან ერთმანეთს, თითქოს ქარტიალა მოვარდა
საიდნელაც და მაინცადამაინც ამათ დაეტაკა.

ჰო, არაფერი-მეთქი, მეც ისე, ჩემთვის ვიმეორებ,
თორემ... აბა, ხეს რა უნდა ელპარაკო!

ის კი არ ოკდება. ლამისარია ფანჯარას
მოაწყდეს და შემოელეწოს.

ნაგვალებმა ფოთლებმაც თავი აიწყვიტეს....
შრიალებენ და მწარედ სისინებენ. სულში მიძღვებიან
და ეგ არი! ნეტავ რა ეშრიალებათ და ესისინებათ!
ჩუ!

რაო? კარგად ვიცით, რაც მოხდაო?

სად რა მოხდა-მეთქი, თავს ვიგულუბრყვილოებ,
ვიმამიტებ და ვცდილობ, ჩემს ფიქრებში ჩავყინოთ...
მაგრამ ვინ გაცლის!

იქ, კრწანისშიო...

მოკლედ, რაც ხე, ის – იმისი ფოთლები!

– ჰო... კრწანის-ში... ხოს-ბი-ან-ში... ქართლ-
კახეთის ბე-დი გა-და-წყდა... – სიტყვებს ვმარცვლავ,
ვდერღავ... კიდევაც ვყვალაპავ... თავისმართლებასავით...
ვითომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო!

მაგრამ... ეს მე და, ის? ისინი?

ეგრე შეიძლება ვინმე ბენტერასა და ბატიტვინას
ეგონოსო...

– ჰო... – მეც მეტი რა გზა მაქვს, თავს
ასკილივით ვუქნევ, ვეთანამები... – იქ მთელი
საქართველოს, ამერ-იმერის ბედის ბორბალი უკუღა
დატრიალდა...

იმათ ისევ... თავისებურად...

ეგრე მარტო ვიღაც ჭკუასალმობიანი იფიქრებსო...

ეს ვაშლის ხე სულმთლად გადაირია და ეგება,
მეც გადამრიოს!

იქა... კრწანისშიო... მთელი კავკასიის ბედ-იღბალი
გადაწყდაო... მთელი ამიერისა და იმიერისაორი...

ერთი უყურეთ ამას, ეს რა ჩამიშრიალ-ჩამისისინა
და ჩამიმწვიტინა. გაიგონეთ?

უძახე ახლა, ხე ხარ-თქო!

მართლა ხეა თუ... ვინმე მოგზავნილ-მოჩენილი!

ხე თუ ასე ფიქრობს, ნეტავ არაწები რას
ფიქრობდნენ მაშინ, ან ახლა რა ტვინის ჭყლეტვა
და მიეთ-მოეთი აქვთ!

იქით, სადღაც, ჭრიჭინობელა თავისას ერეკება.
ალბათ, იმასაც თავისი სადარღებელი და საჭრიჭინო
აქვს და ისიც ჭრიჭინებს...

ჭრიი... ჭრიიი... ჭრიი... ჭრიიიი....

კარვენახში რაღაც წკაპუნობს. წვიმის წვეთებივით.
წვიმს თუ? მგონია, ვიღაც ტირის, იცრემლება...

წკაპ... წკუპ... წკუპ... წკაპ...

ნეტავ ვინ ტირის, ან რა ატირებს?

ნიავწანწალა საიდანდა გჩნდა. ცელქობს, ზვარ-
ვენახს ეღლაბუცება. მზისგან მოთენთილი ვაზები
მინდა-არმინდასავით ირწევიან და იწლაწწებიან.
მიწაზე გართხმული ჩრდილები უცნაურად
ტორტმანობს. ზოგი ცხენიან კაცს მოპგავს... აი,
ის ხმალს იქნევს... ის კი დაჭრილია... ცხენიცა და
კაციც... დაჭრილი ფორთხავს, წამოდგომას ლამობს.
თან ხმალს ებლაუჭება და ვიღაცას უღერებს... ჰა
და ჰა... ვინაა, ქართველია თუ თათარი? დამხვდურია
თუ მომხდური?

წკაპ... წკუპ... წკუპ... წკაპ...

ჭრიი... ჭრიიი... ჭრიი... ჭრიიიი...

აფორიაქებული, მეც კარგად არ ვიცი, რატომ,
ფანჯარას ვეჯაჯგურები. ვგმანავ, ვრაზავ და
ჩემს ძველსა და ახალ საფიქრალ-საჭოჭმანოში
ვყურფუმელაობ...

ნეტავ სად იყო მაშინ ჩემი პაპა.... არა, პაპის
პაპა... იმისი... იმისი... იიმისი პაპის პაპა? –
ფურცლებს მაგიდის უჯრაში ვყრი და ხმაბაღლა
ვეკითხები ჩემს თავს. მაგრამ ჩემი ხმა, რატომდაც,
მევე მეუცხოება, თითქოს ვიღაცამ ჩამძახა და მეც
ქოცოსავით ამოვიძახე.

ის ვიღაც თუ რაღაც კი არ ისვენებს და არც მე
მასვენებს. თავს არ მანებებს, ჩამძახის და ჩამძახის
და მეც უპვე ვყვირი: – აი, მაშინ... ჰო... მაშინ...
მაშინ... თათარი რომ შემოგვესია კალიასავითა...
როცა იქ, კრწანისში, მეფე ერეკლეს ქუდზე კაცი
არ მიუვიდა... აბა, მაშ როგორ და რანაირად... ამ
მიწაზე რომ ვდგავარ და დავდივარ... თუ მეკუთენის
და მერგება... ამაში ჩემს წინაპარს თუ მიუძღვის
რამე წვლილი!!!

ეჭ, მე კი ვყვირი, მაგრამ, მგონია, მარტო მე
მესმის ჩემი ხმა და ჩემთვის ვყვირი...

ისიც მგონია, რომ ჩემი პაპის პაპა...
იიმიმისი პაპა... ჰო... ვინც იყო... იქნებოდა იქა,
იქნებოდა... მაგრამ თუ ეგრე ვყვალას წინაპარი იყო
იქა, კრწანისში და კიდევაც იბრძოლა ერეკლეს
ლაშქარში, მაშ ურჯულოშ როგორდა გვაჯობა, ჰაა?!

მაშ როგორ და რანაირად... მაშ როგორ და

რანაირად-მეთქი, რამდენჯერმე გავიმეორე, კიდევაც
გავიმესამე და გავიმეოთხე...

უჯრიდან ისევ ამოვილე ნაწერი და კალამი
მოვიმარჯვე...

ნიავი ფარდასა და ნაწერ-უწერ ქაღალდის
ფურცლებს აშრიალებს...

მე ახლა მთიულეთისაკენ გაჩქარებულ მეფე
ერეკლესა და იმის ამაღას ავედევნე... იქ კახიძატონი
მეფისა და ქვეყნის ერთგულებს მოუხმობს, ლაშქარს
შეჰქის... ურვითა და ვარამით მოპირთავებულ
გულზე ურჯულოს არ გადაიტარებს... საჭურისი
ხოვდა ორ-სამ დღეში უნდა აიბარგოს და აქურობას
გაეცალოს...

პოდა, მეც იქ, ერეკლესთან უნდა ვიყო...

ანაზდად, ვიგრძენი, თითქოს ვიღაც მომდევდა,
მომძახოდა და მომკიოდა...

მივაყურე...

—შშშენაშენკიდენახოჩემიწინაპარიხარხოდ
აშენრაგააკეთეანეხლარასაკე-თებრომეცჩემწილმიწა
ზევიდგედავიაროშშშენაშენკიდენახოჩემიწინაპ
არიხარხო-დაშენრაგააკეთეანეხლარასაკრთებრომეც
ჩემწილმიწაზევიდგედავიაროშშშენაშენაშ-ენაშენა...

ვინ არი, რა უნდა ჩემგან-მეთქი, ირგვლივ
დაფეთებულმა მოვავლე თვალი და ფურცლებს
კალმიანი ხელი დავაფარე...

არავინ ჩანდა.

ხმა ძალიან შორიდან ისმოდა.

მომეჩვენა, რომ დროისა და მანძილის საზღვარ-
სამანი წაშლილიყო...

ის ვიღაც კი თავისას არ იშლიდა: —
შშშენაშენაშენაშშ...


შშშიშმა ამიტანა...

ნიკო თოფურია — 95

კოლიჯ პოინტში, როგორც კი ავტობუსიდან ჩამოვალ და მე-8
ავენიუსანე გავუყვები გზას, ყოველთვის ერთი ფიქრი ამეცადებულია —
რამდენ ქართველს უვლია ამ გზაზე იმ სახლისაკენ, რომელსაც ძველი
ქართველი ემიგრანტის ნიკო თოფურიას სახლი ჰქვია და რომელიც
გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან არა მარტო ქართველთა უბრალო
თავშეყრის ადგილად, არამედ ქართული სათვისტომოს შტაბ-ბინად გა-
დაიქცა, რომლის მდივანიც ნიკო თოფურია ბრძანდებოდა და ერთგულად
ემსახურებოდა ქართულ საქმეს.

ამ სახლში მზადდებოდა გამოსაცემად იმ დროისათვის ამერიკაში
არსებული ერთადერთი ქართული გაზეოთ „ქართული აზრი“. ამ სახ-
ლში იბრუნებდა სულს სამშობლოს დანატრებული ქართველობა, ამ
სახლში აღნიშნავდნენ შობას, აღდგომას, ნინოობას, გიორგობას, საქართ-
ველოს დამოუკიდებლობის დღეს... დროდადრო ამ სახლიდან ისმოდა
ტკივილიანი მრავალუმარი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, წარსულის
გახსენებას ხანდახან მონატრებაც ახლავს, აღბათ ამიტომაც არ არსე-
ბობს, რომ ქუჩაში გასულ ნიკო თოფურიას დანანებით არ დასცდეს —
ეჰ, ბიჭებო, სადა ხართ, სად? ერთ დროს ქართველებით დასახლებულ
კოლიჯ პოინტში, იმ „ბიჭებიდან“ ორნიდა დარჩნენ, მამა ზაქრაძე და
ნიკო თოფურია. ბატონ მამას აპრილში შეუსრულდა 95 წელი, 15

დეკემბერი კი ნიკო თოფურიას დაბადების დღეა.



ჩვენო ძვირფასო ძია ნიკო, გილოცავთ 95-ე დაბადების დღეს და რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ
მადლობა გითხრათ თქვენი ღვაწლისათვის და ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა გისურვოთ. ჩვენ კი
ვისურვოთ, რომ დიდხანს გვათბოდებეს თქვენი სიკეთე, გვართობდებეს და გვაცინებდებეს თქვენი ხალასი
იუმორი. გვაკვირვებდებეს თქვენი ღრმა ადამიანური თვისებები, გვანუგებდებეს და გვემდებოდებეს თქვენ
გვერდით ყოფნა და რაც მთავარია, დიდხანს, კიდევ დიდხანს გვესმოდეს ოთახიდან ითახში სიარულისა
თუ ბაღში ფუსფუსის დროს თქვენი თბილი, გულიანი ღიღინი — „გადი-გამოდი გუთანოო“...

ციცინო ჯერვალიძე,
ნიუ-იორკი

ქორქია

ბეჭა ახალიანი

ჭის ბალადა

„ჭეშმარიტება ჭის ფსკერზეა“.

დემოკრიტე

I

ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის,
რაც თავი ახსოვს, ეს ჭა აქ არი — გზის პირას,
ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის,
არ აწერია, არავის სახელს ატარებს,
წყალს როცა დალევ, მაღლიერებით ახსენო.

(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის)
როცა დალია, რომელიღაცა ანგელოზს
(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის)
მადლი შესწირა. დაჯდა, პატარა ნამგალი
ღეროს მოუსვა, მერე შვილიშვილს გახედა.

(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის)
ბერმუხის ტოტებს თბილი ნიავი არხევდა
(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის),
შვილიშვილი კი საპალნეს ხსნიდა სახედარს.

(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის)
ძლივს ჩაუკიდა ჩიბუხს, სპილოს ძვლის ტარიანს,
და გაიფიქრა, ამ ჭიდან წყალი სულ რაღაც, —
დაახ! — სულ რაღაც სამად სამჯერ რომ დალია.

II

მაშინ ეს შარა ასეთი ფართე არ იყო,
არც მუხა იყო მაშინ ასეთი ბებერი
(მაშინ ეს შარა ასეთი ფართე არ იყო)
და იდგა ისე, როგორც მის ასაკს შეფერის.
იყო, დღევანდელ დღესავით ახსოვს, კვირადღე.

(მაშინ ეს შარა ასეთი ფართე არ იყო)
რომ წავიდოდნენ, უკვე იცოდა წინა დღით
(მაშინ ეს შარა ასეთი ფართე არ იყო),
მოგზაურობა არასდროს, ითქვას სიმართლე,
არ ჰყვარებია, სახლში დარჩენა უყვარდა.
შემოისვამდა მუხლზე პატარა ძამიკოს
და ისხდნენ ჩუმად აგუგუნებულ ბუხართან...



გზას ქალაქისკენ გამოენისას გაუდგნენ,
ბებერი ცხენი გზაში კინაღამ მოუკვდათ.
ამ მუხის ძირას მამამ გაშალა საუზმე,
ამ წყლის დალევა მაშინ პირველად მოუხდა.

III

ტრიალი ჭალა მაშინ უღრანი ტყე იყო,
ვინ დაუჯერებს... ხოდა, იყვნენ და არკვიონ...
დაახ! ეს ჭალა მაშინ უღრანი ტყე იყო.
წინ მიუძღოდა შეზარხოშებულ მაყრიონს,
სასიმამროსთვის შვილის ხელი რომ ეთხოვა.
საოცრად ჰგავდნენ ომში მიმავალ მეომრებს.
მლაშე ცხვრის ხორცის ბრალი თუ იყო...
ეტყობა...

აქ რომ შეჩერდნენ,
წყალი დალია მეორედ.

IV

ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის,
დრომ მასთან ერთად მისი სახელიც წაიღო,
(ბერმუხის ჩრდილში ჭა ვინ გათხარა, რა იცის),
ისე მოუნდა, მისი სახელი გაიგოს...
ამოიოხრა, მერე შვილიშვილს გახედა.

ხელში ეჭირა ისევ ნამგალი პატარა.
ბერმუხის ტოტებს თბილი ნიავი არხევდა.
ათი წლის ბიჭმა ჯერ წყლით აავსო მათარა,
მერე საპალნე ისევ აპკიდა სახედარს.

დღეს ამ ჭის წყალი დაულევია მესამედ,
ჭალას გასცერის, ქცეული მბუღტავ თვალებად,
როგორც აღმოჩნდა, კაცის ცხოვრებაც ეს არი —
სულ სამი ჭიქა ჭეშმარიტების დალევა.

ნაწყვეტები პოემიდან „დამიანე“

„მამანო წმიდანო და ძღვდელნო ყავთ წყალობა ვითარცა ქრისტემან დედაკაცსა წმიდისა ზედა და ითხოვეთ შენდობა დამიანესათვის რათა ოქენცა სასუფეველი“.

„სახლითა დვთისათა მოიხატა მონასტერი ესე ხელითა ცოდგილისა დამიანეს გაზრდილისა გერასიმესითა“.

წარწერები უბისის მონასტრის ფრესკებზე

.....

ტყე არ შრიალებს. დილის ნიავს უცვლია გეზი,
კალაპოტივით, ხეობა დაშრა,

ტყე არ შრიალებს, დილის ნიავს უცვლია გეზი,
სახლები ჰგვანან დახოცილ თევზებს
და კალმახია სამრეკლო ძველი,

კალმახი – კუდით ჩასობილი ხავსიან ქვებში.
მის ქვედა ტუჩზე ჰკიდია ზარი
შიგნიდან, ის კი ჩასობილა ხავსიან ქვებში.
ზარს დავრეკავ და ნაპირებს, დამშრალს,
ასკლება მისი გუგუნი მჭახე.

მიმოფანტული რეკვა ისევ ბრუნდება უკან
და თავს მოიყრის ვეება ზარში,
მერე ჩაყვება ზარის ენას, ქცეული ამბად,
და, მირონივით, ბალადა წვეთავს:

*

„ოსტატი არი თორმეტი წლის ცოცხალი ბავშვი,
და ამას ვწვეთავ,

ოსტატი არი თორმეტი წლის ცოცხალი ბავშვი,
და მინდვრად მწყემსავს ცხვარსა და ძროხას,
ათასი აზრი უბიძინებს ყრმა ოსტატს თავში,
და ამას ვწვეთავ,
რა ჯურის ფიქრი არ იზრდება ოსტატის თავში,
ათასი ჯიშის ოცნება მოჰყავს.

მხარზე გაიდებს შინდის კომბალს,

თან მიაქვს გედის,

და ამას ვწვეთავ,

მიაქვს ნათალი სალამური, ძვლისაგან გედის,
დალამებამდე მინდვრში რჩება,
დალამებულზე, მხრებგაშლილი ამაყად შედის,
და ამას ვწვეთავ,
დიდი კაცივით ხის ჭიშკარში ამაყად შედის,
ვახშმობს და მერე... დედასთან წვება.“

*

„ოსტატი არი თხუთმეტი წლის,
კვლავ დადის მინდვრად,

და ამას ვწვეთავ,
მწყემსა ისევ და ეს მოსწონს

და დადის მინდვრად,
სამწყსო უყვარს და ბეჯითად უვლის,

ყრმა ოსტატს, როგორც ყველა ამბობს,
სული აქვს წმინდა,

და ამას ვწვეთავ,
როგორც ამბობენ, მას სული აქვს
სუფთა და წმინდა,

და აქვს, ასევე, კეთილი გული.

ცხვარს ანდა ძროხას რომ დაგლეჯენ,
ხანდახან, მგლები,

მე ამას ვწვეთავ,
დაკლავენ, ან თუ ცხვარს და ძროხას

დაგლეჯენ მგლები, –
ბედისწერას ხომ წაუვლენ ვერსად, –

თიხას მოზიდავს ყრმა ოსტატი, ჩეროში ჯდება,
და ამას ვწვეთავ,
თიხას მოზიდავს ყრმა ოსტატი, ჩეროში ჯდება
და დახოცილი ცხოველების

ფიგურებს ძერწავს“.

„ოსტატი არი ჩვიდმეტი წლის.

ერთხელაც, სახლში,

და ამას ვწვეთავ,

როცა დაბრუნდა ყრმა ოსტატი,

ერთხელაც, სახლში –

ბოლავს სოფელი. ოსტატი ხედავას:

კაცები ყრია თავმოჭრილი, ქალები – თავშლით,

და ამას ვწვეთავ,

სოფლის ქალები ხის ჭოტებზე

ჰკიდია თავშლით,

და იმათ შორის – მამა და დედა!..

* * *

.....
რჩება მარტოკა, ყურს მიუგდებს
ეშმაკის ხვიხვინს:
ცხვარ-ძროხის მსგავსად, მათაც ხომ არ
გამოძერწს თიხით?!?

.....
წლები რომ გავლენ, ჩვეულებრივ,
გადიან წლები,
როგორც სჩვევიათ, მონდომებით და
მთელი გზნებით,

როცა გახდება ხელოვნება ცხოვრების აზრი
ოსტატისათვის, და რომ სთხოვენ
მოხატვას ტაძრის,

მაშინ კი, მაშინ... ეშმაკზედაც იქნება ახი,
მე ამას ვწვეთავ,
მაშინ ხომ, მაშინ, მის მტრებზედაც იქნება ახი,
საპირჯვრედ შეკრავს შეღებილ თითებს:
დედალვთისმშობელს დედამისის

დახატავს სახით,

მე ამას ვწვეთავ,
დედალვთისმშობელს დედამისის
დახატავს სახით,
ხოლო, მამას კი დახატავს ქრისტედ!“

ლონდონი. 1995

მეტროსადგური Notting Hill Gate,
შენ თბილისური სიფათით მდგარი,
ვიწრო ბაქანი ლოთით და გეით,
დგახარ ცოცხალი და მაინც მკვდარი.
მოგენატრება დამპალი „მაგნა“,
სოლოლაკური ყინვა და სუსხი,
აგინძ დედას ნავთობის მაგნატს,
დუბლინელ გოგოს სიყვარულს უხსნი
და მერე სადმე აუწევ კაბას...
ლონდონი წვიმით ლაფუჩებს ივსებს,
„მეიფერის“ მიაწვდი ნაფაზს
ორივე ფილტვში
ტრანზიტით ნისლებს.
Notting Hill Gate.

ქარია,
ცივა,
იქარვებ სევდას დამეულ ბოლთით,
დალიე მმაო „რიგალი ჩივას“
და მერე შუბლზე – სამუელ კოლტი!

ვინ მოთვლის დღეებს, რომლებიც გავდნენ
ერთმანეთს, გავდნენ ღამეებს, გავდნენ
ვაგონებს, ქარვის მძივებს და რამდენ
რაღაცას, სახით, წარსულით გავდნენ.
ვინ მოთვლის სიტყვებს, რომლებიც ვფანტე
და უაზრობის ოცდაცხრა მწკრივში
ჩემი ბავშვობა ფეხდაფეხ დაძღვს,
მკლავებს იჭამს და ვერ იკლავს შიმშილს.
ვინ მოთვლის თვალებს, რომლებიც ცამდე
წვდებოდნენ, ცა კი ანგბოდა ნამად,
წვიმად და ღვენთად, ცვარად და ამდენ
თოვლში მეტებდა მოხუცი მამა.
ვინ მოთვლის მიწებს, რომლებიც ვკარგე,
მაჭრიდნენ მოზრდილ ულუფებს, ქვაზე
მოხუცი დედა იჯდა და ნათმენ
ცრემლებს მაღვრილა, ცრემლებით სავსე.
ვინ მოთვლის ფსონებს, რომლებიც დავდე,
ბოლო სურვილიც მეჭირა პეშვით, —
მინდა ინგალიდ სამშობლოს ვგავდე, —
და ღმერთს დავეძებ კოსმოსურ მტვერში.

ერთხელ

(შეკვარებული ბიჭის სიმღერა)

გამოწყობილი, თეთრი ყვავილით,
თეთრი მისაკით, გულზე,
შენი სახლის წინ ავივლ-ჩავივლი
დღე ერთია და ხუთჯერ.

მიყრდნობილი ვარ მთვრალი, ფხიზელი,
რეინის ელექტრობოძიზე,
სასიყვარულო ლექსებს გიმდერი
დღე ერთია და ოთხჯერ.

დიდხანს ავყურებ რკინის ცხაურში
შენს გამოწყვდეულ ფანჯრებს,
დავუშენ ხოლმე, კენჭებს დავუშენ
დღე ერთია და სამჯერ.

ანდა მამაშენს, ჩემი ურვა და
ჩემი ტანჯვა რომ მორჩეს,
შენს სათხოვნელად ვინმეს ვუგზავნი
დღე ერთია და ორჯერ.

ფიქრში გართული ვწევარ ლოგიზე
ვუსმენ ჟლურტულა მერცხლებს.
ვიცი, ოდესმე ცოლად მოგიყვან,
შენც ერთი ხარ და — ერთხელ!

ბალადა ზეიარა ვარდზე

იმ დღეს, სულ პირველად რომ შეგხვდი,
შენც მწყემსი მეგონე ჩემსავით.
შორიდან მიცერდი, მე გვერდი
გიქციე, მორცხვად მოგესალმე.
მერე კი ყოველდღე ვხვდებოდით,
შენ სიხარულისგან ბრწყინავდი.
მეც ჩუმად, შორიდან ვდნებოდი
თვალების ცისფერი სინათლით.
ერთხელაც მეწვიე... ცისმარე
მე ისევ ბოროლებს ვმწყემსავდი.
შენ კი – უფლისწული ბრწყინვალე
მინდორს ანათებდი მზესავით.
– რა გქვია? – შენ მკითხე (ნეტავ, რად?!)
გითხარი (ნეტავი, არ მეთქა!)
და ჩემი სახელი ნეტარად
გაისმა ბადაგის ბაგედან.
მერე კი სურნელი ბალახის
კაბის აეკიდა ღილ-კილოს...
ვლოცულობ, უფალი გფარავდეს!
და თუნდაც ვერასდროს გიხილო,
მე მხოლოდ ის ფიქრიც მეყოფა,
რომ ჩემი ჩურჩული მოგესმა,
შენს ცისფერისხსელიან დედოფალს
სახეზე შეეხე როდესაც.
ხელს ვერ შეგვიშლიდა ვერავინ,
ვფიქრობდით... და რატომ გვეგონა?!
შენ მონა უფლის, მე – მხევალი,
შენ – შვილი მეფისა, მე – მონა...
ღვთით ერთმანეთისთვის შექმნილინი,
ჩვენ ერთმანეთისგან გაგვძარცვეს
და ჯვარი დაგვწერეს ერთ ღილით,
ოლონდ ორ სხვადასხვა ტაძარში.

ქმარს რომ გამოვუტყდი, გაჩუმდა
და გულში ჩამიკრა საბრალომ.
მე მხოლოდ ტკივილი ვაჩუქე
ღიდი სიყვარულის სანაცვლოდ.
თუმცა მისი ზედრი მწარეა
და დარდი – სიტყვებით ვერთქმული,
ის დღესაც ერთგული ქმარია,
სამეფოს მსახურიც – ერთგული.
ნაყოფს საიდუმლო ალერსის
პირმშო საკუთარი უწოდა,
ერთად გავუფრთხილდით მე და ის
მკერდქვეშ მოფრთხიალე უცოდველს.
მე ჩემი მშობლები არ მახსოვს.
რატომლაც, ახლაც და მაშინაც,



ღმერთს ერთი სიცოცხლის სანაცვლოდ
მეორის სიცოცხლე დასჭირდა...
ქმარმა, საიდუმლოდ ყველასთვის,
შენთან სიახლოვეს დამკრძალა
და ახლა ახლოდან შევნატრი
შენი საძინებლის ფანჯარას.
რადგან გულის ნაღველს ვერ ამხელს,
გახდა უხეში და უნდოც კი,
მაგრამ ჩვენს პატარას ჩემს სახელს
ეძახის და თვალებს უკოცნის.

უფლისწულს, ლხენისთვის გაჩენილს,
თითქოს ჩემი დარდი არ გეყო...
და იმ დღეს, ჩვენს შვილს რომ ვაჩენდი,
გვირგვინი დაგადგეს სამეფო.
მუდამ ჩემთან ყოფნას დამპირდი,
მაგრამ ბედი სხვაგან გადაწყდა.
დაობლდა სამეფო და ტვირთი
ქვეყნისა მხრებზე შენ დაგაწვა.
სასახლის კედელთან დღეს ბორცვი
წითელ ფოლიანტად ვპრიალებ.
ვერ მოგწვდი, ვერ მოგწვდი, ვერ მოგწვდი
და... ვარდად ვიქეცი ზეიარად.
მოდიხარ, ნაზ ფურცლებს გადაშლი,
კვლავ ჩემი სურვილით ენთები,
მეც გემუდარები – აქ დარჩე
და გებდაუჭები ეკლებით.
რამდენჯერ დათბა და აცივდა,
რამდენჯერ დაგლალე ოცნებით.
ყოველ გაზაფხულზე თავიდან
მოვდივარ, შენთვის ვიფოთლები.
გბანგავ ჩემი ნამის შარბათით,
მკერდგაღელილი და მკერდსავსე.
მიღიმი და ცისფრად დამნათი
ხომლი – მოლიფლიფე ზეცაზე.

იმქვეყნად ვინ იცის, ვის ახსოვს,
მეფეთა თუ დროთა მეფობა!
შენ ისევ მეფე ზარ, ძვირფასო
და ეტრუფი ყვავილთა დედოფალს.

მარტოობა

ამ ქალს არა აქვს აღარც სახე, აღარც თვალები,
ამ ქალს დღეებს და ხვალის
იმედს უფერმკრთალებენ,
ამ ქალს არა აქვს აღარც ყელი, აღარც ტუჩები,
რადგან ალერსით სულის

ტკივილს არ უფუჩებენ.
ნეტავ, ვინ უთხრა, რომ

სურვილი სამარცხინოა,
რომ ქვევრის ძირში ჩარჩნილი მჟავე ღვინოა,
რომ გაუვიდა ყველა ვადა და ცალს ნუ ეძებს,
რომ სიმწრისაგან გახევებულ ხელისგულებზე
მრუმე წარსულიც აწერია და მომავალიც –
უნდა ითმინოს მარტოობა კიდევ მრავალჯერ,
რომ არასოდეს დაუკეროს სხეულს ვნებიანს!..
...და ქალი კვდება,

როცა აღარ ეფერებიან!

გზად შატილისკენ

დღე გათენდება და შეიცვლება
ცხოვრება, გავლილი უშენოდ...
რადგან შემაფეო შეუძლებელს,
მარტო არ დამტოვო –
მიშველე!

გაგაოცებს ჩემი გაორება,
შენს თვალწინ ვიცვლები...
და უცებ
ჩამითრევ თვალების ჭაობებით,
მეც ვიძირები და
გაოცებ.

ბევრჯერ ვახსენე და დავიფიცე
ხილვის უხილავი შემქმნელი...
ეს შენ მაპოვნინე დედამიწა,
მაიც მაპოვნინე –
შეძელი!

მეყო, რაც უშენოდ ვიწანწალე
ღვთისგან სულ შებერილ ხევებში.
იქ დავიკარგები, ჩემთან წამო...
ჩემთან წამოდი ან...
შეძეშვი!

ბევრი ვერ გითხარი ერთი ლექსით...
თუმცა, საკმარისი სავსებით:
მე ნისლებს მივყვები ზევ-სულეთში,
მარტო თუ გამიშვებ –
დავრჩები!..

ილორის ზარი

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს
გუმბათი შეუცვალეს და თეთრად გადაღებეს.
მხოლოდ ზარი არ შეუცვლიათ...

თურმე ერთ ტაძარში მე და შენ
მოგვნათლეს და გვაცხეს მირონი,
მადლივით წვეთავდა ზედაშე
და ჯვარი გვლოცავდა ილორის.
თუმცა არც დღეს ვიტეხთ იხტიბარს,
არ ისმის იქ ლოცვა ქართული
და თავზე გვადგამენ ირიბად
გვირგვინად დახლართულ მავთულებს;
გუმბათებს და კედლებს დაბზარულს
ცრემლი სდით დაბინდულ ფრესკებზე,
ღრუბლები შავად და ტაძარი
ადგნენ და... ნისლისფრად შეღებეს;
გული კი ფრთხიალებს და ვიდრე
დარეკავს გონების სამრეკლო:
– დაინდე!
– დაინდე!
– დაინდე!..

მაფრთხილებს:
– არ ენდო!

– არ ენდო!..
უნაზეს ლოცვიან სიტყვათა
მდინარე არ მინდა დადუმდეს.
კვლავ წმინდა გიორგი გვიფარავს
მე და შენ – ილორის ნათლულებს.
ძარღვებში სისხლივით იარა
მადლმა და ვანთებდი იქ სანთელს,
რომ ზღვიდან მთებამდე კი არა,
ტაძრიდან ტაძრამდე გიყვარდე.
ტაძრამდე, რომელშიც სულის მზე
ზღვის ფსკერზე დროებით ჩასულა.
შენ იცი, ის ზარი გულში ძგერს,
იქ მხოლოდ ზარი რეკს ქართულად!

შენთან მოვდივარ,
ფეხსაც ვუწყობ გულს მოღილინეს.
ვსველდები,
წვიმა ჩამოშლილა ციდან მძივებად.
როცა ახლოს ხარ,
შენით ვხარობ,
შენით ვციმციმებ,
როგორ მიხდება მერე შენით აციმციმება!
არ დაგირეკე,
ეს პირადად სასაუბროა,
უკვე ახლოა ჩვენი სახლი, ჩვენი სართული.
აქ სულ თბილა და ჩახუტებაც ისე მყუდროა,
შემომიშვითო,
მერე წვიმაც მოგვიკაკუნებს.
ხომ გიყვარვარო? – მახალისებს ეს დაეჭვება,
უცებ თვალები მიცელქდება
და ვიბადრები.
შენ – რა ვიცი და...
სიგიურემდე მიყვარს პეტლები,
შენს დანახვაზე სხეულში რომ დაფარფატებენ.

რა საყვარელი ვინმეა...

თუ საკუთარი
სულის ხმა გესმის
და აყურადებ მთელი არსებით,
შენში განტოტილ
სიცოცხლის ფესვის
სუსტი რიტმებიც გესმის ასევე,
არ გაცლის სუნთქვას
ამ სიმშვიდეში,
სულდასერილს და
დარღვანახსენებს –
რა საყვარელი ვინმეა
ლექსი,
გესტუმრება და არ მოგასვენებს!..

ერთი კუთხის დამკარგავი,
შემიფარა სხვა კუთხებ
და მოვარდა გულში ზვავი
სიყვარულით ნაკურთხი.
მთის ჩანჩქერმა განმიწმინდა
სული, ბოლმამ დაცალა,
ამიტომაც, როცა იქ ვარ,
მე ისა ვარ – რაცა ვარ...
მაგრამ ჩემს ხმას რომ ვუმდერი,
მთას და მიწას მადლიანს,
მშობლიური, საყვარელი
ზღვა და სახლი აკლია.
რა ხეობა დაიტევდა
ცრემლად დაღვრილ ტკივილებს,
ერისწყალისხელა სევდას
ვმალავ ჩემი ღიმიღილით.
ათას ტკივილნანას სხეულს
ლოცვით ცისკენ ვიწვდიდი,
ძლიერიც ვარ, ამოფრქვეულ
ვულკანს ვფარავ სიმშვიდით.
თუკი ზოგჯერ მეკვრის სუნთქვა
შორის მიბმულ სიტყვათა,
მაშინ მინდა ჩავეხუტო
ჩემს ძმას ნანატრ ჭიშკართან.
უნდა მნახო გრიმებისა
და ნიღბების გარეშე,
აფხაზეთისხელა შიში
მიდგას ხოლმე თვალებში.
ზოგჯერ გიწევს სულით ზიდო
ჩემი დარდის ათი ქვა,
ზოგჯერ ჩემი დროებითი
ამქვეყნიდან გათიშვა...
და თუ ახლაც ჩემთან რჩები
შენი სულის ნაწილით,
ესე იგი, შენ ხარ ჩემი
მეგობარი ნამდვილი.

ბეგლარ

ირინას

ეკლესიაში პატარა, ფეხშიშველა ბიჭუნა შევიდა. კრძალვით მიუახლოვდა მოხუც მოძღვარს და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

- რისთვის მოდის, მამაო, ადამიანი ამქეყნად?!
- როგორ თუ რისთვის, შვილო?! – სიკეთისათვის,
- თითქოს გალობსო, უპასუხა მოხუცმა.

* * *

– სიკეთისათვის, – ამოტივტივდა ისევ მის გონებაში. გაეღვიძა, მზეს დაესწრო მისთვის ამოსვლა.

– ეხ, დავგერდი, – წაიბუტბუტა ბეგლარმა და თვალები მოუჭუტა მნათობს, რომელმაც უკვე მეასე გაზაფხულის მობრძანება აუწყა მოხუცს.

ფანჯარა გააღო ფართოდ. დილის სიო მიესალბუნა და თმა-წვერი აუჩეჩა. სასიამოვნოდ გააერეშოლა. გარეთ გავიდა. ნაწვიმრით სავსე კასრს მიუახლოვდა და პირზე წყალი მიიპკურა. კასრიდან სათხო სახის თოვლივით ჭადარა მოხუცმა ამოხედა. ცალი თვალით ბრძა იყო მოხუცი, მაგრამ ეს ნაკლი ოდნავადაც არ ჩრდილავდა მის დიდებულებით აღსავსე სახეს. გაულიმა თავის ანარქელი, – უყვარდა სიცოცხლე ბეგლარს.

წაიხემსა მცირედი. შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ცოლის საფლავს მიაშურა სახლის მახლობელ გორაკზე.

რამდენიმე ათწლეული გაილია მას შემდეგ, რაც აღარ იზიარებდა მასთან ერთად ცხოვრების ჭირ-ვარამს საყვარელი თამთა. განგებაშ სრულიად ახალგაზრდა მეულლე მოსტაცა ბეგლარს. დროის სიმუხოლისათვის გაეძლო ბეგლარისა და თამთას სიყვარულს. ერთადერთი შვილი, მცირე ასაკში გარდაეცალათ უბედურ მშობლებს. მარტოდ დარჩა მოხუცი, მარტოდ თავის სიკეთესა და ადამიანობასთან.

მარადებამ თვალწინ ედგა გულის მეგობარი, მუდან ახალგაზრდა, უბერებელი სათხო და ულამაზესი. მორჩილად იდგა და წყლიანი, მეტყველი თვალებით ელოდა ბეგლარს. გამჭვირვალე, მაგრამ მტკიცე და ურღვევი კედელი უშლიდა მასთან მიახლოვებას.

ხშირად, ისევ ის მოხუცი მოძღვარი ამოტივტივდებოდა ხოლმე მის გონებაში. ერთხანს შეჰქერებდა ბეგლარს. შემდეგ ბრძნული ღაღადისით არღვევდა დუშმილს: – სიკეთისათვის! – მერე კი გველაფერი ქრებოდა.

ბეგლარი



* * *

ეზოში, ცარიელი ძეგლი და ტყავი, შემოვიდა ახალგაზრდა, ძონძებში გახვეული, მათხოვარი. შემოვიდა ხელების ცეცებით, ძლივსძლივობით.

ყველა გლახამ და ხეიბარმა იცოდა ბეგლარის სახლი. ისიც იცოდა, რომ იქიდან მათ უარით ან სახრეთი არავინ გაისტუმრებდა.

მათხოვრებსაც კი უკვირდათ. მრავალთაგან განსხვავებით, არასდროს უნახავთ, ამ მოხუცის თვალებში ზიზღნარევი დამადლების იოტისოდენა გრძნობაც, მოწყალების გაცემის უამს.

არასოდეს უკრძალებისა მათვის უპირატესობა, თავისი მდგომარეობით ბეგლარს. – მერე რა, რომ მათხოვარია, ჩემგან, ალბათ მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ცხოვრებაში არ გაუმართლა და რა უფლება მაქვს მე, უბრალო მოკვდვს, მქონდეს და არ ვუწილადო, – ფიქრობდა მოხუცი.

– საბოლოო ლუკმას გაუყოფსო გაჭირვებულს, – ლოცავდენ მას.

ერთი წამითაც არ დაყოვნა. სახლში შევიდა. მაგიდაზე პურის მოზრდილი ნაჭერი, ყველი და ნახევარი ბოთლი ღვინო იდგა.

ღიმილით მიაჩეჩა ყველაფერი ეს ხელებში ხეიბარს. იქვე, ქვის ლოდზე ჩამოსვა, მოასვენა. ცოტა ხანს იჯდა ასე ხეიბარი, შემდეგ წამოდგა და გასასვლელისაკენ მიბრუნდა.

– საიო გაგიწევია, მმობილო, ცოტაც დაგესვენა, – სიტყვა დააწია ბეგლარმა.

– ეხ, ჩემთ მმაო, ერთ დროს მეც შენაირი ადამიანი ვიყავი. მეც მქონდა ჩემი წილი დედამიწა, მზე, ზღვა... მაგრამ ღმერთმა ინება და რისხვა დამატება. ურკულობმა თვალები გამომთხარეს და მარტოდ დამაგდეს უდაბნოში. ახლა კი მაცხოვრის საფლავზე მივდივარ. მინდა, რომ ღმერთს შევეკითხო, რისთვის დამსაჯა ასე უმოწყალოდ.

– იქამდე მისვლა ძალიან გაგიჭირდება, დარჩი აქ, ჩემთან, – შესთავაზა ბეგლარმა.

– ვერა, კეთილო კაცო, ვერ დავრჩები. – გასასვლელისაკენ გაემართა გლახა.

— მაშინ, რა შემიძლია გავაკეთო შენთვის, მითხარი, ნუ მოგერიდება.

გლახა გაჩერდა, შემობრუნდა მისკენ. უცნაურად გაელიძა და ასევე ღიმილით მიმართა ბეგლარს:

— თუ ასე გადალვებს ჩემი ბედი, მომეცი ერთი თვალი. ჩაისვამ და არ გამიჭირდება სალოცავ ალაგს მიღწევა!

თავი ჩაღუნა ბეგლარმა. თავის ცხოვრებაში პირველად გაუჭირდა მოწყალების გაცემა. უნდოდა ეთქვა: — მე ხომ ერთი თვალი მაქვსო! მაგრამ ბრმა ამას ხომ ვერასდროს დაინახავდა და არც დაიჯერებდა.

გულმა ბაგუნი დაუწყო. შემდეგ, თითქოს სხეულში ადგილი არ ყოფნისო, ნელ-ნელა ზევით აიწია და ყელში მოაწვა, სუნთქვა შეეკრა ბეგლარს. რაღაც უხილავი, შიგნიდან მეტრის განგრევას ლამბიდა. მუხლისთავები აუცახცახდა, თავბრუ დაეხვა. იგრძნო, რომ ცოტაც და წაიქცოდა. საკუთარ თავს ებრძოდა ბეგლარ. მერე ისევ ახალგაზრდა უსინათლოს შეხედა. მახვილად გაუელვა გულში მოძღვრის სიტყვამ — სიკეთისათვის!

— ის ახალგაზრდაა, მე კი ჩემი მინახავს და რა აზრი აქვს მისთვის უსინათლო ცხოვრებას!

— გაიფიქრა ეს, შერცხვა კიდეც თავისი წამიერი სისუსტისა.

ამოიღო ეული თვალი მოხუცმა და მისცა უსინათლოს. ჩაისვა თვალი და სიხარულის ღაღადისი აღმოხდა გლახას.

საკუთარ თავზე ამაღლდა ბეგლარ. მან ხომ შეძლო დაეძლია თავი და უდიდესი დათმობისა და მსხვერპლის წილ, ნაძღვილი სიკეთე გაეკეთებინა.

ისე გაქრა მათხოვარი, მაღლობაც არ უთქვაშს და არც უნდოდა ბეგლარს მისი მაღლობა.

იცოდა, რომ სიკეთე მხოლოდ სიკეთის წილ ხარობს და მასთან ადგილი არა აქვს ანგარებას.

წელის ფათურით მოძენა ხელჯოზი, ნელ-ნელა, ჯოხის ცეცებით ჭიშკრისაკენ წავიდა, აუყვა გზას გორაკისაკენ. მოუხედავად იმისა, რომ სიბეჭდის გარდა ვერაფერს ხედავდა, არ გასჭირვებია თამთას საფლავის მოძებნა. მივიდა, ჩაიჩოქა და დაემხო საფლავს. და იყო ასე, დიდხანს — გაშეშებული.

ისევ საყვარელი ცოლი წარმოუდგა თეთრ კაბაში, როგორც ქორწინების დღეს, სიბრმავის მიუხედავად წარმოსახვის უნარი არ დაკარგვოდა მოხუცს. ტირილი მოუნდა, მაგრამ ვერ იტირებდა. წამოწევა სცადა, მაგრამ ხელებმაც უმტყუნეს.

— ეხ, ვკვდები აღბათ და მალე ისევ ერთად ვიქნებით, ჩემი თამთა, — ჩასჩურჩულა საფლავს ბეგლარმა. იწვა ასე ერთხანს და ფიქრობდა, ფიქრობდა ცოლზე, მოძღვარზე, ცხოვრებაზე. ყველაფერი

გაიხსენა: ბაგშობა, მშობლები, სიყმაწვილე...

— არაფერს ნანობ, მოხუცო?!! — მოესმა ზურგსუკან.

— არაფერს, — უპასუხა ისე, რომ არც დაფიქრებულა, თუ რის შესახებ ეკითხებოდნენ. მერე გონის მოვიდა.

— რომელი ხარო, — ჰკითხა ხმას.

— ვერ მიცანი? — ის მათხოვარი ვარ, თვალი რომ მაჩუქე წელან. ვიცოდი, რომ ერთი თვალი გქონდა, მაგრამ მაინც გთხოვე, — გამოგცადე. მართალი გიოხრა, პირველად განმაცვიფრა ადამიანის სიკეთემ. ახლა კი იმისთვის მოვიდი, რომ სიკეთე სიკეთით გადაგიხადო... მოხოვე, რაც გინდა!

— ეხ, ხუმრობ აღბათ, რა შეგიძლია შენ, ხეიბარო?! მაგდენი ძალა რომ შეგწევდეს, საკუთარ თავს მიხედავდი.

— შენ მოხოვე, რა იცი, იქნებ შეგისრულო.

— ერთხანს დაყოვნდა მოხუცი.

— ჩემს თამთასთან მინდა, — ვერ დაუმალა სურვილი მათხოვარს.

— შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გიყვარს ბეგლარ!

— საიდან იცი ჩემი სახელი?!

— მე ყველაფერი ვიცი...

— ეხ, დავიღალე. დავბერდი, ამ მიწასაც უჭირს, აღბათ, ჩემი ტარება, თამთაც მელოდება იქ.

— მაშ კარგი. — წამოაყენა მოხუცი მათხოვარმა,

— წავიდეთ...

რამდენიმე ნაბიჯი ძლივძლივობით გადადგა ბეგლარმა. შემდეგ, თითქოს მიწა გამოაცალესო ფეხევეშ, სიმსუბუქე იგრძნო და...

ისევ მოძღვარი წარმოუდგა თვალწინ, ჩვეულებრივზე ამაღლებული და კეთილშობილი, ეღიმებოდა მოხუცს და დაწვებზე ნაკადად ჩამოსდიოდა ცრემლი. ერთხანს უყურებდა ასე, შემდეგ შემობრუნდა და თავისეკნ მოუხმო ბეგლარს.

დაირღვა მტკიცე, გამჭვირვალე კედელი და აღსრულდა ბოლოს და ბოლოს ადამიანის დაუოკებელი სურვილი:

შეხვდა ბეგლარი თავის საყვარელ თამთას.

* * *

ეკლესიაში ფეხსაკრეფით პატარა, ფეხშიშველა ბიჭუნა შევიდა. კრძალვით მიუახლოვდა მოხუც მოძღვარს და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა: — რისთვის მოდის, მამაო, ადამიანი ამქვეყნად? მღვდელი შებრუნდა მისკნ, დაიხარა და ღიმილით თავზე ხელი გადაუსვა. საოცრად ჰგავდა მოხუცი მოძღვარი ბეგლარს...


ბები მამალაძე

გაბრიელ, ბები მამალაძე — თბილისელი ბიჭი, რომელსაც უფარდა პოეზია, მუსიკა, მხატვრობა. უფარდა სამშობლო, მეგობრები. ბები იყო რეპის მომღერალი, პოეტი, რომელიც საოცარი სიმძაფრით წერდა თავის ემოციებზე, სიყვარულზე, სოციალურ საკითხებზე, სულიერებაზე. ბები ხატავდა ისტორიულ და რელიგიურ თემებზე. 2011 წელს საპატრიარქოსთან არსებული მოძრაობა „დავითიანნის“ მიერ ჩატარებულ კონკურსში „საქართველოს მეცე-დელფილები“ და პატრიარქები“ ბები მამალაძის ნამუშევარი „დიდგორის ბრძოლა“ რუსულან ფეტვიაშვილმა და გია ბულაძემ უმაღლესი ქულებით შეაფასეს. ასევე, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის კონკურსში „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ ბებიმ საპრიზო აღვიღილი დაიმსახურა. იგი პასტით ხატავდა. თემებს თავად არჩევდა. მას არასოდეს პყოლია პედაგოგი ხატვაში.

ბების ლექსებში ჩანს მისი შეურიცებელი სიმართლის და სიცოცხლის მოყვარული, მებრძოლი სული. ლექსები და სიმღერები: „მე ვხედავ“, „ჯერ არა“, „ოცნება“, „თბილისელი“, „ვორონა, სახელად გაზაფხული“, „გოდერი ჩოხელს“ ახალგაზრდობამ შეიყვარა და საქართველოს არაერთ კუთხეში გაიღონებოთ ბების თბილ, სიყვარულით დამუხტულ ხმას. ბების სიმღერებს სოციალურ ქსელში ათასობით ნახვა აქვს. აღალი, სიყვარულით და ნიგვირებით სავსე, დაუდგრომელი ახალგაზრდა 2015 წლის 25 მაისს, სკოლის დამთავრებიდან მეორე დღეს, განსაკუთრებული სისახტიკით გამოასალმეს სიცოცხლეს. თავისი ქვეყნის, კუთხის უსაზღვრო სიყვარული ჩანს მოთხოვობაში, რომელიც ბებიმ 10 წლის ასაკში დაწერა. საზოგადოება მალე გაეცნობა მის შემოქმედებას, ლექსებს, სიმღერებს, ჩანახატებს, მინიატიურებს. 18 წლის ასაკში მან წარმოუდგენლად ბერი შექმნა.

2015 წლის 2 დეკემბერს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ბები მამალაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

გთავაზობთ ბები მამალაძის მოთხოვობას.



ჩემი სოფელი

დილას ცა შეტრიალდა. მამალმა იყივლა. თბილისში მზე რომ ამოდის, ცუდ ხასიათზე ვდგები. ლოგინიდან რომ ავდგე, ცალკე დედა უნდა მეზევწოს და მემუდაროს, ცალკე — მამა, მაგრამ ჩოხატაურის სოფელ ხევში ადგომა მიხარია და დედაქმზე, ხანდახან მამაჩემზე ადრეც კი ვდგები (მეტი არა ჩემი მტერი). დილას ძროხებს კალაშისკენ მივდენი, ხან ბიძაჩემთან და ხან მამაჩემთან ერთად. დღეს მე, ბიძაჩემმა და ვასიკომ გავდენეთ. ვასიკო ჩემი ორი წლის ბიძაშვილია. პატარა თათუნებში უჭირავს ჯონი და მამამისის კისრიდან ყვირის — წადი, ბიჭო ძროხაო და მივუყვებით აღმართს. ოთხი ძროხა გვყავს: ერთი ხბო — ჭრელა, მას ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ სხვადასხვა ფერშია გადაწყვეტილი, დედამისს ნიკორა ჰქვია. ისიც ხბოს მსგავსია და მეორე ხბოზეა მაკედ. ქი დაბანცალებს და არი თავიზა. ორი დიდი ძროხა მყავს: ერთი ხარი, ვარც ძროხები გავდენეთ, ზაზაია ფოსტალიონმა რომელიც ჯებე ბურაა და ვასკა ჰქვია. ბიძაჩემმა

მას ეს სახელი ზემოხსენებული, ჩემი ბიძაშვილის გულობიზა დაარქვა. ორივენი ორ-ორი წლისანი არიან და ბოლოს ყველაზე დიდი და ხანდაზმული ძროხა ჩვენს ბოსელში თეთრაა. წინ თეთრა მიდის, უკან ხარი მიჰყება. იმ დღეს ანზორის ძროხებიც ჩვენ გავდენეთ, საერთოდ ასე ვდენით ხოლმე ერთად. ანზორი მასხორის, მაგრენი სტერილური ძროხები არიან და ერთმანეთის ნაჭამ ბალახს არ მოძოვენო.

კალაშზე ერთხელ ვარ ნამყოფი, ულამაზესი ხეობაა. კალაშას და ხევს ერთი გორა ჰყოფს. მის წვერში გზა იყოფა. ერთი გზა ციხიას ქვისკენ მიდის, სადაც დათვები ბინადრობენ და იქ, რა თქმა უნდა, არ ვარ ნამყოფი. კალაშაზე კი, წყალში კალმახები და პატარა ლიფსიტები ცხოვრობენ, ხოლო მიწაზე — მგლები, მელიები და ტურები.

დაუბრუნდეთ ჩემს ისტორიას სოფელზე. რა-ვარც ძროხები გავდენეთ, ზაზაია ფოსტალიონმა შემოაღო ჩვენი ეზოს ჭიშკარი. ზაზაია მამალაძეს

ნამეტანი ეშინია ჩვენი ძალლი – კეპულასი, ზაზაია გარეგნობით დიდი არაფერია, მაგრამ რომ არ უყურო და მოუსმინო, იფიქრებ ინტელექტუალიზმის ზენიტშიაო. ვასიკომ უთხრა – მობრძანდიო. ჩვენ დიდი აღფრთვანებით შევხვდით. ყოველთვის ხომ არ ამბობს ორი წლის ბავშვი ასეთ სიტყვებს. ფოსტალიონი კოჭლობით შემოვიდა ოთახში. ბიძაჩემი გეემასხრა: „ – რაია, რო ჩაგიხუტებია მაი გაზეთები, რა გაქვს შით?“ ბებიაჩემმა უთხრა, რათ გინდა აი ფოსტალიონობა, რომ დატრიხინობ აქით-იქითო. ზაზაიებ უთხრა, სანამ ლენგერუთი არ დამჟვერავ, არ მოვიშლი იქით-აქეთ სიარულსო. „ – რავა გაკადრებ ლენგერეს ზაზაიებ, იმფერ მიმაჩინხარ შენ!“ ნინო ბიცოლამ სუფრა გააწყო. ბიძაჩემმა მაშინვე მიართვა ლვინით სავსე ჭიქა. ზაზაიებ დეიწყო და ბებიას მიმართა:

„ – შენ, ირინე დეიდა, დედასავით მყავხარ. თქვენ ნანახი გექნებათ ცნობილი კინორეჟისორის, თეგიზ აბულაძის ფილმი მონანიება“, – წოუნიტელიგენტა ზაზაიებ. „ – ფილმის ბოლოს რავა ელაპარაკება გარლამ არავიძის ცოლი ზენაბ ბოცამე ცნობილ კინომსახიობ ვერიკო ანჯაფარიძეს: „ – ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან მიმიყვანს? – არა, ქალბატონო, ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან ვერ მიგიყვანთ!“ – მაშ, რა საჭიროა გზა, თუ ღვთისმშობლის ტაძართან არ მიღის?!“ და მართლაც, ყველა გზა ღვედისკენ უნდა მიდიოდეს. მოდი, ყველა ღედას გაუმარჯოს.

ოთახში მსხდომთ, ყველას დია დარჩა პირი. მე პირიდან მანდარინი გადმომვარდა. ზაზაიე წამოდგა ფეხზე და გვიდა. ბებიამაც თქვა, წავალ საღორესთან, ღორს დავაზტყვდევო. ათ წუთში ბებია მებახის, მოი, მომეხმარეო. ერთ წუთში იქ გაგწნდი. თურმე გოჭი გადმომხტარა საღორიდან და ვერ დაწევია ბებია, მარა ქე დოუჭერია რაცხანაირათ. ვერ მოუსწარი ჩასვლა, მერე დეიწყო წუწუნი, ერთს ხო არ მოიკითხავს დედასო. მართლა ღორზე გამახსენდა. იმ დღეს ჰამლეტიე გვესტურა, ყანიდან მამამ დაგვიძახა, მოით ღორი ვიპოვნეო. ევედით ზეთი. 7 გოჭი ჰყავდა დაყრილი. ეს ღორი გუშინწინ გვეიდა საღორიდან და არ დაბრუნებულა, იმავე დღეს თხებიც დაიკარგნენ და ბიძაჩემმა იგინიც იპოვა. სულ სამი თხა გვყავს: ერთი შავი და ორი თეთრი ზოლი შუბლზე, მეორე სულ შავი და მესამე სულ თეთრი. შავი ნამეტანი ცეტია. იმ დღეს მე და მამამ ჰამლეტიეს ასახვევთან დევინახეთ. დიდი ხანი ვეცადეთ გამოდენას, მარა არ მეეშვა იმ აღგილს. მერე ჰამლეტიემ დეიჭირა და რქებით მომაწოდა. მამაჩემი დეიდალა და წევიდა სახლში, მე წამევილე, ნამეტანი კი დამღალა, მარა გამუშუტანე ბოლოს წირვა. ოთხივე ფეხით ატორ-მუზებდა, გაჯიქდა, მარა მაინც მივიყვანე სათხემდი. მერე ბებიამ დაამწყვდია.

ბაბუჩემი გურიის კოლორიტია. 50 წელს გადაცილებული ყველა გურული იცნობს ვასო მამალაძეს, ოღონდ ჩოხატაურისა და ბაბმაროში. ბაბუა უსინათლოა, ის ხშირად არის დაკავებული სხვადასხვა ფილოსოფიურ თუ სასოფლო-სამეურნეო საკითხზე საუბრით მამაჩემთან. მას ყურები დაცქვეტილი აქვს, ას მეტრზე ესმის ძროხის ზარის ხმა. გუშხამ, ბედობას ძროხები ისევ დილას გავდენეთ, მაგრამ შუადღის სამ საათზე ჩამოვიდნენ, ჯერ კიდევ ოთხი საათი უნდა ყოფილიყო წასული მანამდე. მე ბებიამ ძროხების ბარაქიანი ნაკელი გამაზიდინა, მერე თხის კურკლი გამატანა ბახჩაში, მერე ღორი დაამწყვდია და გავიდა ოთხი საათი, მარა ძროხები არ ჩანდნენ. ორი მაჯე ძროხის დაკარგვა ხუმრობა ხომ არაა. ბები შელოცვას აპირებდა. ეს შელოცვა ასე უღერს: „ეკენია, ბეკენია, ეკეს ხატი სვენებია, მეუფეო გადმომიგდე, შენი იქროს ბეჭედია, შენ შებეჭდე, შენ შეკინტე იმ მხეცების კბილებია. ჩააგდე ზღვაში არ გაუშვა, ჩემი ამღამინდელი საქონლის მონადირეს, შეუკარი კბილები.“

რეცეპტი ასეთია: შეფსკვნი მაკრატელს და დანას, ჩამოკიდებ კარებში. კარი არ უნდა გაიღოს დილამდე, მარა გვეღირსა და მევიდნენ ძროხები. ბებიამ დეიწყო: „უიი, თქვე გაფუჭებულებო, თქვე გათახსირებულებო, დედა რავა გამახარეთ, რომ მოხვედით, და რაფერ ამიშალეთ ნერვები, რომ დეიგვიანეთ. თქვე სასიკვდილებო, თქვე ვირიშვილებო, მოო ბოჩო, მოო... თქვე მართლა, ძროხებო“. მევიდნენ 11 საათსა და 30 წუთზე. 12 საათზე მეკვლეობით შევდი სახლში. ასე რომ, უძროხობა არ დაგვბედებია.

მაშ ასე, მოდის ჩემი თბილისში წასვლის დრო.

ვემშვიდობები ჩემს ძროხებს, თხებს, ღორებს, გოჭებს, ბურვაკებს, ჩემს გუბაზოულს, გიუივით რომ მოდგლიშინებს გადარეული, გუბაზოულით ახმაურებულ ჭალას, ამ მთებს, ამ ყანებს, სხვადასხვა ფერად რომ შეფენილან, ამ გორებს, ამ ხეებს, სხვადასხვა ფერში რომ ჩაფლულან, ჩემს ცარიელ, მაგრამ მხიარულ სოფელს, ბიძიას, ნინო ბიცოლას, ვასიკოს, ბებიას, მოკუნტული რომ დადის და მუხლჩაუხელად მუშაობს, ბაბუას თავისი განვითარებული სმენით, ჩემს კეპულას, მოახინო კავკასიურ ნაგაზებს რომ აშინებს ყეფით, ამ ცას, ამ მზეს, რომ ამოიწვერება და სულ ზემოთ-ზემოთ რომ მოიწევს გორის უკნიდან... მაგრამ დაიწყება ისევ ქალაქერი ცხოვრება, გინება, ჩხები, გამონაბოლქვის ყლაბგა, გაფუჭებული ბავშვები, რომლებიც მარტო სხვების დაჩაგვრაზე ფიქრობენ, და ბოლოს: სხვის ნიუ-იორკს და ლონდონს ჩემი ხევი მირჩევნია. გმადლობთ, რომ მომისმინეთ.

2010 წელი. კალანდობა.

ო ნიურლო გ ი მ ლ ი ე ნ

თამაჩ ბაკანაძე

ფოტოებში გაცოცხლებული სუხიშვილები

70 წელიწადია მსოფლიოს გარშემო კვლავ სრული ანშლაგებით მართავენ კონცერტებს, კვლავ ტრიუმფით დადიან და აოცებენ მრავალგზის „დაპყრობილ“ ქვეყნებსა და ხალხებს სუხიშვილები.

მიდიან და მოდიან თაობები. იცვლება მიდგომები, რეპერტუარი, მაგრამ ხელუხლებელი რჩება მუხტი, რომლებიც დიდმა იღიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა დატოვეს თავიანთი ხალასი შემოქმედებით, საოცრად მომხიბვლებით ცეკვებით, ვირსალაძისეული განუმეორებელი კოსტიუმებით.

უცვლელი რჩება კიდევ ერთი, ფასდაუდებელი, ნინო რამიშვილის მიერ „ოქროს ხანად“ წოდებული 60-70-იანი წლების პერიოდი და ის გვარ-სახელები, რომლებიც ასევე დიდი, ოქროს ასოებით ჩაიწერა არა მარტო ანსამბლის, არამედ ერთს კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

ტელევიზიის „ოქროს ფონდში“ დაცული ჩანაწერების, ფილმებად ქცეული გასტროლების, რიგითი კონცერტებისა და რეპეტიციების, წიგნებად ქცეული ამბების, ბუკლეტების, დაუგირფარ ფოტოებზე სამუდამოდ დაფიქსირებული, შეჩერებული წამების მეშვეობით, ჩვენ თვალწინ ცოცხლებიან მომხიბვლელ ქალ-ვაჟთა მიერ უზადო პლასტიკის ენაზე ამეტყველებული ჩვენი „რასის“, ჯიშისა და მოდგმის სილიურე და მშვენიერება.



...ცოტა სწინ წინათ, მწერლის სახლმა სიამოვნებით უმასპინძლა ამ ისტორიის ერთ-ერთი შემქმნელისა და თანამონაწილის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, მრავალტიტულოვანი ბატონი თენგიზ უთმელიძის ფოტოგამოფენას.

ცოტა მოცემული მოცემულებები და მსახიობი, უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, არაერთი წიგნისა და საინტერესო პუბლიკაციის ავტორი, „ქავეთის ციხის“ ტარიელი და „ეთერის სიმღერის“ აბესალომი, ნინო რამიშვილის, იამზე დოლაბერიძისა და ლატავრა ფოჩიანის (ცეკვა „ქართული“), მანანა აბაზაძის („ხევსურული სუიტა“), ნინო კირვალიძის („დავლური“, „წყარო“) უცვლელი, ბრწყინვალე პარტიირი, წლების მანძილზე, დაუზარლად იღებდა, ქმნიდა და აგროვებდა უნიკალურ, შთამბეჭდავ კადრებს, რომ-

ლებიც შემდგომში სუხიშვილების ფოტოარქივად და, მოგვიანებით, საინტერესო წარსულის ამსახველ წიგნ-ალბომადაც იქცა.

საღამოს წამყვანმა, საქართველოს დამსახურებულმა უწრნალისტმა, უნივერსიტეტის პროფესორმა ივანე ჯაფარიძემ მითხრა, რომ ეს რომანტიკული ფოტომატიანე უკვე მრავალჯერ გამოიყინა თბილის საქართველოს სხვა ქალაქებში. მწერლის სახლში მოწყობილი საიუბილეო, რიგით 30-ე გამოფენა კი ანსამბლის ასევე საიუბილეო, 70-ე წლისთავს მიეძღვნა. არის მიწვევები სხვადასხვა რეგიონიდან. მალე მათაც ექნებათ საშუალება, შეხვდნენ ამ ლეგნდარული ანსამბლის დაუგიწყარ სახეებს. თენგიზის მახვილმა თვალმა, გემოვნებამ, ალღომ და ინტუიციამ, მართლაც რომ, უნიკალური კადრები შემოუნახა შთამომავლობას. გარდა ამისა, თენგიზის არქივში ინახება უცხოეთის მრავალი ქვეყნის პრესაში გამოქვეწული საუცხოო რეცეპტიები, სტატიები, რომელთა წაკითხვა, სიამაყით აღავსებს მკითხველის გულს.

სხვადასხვა სფეროში კარგად ცნობილ ადამიანებთან ერთად, დარბაზში ისხდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ოქროს ხანის ვარსკვლავები: იამზე დოლაბერიძე, ნინო კირვალიძე, მანანა აბაზაძე, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, ლადო კახაძე, თამაზ კიკალიშვილი, ჯუმბერ ბერაძე. მათ შემსედვარე მაყვალა გონაშვილს გული აუჩუყდა – აი, ეს არისო ჩემი ქვეყანა, ამ ქართული კულტურის ჭეშმარიტმა რაინდებმა და ქალბატონებმა ასახელეს და შორს გაიტანესო საქართველოს სახელი.

საღამოზე ანსამბლისა და მისი გამორჩეული პერსონებისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ერეკლე საღლიანმა, მზია ხეთაგურმა, ია სულაბერიძემ, მიმოზა ცანაგამ. გიორგი ერისთავისა და იოსებ ნონეშვილის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ზურაბ ცინცქილაძემ და ავთო მიქაძემ.

ქართული ქორეოგრაფიის უდიდესი საგანმურის შემქმნელმა და მემატიანე თენგიზ უთმელიძემაც არაერთი ლამაზი ლექსი უძღვნა შმობლიური ანსამბლის ხელმძღვანელებს, სოლისტებს და იტალიაში, მილანის „ლა-სკალას“ სცენაზე განვითარებულ უდიდეს მოვლენას – როგორც ცნობილია, მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო თეატრის სცენაზე, გამონაკლისის სახით, პირველად დაუშვეს ფოლკლორული ანსამბლი. გამაოგნებელი იყო წარმატება – პირველად ამ თეატრის ისტორიაში, მქუჩარე ოვაციების ფონზე, 16-ჯერ აიხადა და დაიხურა ფარდა. აქვე დიდი სიამონებით აღნიშნა ბატონმა თენგიზმა, რომ ანსამბლის სიცოცხლისუნარიანობა და წარსულის დიდება ასეთივე წარმატებით გრძელდება ღირსეული წინაპრების ღირსეული მემკვიდრეების, პატარა ილიკო და ნინო სუხიშვილების ხელმძღვანელობით.

ბევრი თბილი, ნაცნობი, თუ უცნობი ამბისა და მოგონების მსმენელი და მხილველი გახდა გამოფენაზე მობრანანებული საზოგადოება. ყველა ერთსულოვანი იყო შეფასებაში, რომ წარმოუდგენლად დიდია ბატონი თენგიზის დამსახურება იმ სანუკვარი განძის შექმნაში, რასაც სუხიშვილების ფოტომატიანე ჰქვია...

თბილისში გრიგოლ აბაშიძის ბიუსტი გაიხსნა

გუდიაშვილის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარედ, გრიგოლ აბაშიძის ბიუსტი გაიხსნა. პროზაიკოსის, მთარგმნელის, პოეტისა და დრამატურგის გრიგოლ აბაშიძის ბიუსტის ავტორი თეიმურაზ ასათიანია.

გრიგოლ აბაშიძემ უზარმაზარი შემოქმედება დავვიტოვა. „ეს ძეგლი მომავალ თაობებს შეახსენებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვრჩა პატივისცემა და სიყვარული იმ გამორჩეულ მოღვაწეთა მიმართ, რომელთაც დგაწმიდი დასდენ ჩვენს კულტურას“, – განაცხადა მწერალმა მაკა ჯოხაძემ.

გრიგოლ აბაშიძე 1914 წელს ჭიათურის რაიონში, სოფელ ზედა რგანში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1967 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად, 1973 წლიდან კი თავმჯდომარედ აირჩიეს. გრიგოლ აბაშიძის მთარგმნელობით საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უნგრელი პოეტის, შანდორ პეტეფის პოეზიის თარგმანებს. სწორედ ამიტომ, მისი ბიუსტი 2008 წელს ქალაქ კიშკოროშში, პეტეფის სახლ-მუზეუმის ეზოში დაიდგა.

გრიგოლ აბაშიძე 1994 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ქორები

„მერე, ზეცაში იწყება კაცი“...

ნუგზარ ბერაძე (ლილინო ცახური) – 60



ადამიანი არცერთ მდინარებას არ უნდა დაპყვე – მით უმეტეს დროისას, რომელიც, იმ სიმაღლეზე, სადაც „მართლა ადამიანი“ იწყება, არ არსებობს!..

დრო თავად უნდა შექმნა – მარადიული დრო! თუ მარა-დიულია, როგორი? იკითხავს მავანი. როგორ და, შენი წილი უდროობა ისე უნდა გაიარო, რომ მარადისობას შეერწყა – ეს, ერთეულთა ხედრია... სამწუხაროდ... ერთეულთა, მაგრამ, ამავდროულად, მთავარი სამიზნე და მიზანი – ადამიანობამდე მისვლის ერთადერთი გზა!

თითქოს და, მეტი ხომ არ მოგდისო? მაგრამ, არა – იქ, სადაც კაცი იწყება, მეტი არ არსებობს (არც ნაკლები, სხვათა შორის).

ეგებ, თავად მეფიქრა (სხვას რომ თავი დავანებოთ), კალამი წამცდებოდა და დავწერდი: როგორია ძმაზე წერა და საუბარი, – უძნელესი-მეთქი. მაგრამ, არა! არა იმად, რომ, მან თავისი უდროობა ისე გალია და დროდ აქცია, ყველა კითხვის ნიშანი წაუშალა...

ვინ, როდის და როგორ დაფაქსებს, თუ შეაფასებს ნუგზარის განვლილ-დატოვებულს, ეს ღიღინო ცახურისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია... აუცილებლად მთავარი ოდენ ისაა, საკუთარ სულში, საკუთარ საზრდოდ როგორ გადაითვასებს მკითხველი და, თუ „ერთ ნაბიჯად“ მაინც გამოადგება მარადისობისაკენ მიმავალ გზაწვრილზე, მეორეს თავად „დაუმატებს“ და „მესამე ბიჯის“ გასააღვილებლად დაუტოვებს უკან მომავალოთ...

„...ავდექი, ძმებო, ნამდვილად დროა,
სხვა რომ არ იყოს, მეღლიან აწი,
ადამიანი მიწაზე ბრბოა,
მერე,

ზეცაში იწყება კაცი“!..

ღიღინო ცახური – (ნუგზარ ბერაძე) 1955 წლის 5 დეკემბერს დაიბადა... 2002 წლის 14 დეკემბერს მარადისობას შეერწყა... აი, ესაა სულ... და ამ ორ თარიღს შუა დაუტეველი უნდა ჩაატიო... ნუგზარმა ეს შეძლო!

არ მითხათ, ძმას აქებო, გთხოვთ! მე უბრალოდ, იმაზე და ის ვთქვი, რაც მან შექმნა და ადამიანობად დაგვიტოვა... და კიდევ ერთი – ბევრჯერ უთქვამთ თავის მართლებად „იმ ერთეულებზე“ – ამ, ცხოვრების არ იყო, სხვაგან დაფრინავდაო?! არა, ბატონებო, ის და მისდარნი ზუსტად იქ იყვნენ და იქ რჩებიან, რასაც ჭეშმარიტი ყოფა ჰქვია... უბრალოდ, ცდილობენ, აგვარიდონ ყალბ რეალობას, რომელიც ოდენ მირავია და მართებულ ყოფაში დაგვამკვიდრონ! ჩვენ კი...

მეტი რა შეიძლება დაიწეროს პოეტზე? ყველაფერი არაფერია! დასაწერი მან, თავად დაწერა! დანარჩენი კი... გზაზე საგზლად, მისი ფურცელზე გადმოტანილი ნაფიქრი ისაგზლეთ...

პატივისცემით – რამაზ ბერაძე

* * *

„წასკლა სჯობს წარმავალისა...“
ნალბურთი

ავდექი,
აწი ნამდვილად დროა,
დაგლოცავთ, ე, ამ პატარა ჭიქით
და წუთისოფელს ისე ვით ტროას
დაყურებ,
მიხმობს სინდისი „იქით“.
ეს საუკუნე, რომელიც მოვალს
ოცდამეერთის იქსოვენ გრიფით,
მეხით დახეთქილ ბერმუხის ზროა,
ღრუბლებს რომ ხვეტდა ოდესლაც რიხით.
არავითარი ზარი ან გლოვა,
მეტადრე,ჩუმი სლუკუნი ლიქნით,
ამალგამაში გავდივარ, ხროვა
სახტად დავტოვე და უხმოდ მივქრი.
ჩავყინთე ჩემივ სულის მორევში,
ლექსით ვარსკვლავებს შევესიზმარე,
დიდი იდალგო მარჩევს ტოლებში,
დინ ლამანჩელი Ensimismarse.
memento mori, ჩემო ტერნტი,
სულ ტყუილია, ხომ ნახე, ჯიმა?!
პატარა ძრწოლით მოვრჩი ხმელეთი
და ფრთებს „მისოვლებს“ უუჟუნა წვიმა..
ჰე, გალაკტიონ, შენს გალაქტიკას
შევეხიზნები ერთი ტლუ ბიჭი,
ჩვენი ხილვები, იცი, რაით პგავს? –
შენ ხარ უბიწო, მე ვარ გულბილწი.
ლაოკონის გველივით მბოჭავს
სინდისის ქენჯნა ხორციელ ყოფის,
რაც იყო, – იყო, გათავდა, მორჩა
შემართული მაქვს ჩახმახზე თოფი.
ავდექი, მმებო, ნამდვილად დროა,
სხვა რომ არ იყოს, მელიან აწი,
ადამიანი მიწაზე ბრბოა,
მერე,
ზეცაში იწყება კაცი...

აჩრდილი მუნჯი

სიბნელე დადის, აჩრდილი მუნჯი
გოგირდისალისფერი ნათებით,
სისხლში გასვრილი უჭირავს ფუნჯი,
და დღაბის კედლებს თავგადადებით.
ა, ფრიქსე-შორით მორთული კოლხას
და აიეტის ბალის ჩრდილები,

დგას იაზონი, ისწორებს ტოგას,
გარშემორტყმული ძაღლიშვილებით.
ქალო, ო ქალო, ვერაგო ქალო,
ისევე შენი „კაიქალობა“,
ვის აღეწინე სამშობლო კალოდ,
ქალო ასეთი რა გიგალობა?!
და გადადიან საუკუნენი,
ცოდვიან ხელით, მხატვრის ტანდემით,
როგორც ცხელსისხლა შავი ჰუნენი,
ქვეგამხედურთა სათავადენი.
სიბნელი დადის, აჩრდილი მუნჯი,
და მეორდება დრამა ერგასწლის,
ხომ გულს მიწურავს წითელი ფუნჯი,
სხვის ცისფერ ფუნჯში მაინც ვერ გავცვლი,
„დიმ ოტეჩესტვო სლადო“ – პუშკინმა,
მართლა ასეა?!
– თუმცა რა ვიცი,
თავზე დაგვამხეს ცაო გუშინაც –
ვამბობ და სიტყვის ცეცხლით დავიწვი.
უბედური ხარ, სამშობლოვ ჩემო,
და ბედნიერი უბედურებით,
მე პოეტი ვარ, მე ვიცი გემო
ტანჯვის და მოდი, ნუ მემდურები!
თუ შეგახსენე დიდი წარსული,
და ვდღაბნი ბნელში სისხლისფერ სულებს,
თუ აიეტის ბრიყვი ასული
ვიცი, რომ თავის საქმეს ასრულებს!
ნუ გეწყინება, რა ვქნა, წყვდიადი,
ჯერ კიდევ კაი ხანი იქნება,
მაგრამ ამოვა მზე მირიადი,
უბრალოდ უნდა ცდა და მიგნება!

მმას – რამაზ ბერაძეს

უღმერთოდ რთული და ნერვიული
თავით ბოლომდე დარდი,
წინ მიღევს შენი თეთრი რვეული –
ეკლებიანი ვარდი.
შენი ჭირიმე, ძმაო, ასეთი
ჯოჯოხეთი ვით განვლე,
არ დაგცდენია სიტყვა არცერთი,
მაგ გულში როგორ მალე?
ვაიმე, ბიჭო, როგორ უძლებდი,
ან, თუ გაძლება ჰქვია,
მთელი ცხოვრება თურმე უმზერდი
შენთვის დასახლელ ტყვიას?
და იცინოდი, რა სიკვდილები
გაგიცხოილია ტვინში,
ვაიმე, რამაზ, გადავირევი,
სისხლის გემოს ვგრძნობ პირში..

პოეტი

ძმას, თემურ ჩალაბაშვილს

პოეტი გახლავთ სულწასულობა,
(არ გვინდა ამის მთლად უარყოფა),
უსაწყისობის უსასრულობა
და ბედისწერის გარდუვალობა.
სულ ერთი ციდით მეტია სხვაზე,
მეტით კი არა, სულ ერთი ციდით,
ეს სიდიდეა, რომა ჰკლავს ასე,
ასე რომ კვდება, მიტოა დიდი.
და ჰაი გიდი, გაუძელ ახლა
დავაგლახებულ ქეყანას ციდას,
სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, მახლას,
მაგრამ მანამდე მისვლა ხომ გინდა?!
გაკიდული ხარ ცა-მიწას შორის,
გამოგისკვნია მზის სხივი თასმად,
ჩამოგიქროლებს სულეთის ქორი
და სად წაგიღებს, არ იცის კაცმა.
მანამ კი ასე მიმოქანაობ,
ნანაობ, ნანობ და გიხარია,
თანდის-თანობით, ხანდი-ხანაობ
შემჩნეული გაქვს კაიხანია.
ეს ფატალური გარდუვალობა
დროის და სივრცის მიღმამყოფობის,
აჲ, არ მაკადროთ მთლად უარობა,
ყივილი გახლავთ ციდან ხოხობის!
მერე კი, როცა ვნება ჩაცხრება,
როცა უჯამო სოფელში წავალთ,
რის გამარჯვება ან დამარცხება? –
ვნახავთ, რომ ფუჭი ყოფილა დავა.
მანამ? ეჲ...

სანამ ამ სოფელს ვსტუმრობთ,
მეც კარგი ხვითო გახლავართ ვიცი,
პოეტის ნიღაბს ვატარებთ მიტომ, –
საწუთორო ვხედნოთ? ვით ურა კვიცი.

* * *

მორჩა, გათავდა, მივდივარ,
თვალთ ცრემლით, პირმომცინარე,
ვერსად წაუხვალ ტიელსა,
რამდენიც გინდა იარე,
ფიე, რა ტკბილი ყოფილა
ეს მწარე წუთისოფელი,
მიწა ცით გადათაღული,
მზისა და მთვარის მომფნი,
სულ ერთი ყლუბი ბინული,
კერის კვამლი და ცის ცვარი,

საკუთარ ხელით გათლილი
შენივე კუბოს ფიცარი.
ვიცანი? თურმე სადა ხარ,
ვის, სად, რას იცნობ განსვლამდე?
გინდა მზესაებრ იწვოდე,
ჩაქრები, როგორც ასანთი,
და მერე, გაგიხარია,
აღარც დარდი გაქვს, არც ფიქრი,
შეგეხსნას აპეურები,
ყელს აღარ გლადრავს ტაბიკი.
მორჩა, გათავდა და მაინც
არ მემეტება უღელი,
რა უხერხული რამაა,
მკერდს დაკრეფილი გულ-ხელი.

* * *

ვიწყებ ეპიკურ პოემის წერას,
თუმც ჯერ არ ვიცი ხელთ რა შემრჩება,
უპირველესად, ფურცელს ვდებ ცერად
და ვჯლაბნი, კალამს უნდა შეჩვევა.
წვეთავს ვენიდან სისხლის წვეთებად
ქართლ-კახეთს წლები ლეკიანობის,
დაცემულია სულისკვეთება,
მმა მმას ემიჯვნის ეკლიან ღობით.
კოლხიდა წუნკლავს მუჰაჯირობა,
იანიჩრები ძრწიან სამცხეში,
მეფებს შვენით ცრუ გარჯილობა,
თავადნი ათ ყმას ცვლიან ცხრა ცხენში.
აბნეული აქვს თავგზა ქვეყანას
და განციფრებას იწვევს სინდისი,
ვახტანგ მეექვსემ ჯარი შეჰყარა,
ცრუ უფლისწული მდგარა შინდისში.
ახლა განსაჯე მტყუან-მართალი,
დროა შევეშვა, სანამ ჭკვაზე ვარ,
სიონში უღვთოდ სწირავს თათარი,
მღვდელი მარილზე მიდის აღზევანს.
აღმატება ყველა ძალ-ღონეს,
გამოარჩიო მჭადში ნახშირი
და ჩემი ქვეყნის მეჭირნახულე
დგას სულხან-საბა დასჯილ ბაშვივით.
აზრი არა აქვს არაფრის წერას,
თავს ვერ მოაბამს რადგან ეშმაკიც,
ქვეყნის იღბალი და ბედისწერა
სოვლემენ, გართული გრძნეულ ხელსაქმით.
და გულზე მხეთქავს ეს მყუდროება,
ჩამოვარდნილი ზამთრის წკვარამში,
დგას უსასრულო ამაოება,
ისეც სისხლგამშრალ ჩემს ქვეყანაში.

ლინა ჟუგარავა

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი



„შერისხული“ თაობა, ფრთამოტეხილი მერჩი და ჩემი ესთეტი კოლეგა-მეგობარი

„სცენა მოვალეობის მოსახდელი ადგილი, სამსახური არ არის, იმ ერთი წამის გამობრწყინებისა უნდა გჯეროდეს“, - ბრძანებს ცნობილი უურნალისტის დავით ჭელიძის ერთ-ერთი რესპონდენტი. არც უურნალისტური ასპარეზია მოვალეობის მოსახდელი ადგილი, სამსახური, აქაც, ჭეშმარიტების ძიების გზაზე „ბედნიერ გამონათებათა მუდმივი მოლოდინი“, „ახლის დანახვის სიხარული“ უნდა გახდეს ავტორის კრედიტი. ამ მრწამს კიდევ უფრო განგიმტყიცებს დათოს მორიგი პუბლიცისტური კრებულის – „მთავარი როლები და შემსრულებლები“ გაცნობა.

თეატრურ-პრობლემური მრავალფეროვნებით, აზროვნების, ანალიზის პრიმატით აღბეჭდილი ეს პუბლიკივები წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე და დაკვირვებული მკითხველი მასში იოლად ამოიცნობს ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას – გულლია, წრფელ მიმართებას რესპონდენტისა თუ მკითხველისადმი, „სიმართლის სიკეთით თქმის“ კეთილშობილურ მანერას. ეს, მართლაცდა, „თანამედროვეობის მატიანე“ ეფექტურად გვიცოცხლებს ათასობით „შეჩერებულ წამს“, ლეგენდარულ სპორტსმენთა თუ, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, საზოგადო მოღვაწეთა პიროვნეულ პორტრეტებს, გვევლინება მარადიულ ადამიანურ ფასეულობათა ქომაგად.

ადამიანები ხშირად გაურბინ საკუთარ თავს, მერე დიდხანს ექცევნ, კარგავენ და ისევ პოულობენ, უარყოფენ, მაგრამ კვლავ აღიარებენ. ადამიანები ძალიან ხშირად გაუუცხოვდებინ საკუთარ არის, მისგან „განთავისუფლებას“ ლამობენ, მაგრამ მაინც მუდამ მას ესწრაფვიან კიდეც და ვერაფრით ღალატობენ, რადგან, როგორც დავით ჭელიძე ერთ თავის გამორჩეულ პუბლიკაციაში გვიმტკიცებს: „ცხოვრების ხიბლი ცხოვრებაშია...“ სწორედ ამ ხიბლის გადმოშლასაც ესწრაფვის უურნალისტი თავის საუკეთესო ნაწერებში. რაგინდ „შენებარე დემოკრატიის“ მოღურ სამოსელში შეფუთონ მისი სული, საღად მოაზროვნე ადამიანი (homo sapiens), საბოლოოდ მაინც ვერასოდეს გაუუცხოვდება საკუთარ მაღალ დანიშნულებას და ესთეტიკური ტრიადა: სიკეთე, სიმართლე, სილამაზე, მისი პურია არსობისა. ადამიანი ხომ საკუთარ ხატად და მსგავსად შექმნა უფალმა და, თუ ადამიანად (პიროვნებად) დარჩენა სურს, ვერაფრით გაწირავს საკუთარ საწყისებს. ამიტომაც, ყველაზე ძვირი დემოკრატიული მონაპოვარი – ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ დროებით თუ ჩანაცვლდება მისი სუროვატით – თავის სულობით... ამგვარი ფიქრები აღმიძრა ჩემი ესთეტი კოლეგა-მეგობრის, დათო ჭელიძის ახალმა წიგნმა; სხვისი წარმატებით გახარებისა თუ, სხვათა ტკივილებზე მაღამოდ დადების (რაიც არითა ჭეშმარიტი, ზნებრივი, „სიტყვით დარწმუნების ხელოვნებად“ სახელდებული, კლასიკური უურნალიზმისა) ნიმუშები უხვადა ამ მოზრდილ წიგნში, არაერთი ღირსება და უპირატესობა რომ გამოამზეურა ჩენი, მართლაც რომ, უძველესი და, იმავდროულად, მარად აქტუალური პროფესიისა. გამოვყოფთ ზოგიერთს:

მოსმენის კულტურა – ასე ძირიფასი უურნალისტურ ხელოვნებაში და, ასეთი დეფიციტური – დღევანდელ მასმედიაში, რისი კლასიკური ნიმუში უთუოდაა დათოს საუბარი დიდ მაქსტროსთან, ნოდარ ანდლულამესთან, სადაც თვალსაჩინოვდება რესპონდენტისათვის ასპარეზის მაქსიმალურად დათმობის ტენდენცია და დელიკატურობა, შინაგანი არისტოკრატიზმი უურნალისტისა, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული მოსაუბრის შესაძლებლობები, მისი პიროვნეული თუ შემოქმედებითი მასშტაბები და ცდილობს ამ ყველაფრის სრულფასოვნად გამოვლენას. საინტერესოა, რომ უურნალისტს კითხვა, პრაქტიკულად, არც დაუსვამს, მან მთლიანად დიდებულ რესპონდენტს – არა მხოლოდ მსოფლიო დონის


ტეხორს, არამედ, შეუდარებელ მოსაუბრეს, მჭერმ-ეტყველს, ერუდიტს დაუთმო სიტყვა. უურნალისტი შესაშური სიზუსტითა და დელიკატურობით იცავს დისტანციას, საკუთარი ლირიკული გადახვევებითა თუ პუბლიცისტური წიაღსვლებით ისე აკომენტარებს ცალკეულ პასაჟს, რომ არ დაირღვეს ღრმად მოაზროვნე რესპონდენტის აზრთა მდინარება, არ გაწყდეს დიდი მაესტროს ჩაღრმავებული ფიქრის ძაფი იმ ეპოქაზე, ვოკალური ხელოვნების ანდღულამეთა სკოლა რომ პქვია.

დათო ჭელიძე, პირველ ყოვლისა, სპორტული უურნალისტია (თუმცა, სხვა თემებზე წერაც არანაკლებად ზელეწიფება), ამდენად, ეწ. რეპორტა-შული სტილი, მანერა მისთვის ისევე ორგანულია, როგორც „დასწრების ეფექტის“ შექმნა, მკითხველთან დიალოგის რეჟიმში მუშაობა, სისხარტე, ლაკონიზმი, სიტყვის, ფრაზის სიზუსტე, კომბაქტურობის, ლაკონიურობის ავტომატიზმი. ამ მხრივ გამოიჩინელია „დაუვიწყარი სამი წამი“. კლასიკური უნიტა თეორიის თანახმად, რეპორტაჟის დაწერის უფლება მხოლოდ მოვლენის უშუალო თვითმხილველს აქვს. მაგრამ, ყოველ წესს ხომ უთუოდ გააჩნია გამონაკლისი, მით უფრო, როცა არსებობს ისეთი ტექნიკური საოცრება, როგორიცაა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ისტორიული ფინალის ვადეოჩანაწერი. პუბლიცია ეფექტური ლიდით იწყება – ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელთა: ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მეგობარი თანამებროლის, ოლიმპიური ჩემპიონის ივან ედეშვის ემოციური მოგონებებით: „მიუნხენის ოლიმპიადის ისტორიულ ფინალში ეს ორი ქართველი – ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია უსაშეველოდ დაგვეხმარა. მათ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. კონდრაშინის ჩანაფიქრი იყო ქართველების გამოყვანა სასტარტოში, იმიტომ, რომ ამერიკელებს მხოლოდ სისწრაფით, ქართველებისთვის დამახასიათებელი ცეცხლოვანი თამაშით თუ მოვუგებდით და, როცა მოვდანზე იყვნენ ზურიკო და მიშიკო, ეს თავისთავად სწრაფ კალათბურთს ნიშნავდა. გარდა ამისა, მათ გუნდისთვის უნდა გადაეცათ ის ემოცია, ის შემართება, რაც მათთვის ბუნებრივი იყო და რაც მათ შეძლეს კიდეც“. განსაკუთრებით საამაყო და ძვირფასია ი. ედეშვის ფინალური სიტყვები: „ასე რომ: ჩემო ძვირფასი ქართველო, რატომ მარტო ქართველო, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებო: ითამაშეთ კალათბურთი ისე, როგორც თამაშობდნენ საკანდელიძე და ქორქია. ისტორიაში ისინი სამუდამოდ შევიდნენ უზარმაზარ პიროვნებებად, ისევე, როგორც ჩვენს გულში და ჩვენს მახსოვრობაში“.

დამაინტრიგებელ დასაწყისის შემდეგ მკითხველი ზუსტი ციფრების კორიანტელში ეხვევა – ავტორი ოლიმპიადის მიმდინარეობის სტატისტიკას გვთავაზობს, რასაც მოსდევს ძალზე დინამიკური, გადამდები რეპორტაჟული სტილით შექმნილი დასწრების ეფექტი, სრული ილუზია, რომ მკითხველი ავტორთან ერთად, ამ საოცარი მატჩის თვითმხილველია. შთაბეჭდილებას აძლიერებს სათაურისა და ენდინგის „წრიული კომპოზიცია“. პუბლიციაციაში არის მატჩის ღრმა და პროფესიონალური ანალიზი, ჩართული ეპიზოდები კალათბურთელთა პიროვნული, ფსიქოლოგიური პორტრეტების საჩვენებლად, შთამბეჭდავი მოგონები, მაგრამ კომპოზიციური ბირთვი და დიდი ინტერესის საფუძველი მაიც რეპორტაჟული ნაწილია, ამ ისტორიული მატჩის ცოცხალი, ეფექტური ასახვა. გვინდოდა „დაუვიწყარი სამი წამის“ რეპორტა-შული ნაწილის ციტირება, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ძალზე ვრცელია და სიტყვა გაგვიგრძელდებოდა, ვფიქრობთ, უჯვრებესია პირველად წაკითხვის დიდი სიამოვნება მედიამომხმარებელს დავუტოვოთ...

დათო ჭელიძის უურნალისტურ შემოქმედებაში თვალისაჩინოა სათაურის თსტატობაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანი გვვინია; „სარეკლამო სტრიქნის“ ყველა სახეობა და შესაძლებლობათა სრული სპექტრი მაქსიმალურადაა გამოყენებული: ტენდენციის გამუდავნება, პრობლემის აქცენტირება, დამაინტრიგებლობა, ე.წ. ფელეტონური სკლა, და მისთ. „დიდი ნონა“, „ღებედევმა ცხენი გაადამიანურა, მე – ქალი!“, „პაპების საფლავებთან იები ამოსულიყო“, „ზვარაკად შეწირული მინისტრი“, „ბიძინას მმობის მარანი“, „ვობლა“ – ქართული რაგბის ღეგმნდა“, „ერთი საღამო მაესტროსთან“ და მისთ.

ტიპური, მეტყველი დეტალების უნარიანად შერჩევაც ერთი გამორჩეული ღირსებათაგანია დ. ჭელიძის პუბლიცისტიკისა: „ერთ-ერთი შეხვედრის დროს მეტოქეს ზურა შეუბოჭავს, მას კი ისე თსტატურად დაურტყამს ბურთისთვის ფეხი, თითქოს თევზმა კუდი მოიქნიაო. აი, მას შემდეგ დაერქვა ზურა ხარში-



ლაპეს „ვობლა“: უთუოდ რთულია სარაგბო მატჩის დეტალის უფრო ხატოვნად, ეფექტურად გადმოცემა, დეტალით, პერსონაჟის პიროვნულ პორტრეტს მეტყველი ფერით რომ შეასებს, გამომსახველობას შესძენს. სხვაგან: „გარდა იმისა, რომ უწენევაში ქართული სული... აღგვაფრთოვანებდა, ჩვენს საქომავოდ იცით, ვინ იყო მოსული? – გრიგოლ რობაქიძე, მერი შერვაშიძე და სპირიდონ კედიას ქალიშვილი. ეს სამი წევილი თვალი გადასწონიდა 80-ათასიან ტრიბუნებს! ბიჭი იყავი და, ის მატჩი წაგეო...“ გარდა იმისა, რომ ეს მეტყველი დეტალი ქართველ სპორტსმენთა მონდომების მოტივაციაა, იგი დამაჯერებელი არგუმენტიცაა კალათბურთელთა მამულშვილობისა და იმისა, რომ დიდი სპორტული გამარჯვებები მხოლოდ ფიზიკური მომზადებისა და ოსტატობის შედეგი კი არა – სულიერების, მაღალი ინტელექტის ნაყოფიცაა. ამ რწმენითა განმშტავლული ყოველი პუბლიკაცია და ამიტომაცაა, რომ თითქოსდა 21-ე საუკუნეში „ანაქონიზმად“ ქცეული ფასულობები: ერთგულება, კეთილშობილება, მოყვასის სიყვარული, მამულის შვილობა, ოჯახის შვილობა, ქართული ენა, ქართული ლექსი, ზოგადად – ფესვები მარადიული, ძვირი ფასეულობებია და, ავტორის ღრმა რწმენით, მას დღეს განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.

ერთგან დათო წერს: „დალიან სენტიმენტალურია? სამაგიერო, ალალია, მართალია, ნამდვილია“, და გამუდმებით ეძებს თავისი რესპონდენტებისა თუ საკუთარ სულში ამ მართალს, ალალსა და ნამდვილს: „ვისაც ბავშვობაში ჩიტის სიკვდილი არ განუცდია, ის დიდობაში კაცის სიკვდილსაც ვერ იგრძნოს (თემურ ჩალაბაშვილი)“, ან კიდევ: „ასე მგონია, დედის რძეში შენი ერის ყველა ნიშან-თვისებაა შეზავებული (იქვე)“.

„ქართული ესტრადის პრობლემები“ უთუოდ ცალკე საუბრის თემაა: პრობლემათა ამგვარი ერთობლიობის პროფესიონალური ანალიზი, შეფასება, არგუმენტირებულ დასკვნათა შემოთავაზება და, ეს ყოველივე, დარგის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამოწმებით, ავტორის პოზიციას დამაჯერებლობას ანიჭებს, აქტუალობას არ უკარგავს და, ამიტომაცაა, რომ ჩვენს ეფემერულ პროფესიაში ასე საფრთხილო ყავლგასულობა, „ერთდღიანი ინტერესის“ სინდრომი ამ პუბლიკაციებს არ ემუქრება.

ბუჟებრივია, რომ ავტორის ყველა მოსახრებასა თუ შეფასებას არ ვიზიარებთ, მაგრამ ესეც ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია – ერთი ყველაზე ძვირი დემოკრატიული ფასულობა ხომ სიტყვის, გამოხატვის თავისუფლებაა, რაც განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას თავისთავად გულისხმობს. მით უფრო, რომ დ. ჭელიძის წერისა თუ განსჯის მანერა არასოდესაა კატეგორიული, „ჭემბარიტების ბოლო ინსტანციის“ ამბიციის გამომხატველი; ეს უფრო შემოთავაზებაა, ვერსია, მოკრძალებული განაცხადი „წარმოშობით“ ინტელიგენტისა და ესთეტის, თავმდბალი და უპრეტენზიონი ავტორის თვალთახედვა, მსუბუქი იუმორითა და ეთიკური დახვეწილობით დამშვენებული.

P.S. დათო ჭელიძის ახლად დასტამბული კრებულის კითხვისას არაერთგზის ამოტივტივდა ხსოვნაში სტუდენტობისდროინდელი სურათი, ბატონი ნოდარ ტაბიძის, მაშინ სრულიად ახალგაზრდა და უმკაცრესი ლექტორის პედაგოგიური ექსპერიმენტი: პირველკურსელი უურნალისტები აუდიტორიის ფანჯრიდან ეზოში გადაგახედა და კედლის კუთხეში დახხავებული ნაგვის გროვა დაგვანახვა – აა, ამ ნავავზე დაწერთ, აქვე, ახლავე, 40 წუთს გაძლევთ. იქნებ ამით მაიც გადავლახო თქვენი უკიდევანო სანტიმენტალიზმიო. პირველი საგანი, რაც იმ ნაგვის უფორმო გროვაში გამოიკვეთა (ჩემს აღმაში), გვერდებდალეწილი, გადაგდებული სტუდენტური მერჩი იყო; წარწერებით აჭრელებული და ფრთამოტეხილ ფრინველივით სევდიანი ლამის მისი ცრემლებიც დავინახე. მართალია, ჩემს ძვირფას ლექტორს მაშინ იმედი გავუცრუე და „სანტიმენტალიზმი“ ვერც ამ ორიგინალური დავალების დახმარებით დაგძლიერ, მაგრამ, როგორც თავადვე ბრძანა ნამუშევრების შეფასებისას: „ფრთამოტეხილი, სანაგვეზე გადაგდებული მრავლისმნახველი სტუდენტური მერჩის ცრემლებს თუ ვერ შეიგრძნობ, რაღა უურნალისტი ხარ?!“

ეს ბოლო ათწლეულია, სულ ვეიქრობ, სწორედ ამის გამო ხომ არ შეარქვეს, „წინა საუკუნეში ჩარჩენილები“ უურნალისტთა (და – არა მხოლოდ) ჩვენს უსამართლოდ „შერისხულ“ თაობას? არადა, რა სიამოვნებით „ჩავრჩებოდით“, არა, ჩემო დათო, მიხეილ კაკაბაძის, თამაზ ბიბილურის, ეთერ სახვაძის, ნანა ღვინევაძის, ლაშა გახარიას, ვანო ჩხიფაძის, ცისანა ნიკოლაშვილის, სხვათა და სხვათა, ზოგადად – იმუამინდელი „ახკომისა“ თუ „ლელოს“ „წინა საუკუნეში“, სადაც, მართლაც, ლეგენდარული უურნალისტისა და პირვენების მიშა (კუწა) კაკაბაძის მედიასკოლა გვწვრთნიდა და გეზრდიდა, თუნდაც მხოლოდ ჩვენს გვერდით დგომითა და საკუთარი მაგალითით, სიკეთის, სიმართლის, სილამაზის ერთგულებას, ადამიანების, სიცოცხლის უანგარო სიყვარულს, მკითხველის პატივისცემას გვინერგავდა.

ბედინერი ვარ, რომ ეს სკოლა კვლავაც ცოცხლობს, სკანდალებისა და პროვოკაციების ამაოების ბაზრად ქცეული დღევანდელი მასმედიის საპირისპიროდ და საპირწონედ, ვითარდება, მომავალი აქვს და, ამის დასტური წინამდენარე კრებულიცაა.

ელავს სამყარო

შტრიხები

თამარ შაიშმელაშვილის შემოქმედებირან



აი ბოლო გვერდიც დავხურე თამარ შაიშმელაშვილის ლექსების კრებულისა „სულალუბლები“ და მივხვდი, რომ ჩემს ანალიტიკურ შემოქმედებას, კიდევ ერთი ორიგინალური ავტორის პოეზიის ანალიზი შეემატებოდა.

ამქვეყნიური ამრევი ბედისწერის გამლების ჯილდოდ თამარ შაიშმელაშვილი სამყაროსგან ყველაზე ძვირფასს – მზის ნაჟურს ითხოვს. მისი აზრით, მუდამ თვალდია ბედისწერას ვერაფერის გამოაპარებ. შთაბეჭდავია პოეტის ერთ-ერთი უსა-თაურო ლექსის (გვ.111) შემდეგი სტრიქონი: „ერთი ზღაპარი გასრულდა თითქოს და სამყაროსგან მზის ნაჟურს ვითხოვ.“

ზღაპარი, რომელშიც ცხოვრობს, თუ ერთია, სხვა სად ეგულება? თამარი ვერ აკონკრეტებს, სად, მაგრამ მირაჟიდან რომ ლექსებად მოვა, ამაში ეჭვი არ ეპარება. ლექსი იძლევა დაფიქრების საბაბს, ნეტავ, რაზე მიგვანიშნებს ავტორი? მისი პოეტური გონი მოგზაურობს ამიერი სამყაროდან იმიერში და ამით იგი ფიზიკურიდან მისტიკურში, მისტიკურიდან ისევ ფიზიკურში გარდასახვის შესაძლებლობას მკაფიოდ აყალიბებს. სიტყვა-სიტყვით თუ ჩავუყვებით სტრიქონებს, ადვილი მისახვედრია, რომ პოეტი მუზათა საუფლოში თვისივე გარდასახვას ხედავს: „უამის გვირილებს გავყვები ქარში“, – იშველიებს მეტაფორულ აზროვნებას ავტორი და უამი, ამქვეყნად ცხოვრების დროის საზომად რომ გამოიყენა, დროშივე გასხეულებული პოეტის სულის – გვირილების, ფიზიკური არსებობის დაუდგენელი ხნოვანების დასრულების სიმბოლოდაც დასახა.

შთაბეჭდავი სურათების ხატვისათვის, ტროპული აზროვნებისათვის, პოეტს შექება არ ეკუთვნის, რადგნაც, ეს, მისი ვალია, მაგრამ, როცა პოეტი მსატვრული წარმოსახვის ჩარჩოებს სცილდება და შთაგონება როცა თამამად მიმოიხილავს ადამიანისათვის მიუწვდომელ სანახებს, აი, იქ და აი, მაშინ, იწყება პოეტის ზიარება გონითი აზროვნების ზე მაღალ სუბსტანციასთან. ასეთი ზიარების პოეტური ფილოსოფია ლექსის პირველი და ბოლო სტრიქონი: „აქ ბედისწერა დამზვდა თვალდია... აქ ბედისწერა დამრჩა თვალდია“. ბედისწერა ერთი და იმავე პო-

ზაშია პოეტის მოვლინებისა და წასვლის მომენტში. ამით შეწუხებული ავტორი ასკნის: „უამშია სევდა, უამშია დარღი“. მისთვის ბედისწერა თავისუფლების დაკარგვის სინონიმიცაა, ამიტომც ეჩქარება ლირიკულ გმირს, უნდა გაეცალოს ამ გაწერილ უამს და გაპყვეს გვირილების ფოთლებს ქარში, სულიერი დამოუკიდებლობის მოსაპივებლად.

ერთი სიტყვით, თამარის პოეტური ნააზრევი სავსებით ეხმაინება ქართულ ხალხურ სიბრძნეს: „ბედისწერას ვერსად გაექცევით“. ფიზიკური პოეტი სულიერ პოეტად გარდაისახება და ისევ პოეტად ბრუნდება – ასეთია თამარის პოეტურ-ფილოსოფიური მრწამის სულის გარდასახვის თეორიის შესახებ. შეფარულად, მაგრამ მკაფიოდ იგრძნობა ავტორის სურვილი, ისევ მოვლინებისას, მოვიდეს არა, როგორც პოეტი, რომელიც ბედისწერის მზერას უნდა დაემორჩილოს, არამედ ლექსებად – პოეტის მუზად, თავისუფლებად. ის, ბედისწერას უამიერი სამყაროს თვალებახელილ მუდმივად მიიჩნევს. პოეტი ასევე გამოკვთილად მიგვითოვბს პიროვნების ინდივიდუალური ბედისწერის არსებობაზეც. „შენ და სამშობლო დამრჩებით ობლად“. ამქვეყნად მოვლენილი ინდივიდის უამიერი ცხოვრების განმკარგავი ბედისწერაა. ასეთი გახლავთ ლექსის სულიერ-მეცნიერული საზრისი და გამოკვეთილი იდეაც.

მოცემული ლექსის სულიერ გაგებას ორგანულად ერწყმის თამარის ისევ უსათაურო, თერთმეტ-სიტყვიანი სტროფი. ლირიკული გმირი უსხივო, უდარო ცოდვილ სამყაროში ვერ ძლებს. ხოლო მონატრება, რომელიც აიძულებს მას, უსახელო ყვავილი ეძებოს, სულიერი ამბოხია ყოველივე სახელდარქმეულის მიმართ, ანუ იმის მიმართ, რასაც ადამიანის აზროვნება ადგილად სწოდება. ჩაუწევომელის მონატრება უკვე ნანახის, განცდილის ძიებაა ფიზიკურ სამყაროში. ავტორის შინაგანაწესი ვერ ეგუება უხეშ გარემოს და ქვეცნობიერში ჩაკირული მშვენიერების ძებნას იწყებს უსახელო ყვავილის სახით. სწრაფვა ისევ საწყისისაკენ იმიერში, წმინდა სამყაროს აღუზიურ სახეს წარმოაჩენს: „გული ცოდვილ სამყაროში უსხივდაროდ ვერ ძლებს, უსახელო მინდვრის ყვავილს – მონატრებას ვეძებ“.

მკაფიოდაა მინიშნებული, რომ გული სხივდარიანი სამყაროდანაა გადმოსული. მნელი მისახვედრი არ არის, რომ იგი მარადიულ წრებრუნვაში მონაწილეობს. ამაზე მსოფლიო ლიტერატურაშიც ბევრი მინიშნებაა. მაგრამ თამარის მეხსიერებამ რომ იგივე აღადგინა, ქართული მუზის ცნობიერი შემეცნების მარადიული ასპექტების დამსახურებაა. სულიერ მეცნიერებაში ადამისა და მისი ნეკნისგან ევას შექმნა სრულყოფილი მთელია ადამიანის, როგორც უფლის უმაღლესი ქმნილების გამრავლებისათვის. უშორესი წარსულის მისტიკური ხილვის დაფაზე ევასა და ადამის ურთიერთშემცველობის სიმბოლური გამოსახულება გულია. აი, აქედან იღებს სათავეს თ. შაიშმელაშვილის სხივდარ გამოვლილი გული. ამ პოეტის გასხივოსნებული გონების მეხსიერებამ ამოატივტივა იმიერში განცდილი იღუმალი სახილეველი.

იმიერიდან ამიერში გზად მომავალს ბედისწერის ისარი მოჰკვდა. მთელი ცხოვრება დასეტყვილი დადის. თუმც შინაგანი ამბოხის ხმამაღალი გამოხატვის არანაირი სურვილი არ იგრძნობა ლექსში „სევდისპირული“. მასში არის უკამაყოფილების განცდა, წუხილი და, რაც მთავარია, მწვავე ტკივილი. ამ განსაცდელის დათმენის მავალითი, შესაშურია უზენაესი გაგებით. მას არანაირი შეკითხვა არა აქვს უფლის მიმართ, არ ახასიათებს საყველურები, რაც ხშირად თან ახლავს სასოწარკვეთილი ადამიანის მოთქმას. საიდან ასეთი სიმშვიდე? შეუცნობლად თუ ცნობიერად, პოეტი თვითონ გვაძლევს ამაზე პასუხს – „ამდევნებია შუქი დილის მზის“. რამდენადაც ავტორი კურადღებას ამახვილებს ამქვეწიურ ტკივილებზე, ქარიშხლებზე, მოურჩენელ იარებზე, ზამთარზე, იმდენად, გასაგებია, რომ ეს შუქი მას ჩანასახიდანვე არ ტოვებს. რაც პოეტური ეთიკის მაღალ დონეზე შენარჩუნებასა და ყოველდღიური გაუსაძლისობის მიმართ კორექტული დამოკიდებულების შენარჩუნებაში ეხმარება. ავტორის მადლიანი მუზა, ამ ლექსის კითხვისისას, უზინრად მიუძღვის წინ მკითხველს და პოეტის ჩანაფიქრიც წარმოსახვაში ცხადდება. „ვარ დასეტყვილი სიჩუმე ვაზის“, ერთი შეხედვით მარტივი ტროპული მეტყველებაა, მაგრამ რთული შინაგანი სტრუქტურა, საქართველოსა (ვაზი) და პოეტის (ვარ) ერთსხულქმნისა და საერთო გასაჭირის, ბედის (სეტყვა) აბსტრაქტული სახის ნატურად ისატება. მზის შუქადევნებული პოეტის თქმით, ყოველივე ამქვეწიური რჩება აქ და იმიერში სულიერი განწყობა გადავა მხოლოდ: „შენს შესახელრად გაზატხულს ვგზაგი“. ყოველი დროის სიყვარულის გამოხატულება – კოცნა ერთგვარი საშვია თ. შაიშმელაშვილისათვის, რათა ეს ცხოვრებაგამოვლილი მისი შვილი იცნოს უფალმა. კოცნით ნაგრძობი სიყვარული ცნობის ძლიერი საშუალებაა: „იმქვეწიურ ერთი კოცნით მიცანი“. „საუცხოო და ზუსტი მიგნებაა სულიერფილოსოფიური თვალსაზრისით და ღმერთი რომ სიყვარულია, ამის ორიგინალური დასტურია ნად-

ვილად.

ლექსის კომპოზიციით ავტორი საიქიოსა და საქაოს ამქვეწიური უწყალო ბედისწერის შწარე სინამდვილით ამთლიანებს, ამ რო სამყაროში, უფლისგან მოვლენილი სული, მეხსიერების საშუალებით, პოეტის მუზაზე ამხედრებული დაქრის. ყოველგვარი განსაცდელით მოურჩენელი წყლულის მორჩენა, მხოლოდ იმ იმედითა შესაძლებელი, რომელიც, უკვე დასასრულს, შებინდებას სევდამშვიდებით მოყვება. რამხელა რწმენაა საჭირო, რომ სიცოცხლის დასასრული მხსნელ მოვლენად მიიღო. დამეთანხმებით, რომ უზარმაზარი. ეს სიტყვა შესაძლებლობის გამოსახატვი ეპითეტია. რა ხდება სინამდვილეში, ყოველგვარი შესატყვისების გარეშე? ხელწერა აშკარად სულიერი წიაღიდანაა. არც მეტი, არც ნაკლები, თამარის შემოქმედებაში იკვეთება გონითი ხედვის ნიმუშები. ასეთი ნაწარმოებები სულიერ-მეცნიერული ანალიზის საგანია.

„ამდევნებია შუქი დილის მზის, გადაბინდა საწუთორც უკვე... და ასკილივით ტირის ივლისი, როგორც დეილის მთრთოლგვარე უპე“. რომ არაფერი ვთქვათ მხატვრული თვალსაზრისით გამოხატვის საშუალებაზე, არც არაფერი დააკლდება ამ სტროფის განხილვას, რადგანაც ის, რასაც ეს სტროფი იტევს სულიერი თვალთახედვით, მეტად ამაღლელგველი და შემეცნების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია.

საწუთორის დაბინდვას იმედით შეჰყურებს ავტორი. ის ცხადად გრძნობს თანადევნებული დილის მზის შუქს, რომელიც ახალი დღის დაწყებას, ახალ სამყაროში გადასვლას უქმდის. სამყაროში, სადაც უკვე იყო, ისევე, როგორც დილის მზე გუშინ, დღეს და ხვალ.

ასკილი ველური ვარდია, მძაფრი სუნის მქონე და ფოთოლმცვენარა. მისი ტირილი, მშვენიერების დაკარგვის მიმართ, მწარე წუხილის გამოხატულებაა და თუკი ივლისი ასკილივით ტირის, ამქვეწის ბობოქარი ცხოვრების შემამკობელი არსების – ადამიანის დღროიდან გასვლით დამწუხებული ყოფიერების სიმბოლური სახეა. ასკილის ფოთოლ-ცვენა და ადამიანისათვის წუთისოფლის დაბინდვა ყველაზე სრულყოფილი მცუნუგვარე და მსურვალე ივლისისათვის ტირილის მიზეზია. ის ისევე განიცდის ამას, როგორც ვონმეს დეიდა. ველური მშვენიერი ვარდი და ადამიანი ამ ცხოვრების მცუნუგვარე, ბობოქარ ყოფას ეწირებიან.

ივლისი, სიმბოლო ცხოვრებისა, დასტირის წუთისოფლიდან მიმავალს, არა, როგორც შვილს, არამედ, როგორც სტუმარს. განიცდის არა, როგორც დედა, არამედ როგორც დედა. ამით ავტორმა ადამიანისა და წუთისოფლის ურთიერთობას სახელი დაარქვა და მხოლოდ ნათესაობის დონით შემოიფარგლა. ე. ი. ყველა და ყველაფერი დედამიწაზე დროებითია, ნათესავთან (დეიდასთან) სტუმრობის შეძლევ ისინი ისევ უბრუნდებიან პირველმქნელს. ადამიანი წუთისოფლებში სტუმარია.

ასეთი დეტალიზაცია, შედარების ფორმაში

ჩამოსხმული, ამართლებს ამქვეყნიდან გარდასახვას, შეფარული აზრი მშობლიურთან ახალი დღის დაწყებაა. „სევდისპირულის“ პოეტური საზრისი უფრო ტევადია, ვიდრე უბრალოდ ლექსისა.

სულიერ-მეცნიერული გაგება ამქვეყნიური ამაოცბისა და უფლის მარადიული თანხლებისა, იმიერის მშობლიურ ალაგად გაცხადებისა, ამქვეყნად ბედისწერის მეგზურობის გარდუვალობისა, სულთა საუფლოსაკენ ადამიანის მარადიული სწრაფვისა და წუთისოფლის ნათესაურ ასპექტში ხედვისა, თამარისეული დამოკიდებულებაა ამ შეუცნობელი ღირებულებების მიმართ მარადიული არსებობის გზაზე. მის პოეტურ მრწამსში წუთისოფლიური ცხოვრება გულისგამებირავი ისარია.

თამარის შინაგანი სინატიფე, სიფაქიზე და მგრძნობელობა შეუდარებელია. მისი ლირიკული სულწყობა, არა გულისსწორს, არამედ, ყველაზე ძვირფას – „მზის სახლს“ ეალერსება. ახალი სახლისაკენ სწრაფვა მისთვის სულიერი სიმშვიდის მოპოვებისა და მშობლიურ ზეციურ სამკვიდრებელში დაბრუნების იმედიანი სურვილია.

ძლიერი რწმენით სულ-ხორც გაჯერებული, ზემომავლისაკენ „მცოცავი“ ქალბატონი დარწმუნებულია, რომ ცრემლის ცრემლით ეახლება მზის სახლს და კვლავ უდიდეს სიყვარულს უძღვნის მას: „ანგელოზების ის სიზმარით და სიყვარულით კვლავ გაგაოცებ“. მას ჩანაფიქრის გაცხადების საოცარი უნარი აქვს. თანაც ამას ძალიან მარტივად ახერხებს. ზმინზედით – „კვლავ“ პოეტი ადრე განცდილს გვახსენებს და ისევ პირველსაწყისი სიყვარულისკენ მიიღოტვის. „ცრემლის ცრემლი“ კი, მისი, ყოფიერში მონანიე არსების, მბაფრი განცდის, სულით სულამდე შემძვრელი მეტაფორაა.

„ახლა ვედრების დროა“, – აცხადებს იგი და სულში ჩანათებაზე ოცნებობს. ის წამითაც არ შორდება მას, ვინც მზის სახლში ეგულება. ამიტომაც გრძნობს ასე მძაფრად, რომ „სიყვარული სასწაულია“. პოეტის სულიერი სიმაღლის დაუშრეტელი მზის გამონაშექია – „მე შენს სიყვარულს შემოვადამდი, ცრემლის ხელაა ჩემი მზეველი.“

თამარის ცა იქითაა მოხატული. ამქვეყნად კი „სამყაროსტოლა სევდას“ დაატარებს. მისი პოეტური სულის სახე – ხატება გვირილებია. ის მთლიანად ეპუთნის მას და ცრემლებით მიმართავს – „მოდი, მომტაცე სიცოცხლე, თრობა-თენების ზღაპრად“. ქვეცნობიერი, სიყვარულით მთვრალს, სიცოცხლის შემდგომ თენებას კარნახობს.

ცოცხალი მუხტი თამარის ლექსებისა, სისხლ-დარღვები ატანს, გიპყრობს და მარადისობაში პოეტის მუზასთან ერთად გამოგზაურებს, მისი ცრემლების ზიარი ხდები და მასთან ერთად ნატრობ – „შენ ჩემი სულო, გაზაფხული შემომახვიე“.

თ.შაიშმელაშვილის შემოქმედებაში – წმინდა სულით გაჯერებულ წმინდა ლექსებში – „ელავს სამყარო“, მისი ყოველი ლექსი ავტორთან ერთად „მზის სახლის“ ბინადარია.

თამარის შემოქმედები



ივლისის სევდისპირული

გზად ბედისწერის მომხვდა ისარი, ვარ დასეტყვილი სიჩუმე ვაზის... იმქვეყნად ერთი კოცნით მიცანი, შენს შესახვედრად გაზაფხულს ვგზაგნი...

ვერც ტკივილებით, ვერც ქარიშხლებით ვერ დამილურსმა ზამთარმა გული, და შებინდების სვედამშვიდებით მოურჩენელი მირჩება წყლული...

ამდევნებია შუქი დილის მზის, გადაიბინდა საწუთორც უკვე... ეს ასკილივით ტირის ივლისი, როგორც დეიდის მთრთოლვარე უპე...

* * *

აქ ბედისწერა დამხვდა თვალდია, სიყვარულმა და ლექსმა ამრია... ერთი ზღაპარი გასრულდა თითქოს და სამყაროსგან მზის ნაჟურს ვითხოვ... შენ და სამშობლო დამრჩებით ობლად და მირაჟიდან ლექსებად მოვალთ... უამია სევდა, უამშია დარდი, უამის გვირილებს გავყვები ქარში...

აქ ბედისწერა დამრჩა თვალდია...

ქორები

სიუჩი მასხიშვილი



სიყვარულის თანამგზავრი

შენთვის ვიღებავდი ტუჩებს,
ალუბლებით, განა, ბჟოლით
ამ ტუჩებმა მოიპარეს,
შენი ბაგის განაურეოლი.
გული, მუჭში მოვიმწყვდიე,
შენთან დამრჩა ურუანტელი.
ერთხელ, მაინც, რად არ მკითხე,
ჩემი გული, თუა მთელი?
თეთრი კაბაც შენთან დამრჩა,
ატმის ძირში, თუ არ ვცდები
ბელურებმა მოიპარეს,
ჩემი ოქროს პუანტებიც.
სულმა, სულს რომ შეუბერა,
წაეკიდათ, ალი ტუჩებს,
მხოლოდ შენთვის ანთებულებს,
სხვისთვის მარად ცივს და ურჩებს...
ქარივით, თუ გრიგალივით,
ჩემს ტუჩებზე თარეშობდი,
რა ვიცოდი ერთი კოცნით,
ვარსკვლავსა და მთვარეს ვშობდი?
მზე რომ სარკმელს მოადგება,
ცხრათვალა მზე, განა მგზავრი,
ორბიტიდან მოვფრინდები
სიყვარულის თანამგზავრით.
შემოგევლე მზეთა მზეო,
ცხრა გვირგვინით, ცა რომ მოწნე,
სიყვარულის სამსჯავროზე,
ხომ იქნები ჩემი მოწმე?!

კლიმტის კოცნა

ჩემი ბაღის ბოლოში,
რად მოხვედი ტირიფად,
ეგ ლამაზი ხალათი,
ვინ აგიჭრა ირიბად?
ღილებივით გაყრია,
მოლისფერი ფოთლები,
მე, წვიმა ვარ, პატარა,
გკოცნი, მერე ვვორთქლდები....
ზაფხულია, თან ცხელა,
თან მაცვია შილიფად,
რად მიყურებ უბეში,
პირდაპირ, თუ ირიბად?
განა, ასე ვარიგებ?
ჩემი სულის ღიმილებს,
შემასმენელს არ ვჩუქნი,
დამატებებს, — ირიბებს.
ჩემი ბაღის ბოლოში,
რადგან მოხვედ ტირიფად,
შე? — პირდაპირ მაკოცე!
მე? — გაკოცებ ირიბად...

ყავა და შაშვები

ხომ დაგატკბო, ამ დილით,
ჩიტმა, ტკბილი ჭიკჭიკით,
ჰოდა, მიტომ მოგართვა,
მთვარებ ყავა დიდ ჭიქით.
„ოქროს ნისკარტი შენო“:
მახარობელს მომძახე,
გავიგონე, გიცანი,
რომ ვკენკავდი, მოცვ-ძახველს.
სკუპ! და უცებ ჩავფრინდი,
შენს ჭიქამი უღურტულა,
ნახე, შიგ რა ჩაგიგდე,
სიყვარულის ბურთულა...
შეგაშეფე შხეფები,
შეფრთხნენ, შავი შაშვები,
ნისკარტს, ხელი გაუშვი!...
ვეღარ გეთამაშები...
გამიშვი და გპირდები,
აღარ გაგეპრანჭები,
ჩაიხედე ჭიქაში,
რა მოვხატე კლანჭებით?!...

კალენდულა

ცაზე მთვარე ამოსულა,
ქარი მღერის მირანგულას,
პაწაწინა ვარსკვლავები
ცის უბეში მინაბულან.
მზე ჩავიდა, მიიმალა,
მარტო დავრჩით, მე და მთვარე,
მე ვიყავი გაზაფხული,
შენ კი – ჩემი მეზამთარე.
ეს რომ ღრუბელმა გაიგო,
გამეტუტა, დამემდურა,
კიდევ კარგი, წყაროს ბოლოს,
შენი კოცნა დამეგულა...
ყველა ლამე, ვარსკვლავით,
ცას დაგკიდე კალენდრულად,
მზის სხივზე და ჩვენს ტუჩებზე
აყვავილდა კალენდულა...

თებრონე

მხარზე კოკა გავიდგი,
როგორც გოგომ, – თებრონემ,
გზაზე, შაშვი შემომხვდა,
თავის სატრფო ვეგონე,
მზე კი თავისად მთვლიდა,
თმებს, ალერსით მვარცხნიდა,
მთვარე, კიდევ ვარსკვლავებს
ცაზე, ჩემთვის მარცვლიდა...
მოვატყუე ბელურაც,
ოქროსფერი მარცვლითა,
კაკანათი დავუგე
გახვრეტილი საცრითა.
შაშვს, ღიმილი ვაჩუქე,
გავახარე მოცვითა,
იმან კიდევ მადლობა,
გადმიხადა კოცნითა.
უცებ, კოკა გამიტყდა,
იფნის ახლოს, წყლის პირსა,
ხიდან ჩიტი აფრინდა,
ჩემზე გადიკისკისა...
აფრინდა და ჭორები,
მთელ ქვეყანას მოჰყინა,
თურმე ოფოფი იყო,
ჭორიკანა ფოფინა.
თქვენ გგონიათ, მომეშვა?
ისევ, უკან მოფრინდა,
სამაჭანკლო მომთხოვა
სინდისი არ ჰყოფინდა!....


ფოთოლი და პეპელა

ფრთა ფარფატა ფოთოლი,
რომ ეპნია ვერხვს ხელად,
შენს ქუჩაზე ვიპოვე,
გზაზე შემხვდა ერთხელა.
ჩამხტარიყო გუბეში
და ითხოვდა შველასა,
სულზე ხომ მივუსწარი
თან ვაჯობე, ყველასა.
შემკრთალი და დამფრთხალი,
დავამშვიდე ნუგეშით,
ჩავიჯინე მუჭში და
ჩავიხუტე უბეში...
ფოთოლი, თუ პეპელა,
ფრთა ფარფატა, ფერ-ფერა,
სიცოცხლე რომ ვაჩუქე,
იცი, როგორ მეფერა?!..
მაკოცა და გაფრინდა...
დავედევნე... ერთხელაც!
ათას კოცნას ჯობია,
მისი კოცნა ერთხელა...

ვის უყვარდი ჩემნაირად?!?

წუხელ, წვიმას უტირია,
უტირია ჩემთან ერთად,
ის უფალთან დარჩა ცაში,
ვერ მივედი მე კი, ღმერთთან.
წუხელ, წვიმას უტირია,
უტირია... ჩემნაირად,
მე ვკოცნიდი წვიმის ცრემლებს,
შენ კოცნიდი, შენს ნაირას.
გმადლობ, წვიმავ,
ატმის ტოტზე
რომ ვიცეკვეთ ერთნაირად,
მარგალიტის ყელსაბამი,
დავიკიდე შენნაირად.
ცამ, ღრუბელი გადიყარა,
დაიჭირა მზემ დაირა,
რომ მიყვარდი, მითხარ ისე,
ვის უყვარდი ჩემნაირად?!....

მეჩაბ მესხიველი



ავტობუსში

შემხედე თმებზე დათოვლილს,
არ გიფიქრია წამითაც
მიხმე, დამითმე ადგილი,
წამოცქრიალდი სკამიდან.
მხრებზე გიშერი გეყარა,
ჯეირანს ჰეგვალი ტრამალის.
წამწამებს მიღმა კრთებოდა
ცეცხლი თვალებში ნამალი.
მაღლი მივაგე შენს გამზრდელს,
მცოდნემ ზრდილობის ყადრისა,
არ დავჯექ, ჩემში ბიჭობამ
დაჯდომა იუკადრისა.

* * *

უნდა გაუძლო, იქონიო თმენა იობის,
არ შეიმჩნიო ფეხი გულზე დანაბიჯარი...
ხან იყო შლეგი, ხან ჭკვიანი, ხან მსახიობი
და აიტანო ყველა გველი და ნაბიჭვარი.
უნდა გაუძლო, ან გაქცევა გსურდეს რატომდაც?!
სამზეოსაკენ მოგახედებს მაინც თვალები,
რადგან ცხოვრება ხან ლხენაა, ხანაც კატორლა,
ვერც ჭირს და ვერც ლხინს

ვერასოდეს დაემალები.

უნდა შეიძლო, მარადიულს გაესაუბრო,
ყველა წყვდიადზე მაღლა დარჩეს შენი ოცნება
გააღვილდება ეკლიანი მაშინ გზა უფრო
თუ არ გაექც ყველაფერთან

შესისხლხორცებას.

რადგან ცხოვრება უსასრულო არის გაძლება
მარადიული, სანამ ყოფითს ჩაენაცვლება.

* * *

აღიღე კვერთხი, ხელოვანო,
ხმობის ზარია,
ღმერთებს მიეჭერ, გადათქერე
ზღვარი ყოველი
და მაინც სადღაც გახსოვდეს, რომ
უპე არიან
მიქელანჯელო,
ბაირონი და
ბეთჰოვენი.

ნატვრა წამომცდა თამამი,
ნეტავ ერთი დღით მაქცია
შვილად ბედნიერ ქვეყნის,
ერთხელ გულლიად მამლერა
მეგუთნისა თუ მეხრის.
ზეცას არ ეკრას ღრუბელი,
მიწას არ ეცხოს სისხლი,
გულში არ დუღდეს ღვარცოფი
შეკავებული რისხვის.
სიმართლის ძლევას მაღირსა,
ქართველს გახსნოდეს შუბლი,
რთვლობა ქმნა სიყვარულისა,
როგორც წყალობა უფლის.
ჩემი პატარა ცხოვრებით,
ჩემი ტანჯვით თუ ლხენით,
ერთი დღით მაინც მაცხოვრა,
ერთ დღეს არ ვენთო შენით.
ჩემო, ბედქრულო ქვეყანავ,
შენ, ჩემო დიდი ზარო,
ათასჯერ ნაღალატებო,
როგორლაც მაინც მდგარო.
ნატვრა წამომცდა თამამი,
დაღლილი სულის ხემსად,
იმ ერთი დღითაც, ვაი, რომ
ვერ გაგშორდები ვერსად.


* * *

გულს კი მაინც არა სჯერა,
ხომ გვაქვს ნება ოცნებისა,
თუნდაც მთლად აბსურდულის,
ჩემი სულის ლაბირინთებს
ჩამოვხსენი ურდული.
მომეახლა სათაყვანო
მათი შორი ლანდები,
მომეძალა აუხდენელ
ნატვრათ კორიანტელი.
ვინატრებდი ხმალამოწვდილ
დავითს თავის ჰუნეთი,
საქართველოს ბედის ბორბალს
წალმა შევაბრუნებდი.
დიდი შუქი ავარდნოდეს
წიწამურის ჩრდილიანს,
ერის გონი და სინდისი
აღმდგარიყოს ილია.
გინატრებდი ზვიად ბატონს
ცეცხლოვანს და ღვთაებრივს,
ო, რა სისხლით იწერება
ლექსის ყველა ტაეპი.



ზვიად გამსახურდია.

მოქანდაკე მერაბ მეტრეველი



ცოტნე დადიანი.
მოქანდაკე მერაბ მეტრეველი


პოი, როგორ მენატრება,
სულში როგორ ხმიანობს,
შენი „მამულიშვილნო და
შენი „გეორგიანნო“.
შენ, ვინც ბედი უფლისწულის
ჯვარცმის გზაზე გაცვალე,
მიეახლე ლამპრად წყვდიადს,
მაგრამ აღარ გაცალეს.
გულს კი მაინც არა სჯერა,
რომ გათავდა ყოველი,
რომ დაემხო სამუდამოდ
ჩემი სეეტიცხოველი.
დაჩოქილი საქართველო
კვლავაც აღიმართება,
იზეიმებს სული ჩვენი
დაბადებას ქართველად.
იმედისგან რადგან ჯერაც
არ ვარ მთლად გაქურდული,
ჩემი სულის ლაბირინთებს
ჩამოვგლიჯე ურდული.

ნინო ჩხილაშვილი



შექსპირის ქართველი
მეგობარი,
ანუ ამბავი
ვანო მაჩაბლის
აღსასრულისა

(იაკობ მანსვეტაშვილისა
და ვახტანგ ჭელიძის მიხედვით)



ნაწყვეტი ერთმოქმედებიანი პიესიდან: „ვანო და შექსპირი“

სცენა პირველი:

სცენაზე გამოდის მსახიობი, იღებს წიგნს. ხმამაღლა ამბობს: შექსპირი. სცენა პიესიდან „მაკბეტი“ (ქაჯების სცენას კითხულობს). ამ დროს მუსიკა გადაფარავს მსახიობის ხმას, ბნელდება სცენა.

გამოდიან კუდიანები:

პირველი კუდიანი:

— აბა, დროზე, დროზე, სათავადო სახლს მოგუაროთ, აქ ერთი ყმაწვილი იბადება...

მეორე კუდიანი:

— რომელიც შეცვლის ერის ცხოვრებას!

მესამე კუდიანი:

— თუკი დასცალდა შეცვლის, მაგრამ (ქირქილით)...

შველა კუდიანი ერთად იმეორებს:

— რომელიც შეცვლის ერის ცხოვრებას, თუკი დასცალდა, თუკი დასცალდა...

ქაჯები ქრებან. ნათდება სცენის ერთი მხარე: ხმა ისმის, თუმცა ვანო ლაპარაკობს.

ვანო: წამით ჩამოვლიმა და სიზმარი ვნახე. თითქოს საკუთარი დაბადება ვიზილე. ჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიზმარს. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს?

ნათდება სცენა, ვანოს სიარული უჭირს. საღამური უცვია, უტყობა ახალი წამომდვარია საწოლიდან. დროდადრო შედგება სკამს უყრდნობა. მაგიდასთან ჯდება, მერე დგება, მძიმედ დაბიჯებს. იქვე, კუდელზე, კალუნდარია, რომელზედაც აწერია: 25 ივნისი. მიღის, კალუნდრის ფურცელს ხევს. გამოჩნდება წარწერა: 26 ივნისი:

ვანო: უი, ჯერ ხომ 26 არ გათენებულა, რად მოვხიე? მაგრამ ხომ გათენდება? გათენდება... აბა, რა იქნება?!

დაბარებულია, ჯდება სარწეველაში. იატაკიდან იღებს წიგნს. შლის და შექსპირის ტრაგედიიდან ჯერ ინგლისურად კითხულობს „მაკბეტიდან“ კუდიანების სცენას და მერე იმავე ტექსტს ქართულად იმეორებს. წიგნს ძირს დებს, თავს ჩაქინავს. მერე ისევ იღებს, ფურცლავს.

ვანო: შექსპირის ყველა პიესა უნდა ვთარგმნო (მძიმედ დგება და ფანჯარას აღებს. სარკმლიდან შემოდის მთვარის შუქი). ვანო მზერას აშეშებს. გამოჩნდება უცნაური ციალი, რომელიც სიბნელეში შექსპირის სახედ იკვეთება).

შექსპირი: (უღიმის) მეგობარო, შენთან ყოფნა მომენატრა, მიხმობდი?

ვანო: (ხელს აიქნევს, უნდა რომ ჩვენება გაქრეს, თვალებს იფშვნეტს) შენ ხარ? ნამდვილად შენ ხარ?

შექსპირი: რად გიკვირს? შენთან ყოფნა მომენატრა, კითხულობ? რას კითხულობ?

ვანო: სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს!!!

შექსპირი: იჩქარე ვანო, ცოტა დრო რჩება!

ვანო: უნდა ვიჩქარო?!

შექსპირი: მე და შენ უნდა წავიდეთ!

ვანო: წავიდეთ?

შექსპირი: ნუ შფოთავ! მაინც არაფერი გამოგივა, დამარცხდები.

ვანო: ჰამლეტივით?

შექსპირი: ჰო...

ვანო: არსადაც არ მოვდივარ, აქ ვრჩები, ჩემს ქვეყანას შველა სჭირდება!

შექსპირი: რაო?

ვანო: შველა! იქ, დანიაში ზომ რაღაც დალპა, ახალა აქ, აქ ყარს ყველაფერი და მეშინა!

შექსპირი: უნდა აჩეარდე, წავიდეთ, წავიდეთ აქედან...

ვანო: ვერაფერი გამიგია!

შექსპირი: ერთი რამ გავიწყდება...

ვანო: ?..

შექსპირი: ეს ცხოვრება ყრუა და ამაო!..

ვანო: და თუ ჩემს ქვეყანას შველა სჭირდება?

შექსპირი: მერე შენს ქვეყანას საკუთარი შვილები რად ულირს?

ვანო: (თითქოს არ უსმენს შექსპირს, საუბარს აგრძელებს) დღეს თედო სახიკიასგან წერილი მივიღე, მთხოვს, სოხუმში ჩავიდე და ქალაქის თავი გავხდე, კენჭი ვიყარო.

შექსპირი: რაო? სოხუმის ქალაქის თავიო? სოხუმში?..

რა გინდა სოხუმში, იქ ზომ... იქ ზომ (სიტყვას არ ამთავრებს)...

ვანო: იცი, რა ლამაზია სოხუმი?

შექსპირი: ლამაზია, მაგრამ... რად გინდა...

ვანო: როგორ თუ?..

შექსპირი: ჰო, იცი რა (და აქ წყდება საუბარი)...

შექსპირის ლანდი ქრება.

სცენა მეორე:

ქალის ხმა ისმის.

ტასო: ვანო, ვის ელაპარაკებოდი?

ვანო: (პაუზა) არ უყურებს.

ტასო: აქ იყო ვინტე?

ვანო: ეტყობა გადავიდალე, ნუთუ მეჩვენა?.. (თავისთვის, ძლივს გასაგონად, ბუტბუტებს).

ტასო: ვის ელაპარაკებოდი?

ვანო: ?..

ტასო: აქ ვინტე იყო?

ვანო: ჰო... კი! (ისე რომ ვერ გაიგონს) არა, არავინ ყოფილა...

ტასო: შენი ხმა მომესმა და...

ვანო: ეტყობა, მოგესმა, თარგმანს ვკითხულობდი და...

ტასო: მეშინია არ გაცივდე, ხომ გახსოვს, რა გითხრა გეგე მაღალაშვილმა...

ვანო: მახსოვს, ყველაფერი კარგად მახსოვს. ეჭ, შენც დაგტანჯე, რამდენი ლამე გამითენე.

ტასო: (სიტყვას აწყვეტინებს) ვანო, ნეტავი შენ გამოჯანმრთელდე, ნეტავი აბასთუმანის ჰაერი გარებდეს და... სულაც არ დავიძინებდი საწოლში, მალე წავალთ აბსათუმანში?

ვანო: წავალთ, წავალთ აბასთუმანში, მაგრამ შენ ის მითხარ, ვითამ რად არ დაიძინებდი, განა წამებისთვის მემეტები? ჩვენს შვილებს რად უნდათ აგრეთი განაწამები მშობლები...

ტასო: ნუ იცი ასეთი ლაპარაკი, ჩემო ვანო, თორემ ვიფიქრებ, რომ აღარ გიყვარვარ. ჩემი არსებობაც არაფრად გიღირს.

ვანო: იფიქრებ და ძალიანაც შეცდები!

ტასო: (ვანოს კოცნის) ვანო, როგორი ბავშვურიც იყავი, ისეთივე დარჩი... არა, არა, ავადმყოფობა ვერ მოგერევა.

ვანო: მაინც როგორი ვიყავ? ბალდობა ცუდია? განა ქრისტემ არ გვითხრა...

ტასო: (სიტყვას აწყვეტინებს) გახსოვს, ჩემო ვანო, სანამ თანხმობა არ გითხარ, არ დამაძინე, მაინც რა ცეცხლი შემოგენთო ასეთი?

ვანო: და შენც დეზდემონასავით ძლიერ შეგიყვარდი...

ტასო: მე მაგრი მიყვარს და მსურს მუდამ ვიცხოვრო მასთან.

ეს მე ვაცნობე მთელ ქვეყანას, როს გულ-ახდილად
და შეუპოვრად ავყევ უცნობ ბედის ქარიშხალს.

ოტელოს ნიჭისა დავუმონე მე გული ჩემი
და სული მისი მის სახეზედ გამომეხატა.

მის ვაჟეაცობას, ძლიერს სახელს შევწირე მსხვერპლად
ნიჭიერება სულიერი, იღბალი ჩემი.

ვანო: მაშინდელი საქციელისთვინა ახლა მტუქსავ? მაშინ ხომ გაგიხარდა ჩემი დანახვა, აკაკის
წიგნიც სიყვარულით ჩაიკარ გულში.

ტასო: არცა გეძღვური და არცა გტუქსავ, პირიქით, მიხარიან, ასეთი რომ დარჩი, მგზნებარე
შეყვარებული რომეოსავითა.

ვანო: რომეოსავით?

ტასო: ჰო, მე ვიქნები შენი ჯულიეტა და რაკილა ჩემი რომეო შენა ხარ...

ვანო: მაიცა, ჯერ ვთარგმნო, უნდა ვთარგმნო, არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ვერ მოვასწრო...

ტასო: რას ამბობ, რა დროს შენი სიკვდილია?

ვანო: სიკვდილზე არა ვფიქრობ. სიცოცხლეზე და შვილებზედ ვფიქრობ, შენ მედარდები...

ტასო: რაღაცა უნდა გითხრა?

ვანო: რა უნდა მითხრა?..

ტასო: იმ დღეს ეზოში ჩასულიყვენენ ჩვენი შვილები, მათი სწორები და... თამაშობდნენ.

ვანო: მერე?

ტასო: ჯერ ისევ გრილა და... არ გაცივდნენ-მეთქი! (დაბნეული პასუხობს).

ვანო: სიტყვას ბანზედ ნუ მიგდებ, სხვა რამ უნდა გეთქვა და... გადაიფიქრე?

ტასო: იცი...

ვანო: ვიცი, რაც უნდა გეთქვა. ეგ მეც გავიგონე და გული ჩამწყდა.

ტასო: გაიგონე?

ვანო: არ ვიცოდი, ასე თუ თამაშობენ ბალდები...

ტასო: გუშინ ისე იჩწუბეს ძლივას გავაშველე, დაიჩემეს ჩვენი მამიკო ილიაზედ ახალგაზრდაა და
ილიას დაჯაბისო. იქეთ კიდევ შენმა დისტვილებმა აუბეს მსარი და ის ბალდები კინაღამა სცემეს.
მერე ჰყვიროდნენ: მაჩაბლისტებმა გავიმარჯვეთ, მაჩაბლისტებმაო! მორბოდნენ, მამა უნდა გავახაროთო.

ვანო: მაგრამ შენ არ მოუშვი ჩემთანა, (ღიმილით) ვიცი ეგეცა, ვიცი... და გეფიცები, ჩვენს შვილებს
გფიცები, ილიას შევურიგდები!

გახსოვს, აი მაშინ... (მძიმედ წამოთქვამს) ვანკა-სტანკაო, რომ მიწოდა ვერ მოვითმინე და იმად
წამოვიჭერი, ხომ გახსოვს ეგ ამბავი?

ტასო: მოენებმა მომიტანეს ამბავი...

ვანო: ვინ გითხრა?

ტასო: ახლა რაღა მახსომს, მაგრამ ვისაც არ უნდა ეთქვა, არ დავივერებდი, იაკობ მანსვეტაშვილს
რომ არ დაედასტურებინა!

უეცრად სცენის სხვა კუთხე ნათდება: მოჩანს სავარძელში ზურგით ჩამჯდარი ჭალარა კაცი, რომელიც
ეწევა. ამ დროს შემოღის ქალი (ეს ოლდა გურამიშვილია) და კაცს მიმართავს:

ოლდა: ილიკო, გეთაყვა, დაღლილხარ, იქნება დაგესვენა?

ილია: (სავარძლიდან დგება) ოლიკო, რა მოხდა ასეთი, რად მებრძვიან აგრე გაბოროტებითა?

ოლდა: ეჰ, ჩემო ილია, შენი გამოზრდილია ვანო და ვიცი, რაც გტკივა, მაგრამ... ხომ იცი რა ნათელი
ჭკუა-გონება აქვს.

ილია: ვიცი, განა არ ვიცი, ახლა ახალი თარგმანები გამოაქვეყნა და არ შეემებლო არ შემექო.
სტატიაცა დაგწერე, მაგრამ ხელი არ მომიწერია.

ოლიკო: აგრე ჯობს, აგრე...

ილია: ოლდა, იცოდე, ჩვენი ქვეყნის მომავალი ასეთ ადამიანებზედა ჰკიდია... იქნებ, ვანო საქართველოს
მომავალი პრეზიდენტიცაა, ვინ იცის? შენ რას მეტყვი?

ოლიკო: განა გამიკვირდება?

...

წამყვანი: (სცენის შუაგულში დგას) მომავალში მოვა იგანე მაჩაბლის ბიოგრაფისი ვახტანგ ჭელიძე
და იტყვის: „ისეთი მასშტაბის საზოგადო მოღვაწეობა, როგორსაც მაშინ ჩვენი დიდი მამულიშვილები

ეწეოდნენ, მართლაც რომ მეტისმეტად რთული იყო. ისინი ერთსა და იმავე დროს ფინანსისტებიც უნდა ყოფილიყვნენ, ჟურნალისტებიც, პედაგოგებიც, მეურნეებიც, პუბლიცისტებიც, ბელეტრისტებიც, თეატრის მცოდნებიც, ხოლო ზოგჯერ მსახიობ-რეჟისორებიც კი...

სწორედ ამიტომ, ისეთ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ილია და ივანე მაჩაბელი, ჩვენ ვხედავთ სათავადაზნაურო ბანკში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სასკოლო კომიტეტში, თეატრალურ საზოგადოებაში, გაზეთში, ჟურნალსა და მრავალ სხვა საზოგადო ორგანიზაციაშიაო“...

...

(ახლა კვლავ ნათდება ილიას და ოლღას მხარეს სცენა)

ოლღა: დათმე, ისევ შენ უნდა დათმო...

ილია: არ მითხრა, ასე რად მოიქეციო?

ოლღა: რომ გითხრა და გაგიძედო, გამკიცხავ?

ილია: განა მე არ მინდა ქვეყნის სიკეთე?!

ოლღა: ვიცი რომ სიკეთე გინდა... მაგრამ იმ დღეს მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა.

ილია: არა! არ უნდა მეთქვა!

ოლღა: ჩემო ილია...

ილია: იქნება, მართლაც რო გადავაჭარბე?! მოიცა, მოიცა, (გაკვირბებით) შენ ეს ამბავი ვინ მოგიყვა?

ოლღა: მოეწეობს რა დალევს ამ ქვეყნაზედ?!

ილია: მაინც, მაინც?

ოლღა: არც არავის დავუჯერებდი, იაკობ მანსვეტაშვილს რომ არ მოეთხრო...

ამ დროს სცენის შეაგული განათდება, მოჩანს მანსვეტაშვილი, რომელიც საუბარს აგრძელებს:

მასვეტაშვილი: გაცხარებული ბანკობიაა. დაიძრნენ ქართლელები – ქართლიდან ვანოს მხარდასაჭერად, კაზეთიდან – ილიას მხარდასაჭერად – კაზელები. ამან ისეთი მძაფრი ხასიათი მიიღოო. საზოგადოება თეატრში იკრიბებოდა. იყო დაგა-კამათი, ხელჩართულ ჩხები კი. მერე ვიღაცა პოლიციელებს შეატყობინებდა, ისინიც მოცვივდებოდნენ და აშველებდნენ.

ილია ვანოს არაფერს უთმობდა და ჯაბიდა, თუმცა... არც ვანო თმობდა. ვანოს ისე ჰქონდა ნერვები, პატარა წერი იყო საჭირო, წყობიდან გამოსულიყო. ერთხელაც, ილიამ სიტყვა აიღო. ზურგშექცევით მდგარა ვანო და ილიას უთქამს: აი, ახლა, მე რომ ვლაპარაკობ, ვიცი, მაჩაბელი წამოხტა და ერთი სული აქვს როდის მიპასუხებსო; კი მაგრამ... თქვენ ხომ ზურგით დგახართ, საიდან ხედავთ, რას აკეთებს მაჩაბელი, ის ახლა თავისთვის ზისო! – შეპასუხებია ერთი და... ილიასაც არ დაუხანებია: – მერე რა, ახლა თუ ზის, რად გინდა, მაინც ვერ მოითმენს და წამოხტებაო. ხომ გახსოვთ, რუსული სათამაშო „ვანკა-სტანკა“, როგორც არ უნდა გადააბრუნო, სადაც არ უნდა გადააგდო, მაინც წამოდგება და ტანში გასწორდება, ვანოც ასეაო! ჰოდა... ამაზე გაცეცხლებული ვანო წამოშტარა, სცენის უკან დაუწყია ბოლოთასცემა, ისე გამწარებულა, ვერავის დაუშოშმინებია.

მერე, მერე კი... თუმცა მას მერე დიდი დრო გავიდა და ახლა დეტალები აღარ მახსოვეს.

წამყვანი: ილიასა და ვანოს საბედისწერო ბრძოლა არავის გამარჯვებით არ დასრულებულა: დამარცხებით კი... მათთან ერთად, ჩვენი ქვეყნაც დამარცხდა!

მანსვეტაშვილი: იცით, რას ამბობდა ზოგიერთი ქართველი? ილია და ვანო ერთად დიდი ძალაა, თანაც საშიშია ძალაოო და როგორ ფიქრობ, ამ ძალას შეინარჩუნებდა ქართველობა?

წამყვანი: ნუთუ ესენი ბოროტმა ენამ დააშორა? რა... რატომ? (უფრო თავისთვის) ეს ჩვენი ერის კომპლექსია?

მანსვეტაშვილი: არა მხოლოდ ჩვენი ერისა...

წამყვანი: (ირნიით) ვითომ?..

მანსვეტაშვილი: 1895 წლის გაზაფხულზე, თუ ამას მნიშვნელობა აქვს, ზუსტად გეტყვით, 4 მარტს, ილიას ბანკის შესამოწმებლად პეტერბურგიდან საგანგებოდ გამოგზავნილი რევიზია ჩამოვიდა. ისინი მთელი ორი თვე იკვლევდნენ ბანკის მუშაობას. მთავარი რევიზორი პოლონელი წარმოშობის კაცი – ვინმე ევსტაფ დობეცი ყოფილა. მან, როგორც გარეშე კაცმა, ზუსტად განსჭვრიტა ბანკისა და ქვეყნის მომავალი, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ილია და ვანო ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ და... წარმოიდგინეთ, ორივესთან მივიდა. აუხსნა, რა შეიძლებოდა მოპყოლოდა ამ დაპირისპირებას, სთხოვა, საზოგადოებრივი ინტერესებისგან გამომდინარე, მაინც შერიგებულიყვნენ, მაგრამ... როგორც მოსალოდნელი იყო, მათ შორის „კეთილისმსურველი“ ჩადგნენ და... ილია და ვანო არათუ შეარიგეს, პირიქით, დაპირისპირება უფრო მეტად გამწვავდა.

ქოქის
ცანა მოღებაშვილი



* * *

ზამთარს ეპარება ყინვა ბარისახოს,
მოდი, გამიბედე და სული გამანდე,
ჩემზე უნებური წილვა აისახოს,
გარშემო შემოგივლი, დაგხატავ მანამდე.

ნუ შეუშინდები მუცოს მყინვარიანს,
მზე აქ სიყვარულად ათბობს და ანათებს,
მოდი! გამიბედე! დარდი მთიანია,
შენს სულს სახურავი ჭერამდე ახადე.

იქნებ გადმოიქცე გზაზე მეწყერივით,
გასცე სიყვარული, რაც კი გაბადია,
ჩადი! გულის ქვემოთ, რაც კი ვერ შეძელი,
სცადე, აიხდინო ყველა ფანტაზია.

ისე გაიშალო, როგორც ეს კლდეები,
ჭირსაც წაულია ყველა ირონია,
ერთად აურიე ყვავილის ფერები,
მერე შეადარე, როგორ გიცხოვრია.

ზოგჯერ მეტირები, ისევ რომანტიკა,
მუხლზე დაუდექი წარსულს და ილოცე,
ვიცი, მოლოდინი ისევ მომაკითხავს...
ისე წაიქეცი, წამოდგე, იცოდე.

ნეტა ეს ზამთარი ჩუმად გაიპაროს,
ღმერთმა უსაშველოდ ყველას აპატია...
წვიმდა გამეტებით, ახლოს ბარისახოს,
წვიმდა გულწრფელად და ამან გადამრია...

ამ ლექსსაც...

გეტყოდით, სიცრუე ვითომდა მანალვლებს,
ვისოცკის სიტყვები მოგვება ლოთიანს,
გააფრენთ!.. სინაზე ნეტა ვის ანალვლებს?!
აქ ხომ უსახელო გმირები მოდიან...

სასმელი ვითომ და სიბილწეს გიყუჩებთ,
მერე ვის ანალვლებს სიტყვები იმედზე,
ზეცაზე გაცვლილი თამბაქოს სუნია,
სიყვარულს ჩემს თვალწინ ტალახზე იფიცებთ.

სიცივეც ზარების რეკვით რომ შემოდის,
თებერვალს გადავრჩე როგორმე, ჰობია,
ათასჯერ ნაფერებ ნისლიან საღამოს
გაფიცებ, გაჩუმდე, მიგრძნი, ჯობია,

მერე რა ოხერი დაგიჭერს გაქცეულს,
ბრძოლას თუ წაგებ, იმედით დაეცი,
იმედი მწყურია ამდენჯერ არეულს,
რამდენჯერ გრძნობები, ვალად რომ გავეცი.

იწვიმებს! ავდრიან სახეს რომ გაგითბობს,
მოხვალ და თვალებად დაბლა რომ დაიხრი,
სიჩუმეს გამხელილს სიტყვა ვერ ჯობია,
მაშინაც სხეული კართან რომ ჩაიცვი...

დაგითვლი ათასჯერ მოტანილ იარებს,
ჩემთან რომ დაყარე ოთახში, ჯანდაბას!
შენ სულსაც გისოსი რამდენჯერ დაადეს?
რა გიკვირს, უფალი გაცვალეს ბარაბას...

ახლა კი სიყვარულს აფარებ თბილ ზელებს,
ვერაფერს თელავენ ბებერი ჭორები...
დარჩი და შენს წარსულს სულ უკან მივაგდებ,
მომყევი! ჩამოვხსნათ ტანიდან ცოდვები...

მოდი და მე და შენ თითებით ვემებოთ,
ღამეში სურნელით გიპოვი ისევე,
ნდობაზე ამაღამ მეტი რა დავწერო?
ჰაერი ჩვენ შორის როგორ ვერ ისვენებს...

მე კი ვარ ვარდისფერ სხივებით მორთული,
მზესთან ხომ უბრალოდ მტრედები მიდიან,
სიცოცხლეს ჩააბეს გასროლა ათასი,
აქ ყველა ფანჯარას ნერვები ჰქიდია.

ვისოცკის ჰანგები დაგყვება ლოთიანს,
ვინ თქვა, რომ ლექსები გავცვალე გრძნობებზე...
ჩემი სიყვარული ქვეყანას ჯობია,
ამ ლექსსაც გადავწერ შექსპირის სონეტზე...



როგორ ვაჩნდნენ

ღამის პეპლები

დედამიწაზე

ერთ ხმაურიან ტყეში, ვეებერთელა მუხის ფულუროში ცხოვრობდა კეთილი ბუ-უუუ. როგორც ყველა ფრინველს, მასაც ჰქონდა პროფესია – მკერავი იყო.

განთიადზე დგებოდა უუუ, მაშინვე დიდ სათვალეს დაირჭობდა ცხვირზე და საკერავ მანქანსთან ჯდებოდა, მთელ დღეს ჭრა-კერვაში ატარებდა – საღამომდე, და თითქმის მთელი ღამე-დამინებამდე ტყეში სეირნობდა.

ახლაც უამრავი ცხოველი მოგროვილიყო უუუს კართან, დაიწყეს კარზე კაბუნი და გაუთავებელი თხოვნა-სურვილები. თავგზა აებნა უუუს, კართან დამელოდეთ და რიგრიგობით შემოდითო – გასძახა.

ნაცრისფერ ბაჭიას ახალი ჩანთა ესაჭიროებოდა სტაფილოს შესაგროვებლად, ბლომად მუხის ფოთლები მოეგროვებინა... ზუმ-ზუმ! აბზრიალა საკერავი მანქანა უუუმ და ზუსტად ერთ წამში ჩანთაც მზად იყო. მადლობა უუუ – გაუხარდა ბაჭიას, ამაში იმდენი სტაფილო ჩამეტევა... აპა, ეს შენ, კეთილი! ხელის გული გაშალა ბაჭიამ, ტყის მარწყვი მოგიტანე საჩუქრად.

– შემდეგი! – დაიძახა უუუმ.

შემდეგი კუდფუმფულა, ყავისფერი ციყვი იყო.

– წინსაფარი დამეხია, კეთილო უუუ...

უუუმ თასმები მიაკერა მარწყვის ფოთოლს, მერე კიდევ უფრო პატარა ფოთოლი მიუკერა ჯიბედ და ზედ პაწაწინა, დაწინწკლული მარწყვები ამოქარგა... ოო.... აღფრთოვანდა ციყვი, ეს ყველაზე ლამაზი წინსაფარია, რაც კი ჩემთვის შეგიკერავს ოდესმე... გმადლობ, კეთილო უუუ, ეს საჩუქრიც შენ! ციყვის გარჩეული თხილის გული სოკოს ქუდში ჩაელაგებინა...

– შემდეგი! – დაიძახა უუუმ.

შემდეგი გაბურძგნული, სასაცილო ზღარბი იყო.

– იცი, უუუ... დაიწყო ზღარბმა, ამ ბოლო დროს ჩემი ქოჩორი აღარ მომწონს, მეჩეჩება და მებურგნება, მერე კი დამცინიან... ვფიქრობ – ქუდი შეგეპერა ჩემთვის...

ოპო! აკისკისდა ბუ, აბა, როგორი ქუდი გინდა, ბიჭო, ჭრელი და ბანტიანი თუ თეთრი და პუჭ-პუჭა (ვაიმე – ახლა კი გავიგუდები სიცილით, გულში ფიქრობს ბუნება ამის ეკლებს რა ქუდი მოურგება)?

– აბა, მე რა ვიცი, – მხრებს იჩეჩავს ზღარბი,....

– მოიცა, მოიცა, მე ვიცა, რაც გჭირდება, განა ტყუილად ჰქვია უუუს ერთადერთი და საუკეთესო მერავი მოელს ტყეში, – თავი შეიქო ბუმ და სოკოს ქუდი ჩამოაცვა თავზე.

– ოპო, რა კარგი ბიჭი ვარ, ძლივს მოსცილდა ზღარბი სარგეს... დაუჩქარე ზღარბუკავ, სხევბიც მელოდებიან გარეთ. გმადლობ, კეთილო უუუ... მეც მაქვს საჩუქრარი შენთვის, მაგრამ ვერაფრით ვიხსნი ზურგიდან, აპა და შენ თვითონ აიღე... დაუჯაჯგურა უუუ ზღარბის ეკლებში ჩამაგრებულ წითელ ვაშლს, მაგრამ მერაც ვერ უყო, მერე ძალა მოიკრიბა და ძლივს, როგორც იქნა, ამოაცალა, ამოაცალა და გაიშელართა კიდეც იატაკზე, მაპატიე, უუუ, – აიბუზა ზღარბი, შენი წყენინება არ მინდოდა, არც კი მიფიქრია, თუ რამეს გავნებდი....

– შენი რა ბრალია, ზღარბუკავ, თითები კი და-მეჩევლიტა, მაგრამ არა უშავს, გამივლის...

– ოხ, რა უხეში თები მაქვს, – აბუზღუნდა ზღარბი, ხან ყვავილების მტვერი მივიყარე, ხან თაფლი წავისვი, მაგრამ მაინც არ მირბილდება და რა ვენა?.. მაპატიე, კეთილო უუუ და ნახვამდის,....

– დავიღალე ამდენი ლოდინით, – აწუწუნდა წრუწუნა... ჩემი ისფერი კაბა დაამთავრე?

– აი შენი კაბა წრუწუნა, ისფერი და სურნელოვანი...

საოცარი კაბა შეეკერა უუუს ის ფურცლებით, არშიებით და ბანტებით...

– როგორც იტყვიან, ჩემს ტანზეა შეკერილი, იების გვირგვინს მე თვითონ დავიწინავ... როგორ მომიხდება ამ კაბაზე... გმადლობ, კეთილო უუუ, ასეთი ლამაზი კაბა არასოდეს მქონია, არც მე მო-სულვარ ხელცარიელი – პატარა ტომრით სიმინდის მარცვლები უსაჩუქრა...

— ნახვამდის, კეთილო უუშუ!

— ნახვამდის, წრუწუნა...

— აბა, შემძევი!

შემძევი დიდთვალება და მწვანე ბაყაყი იყო.

— ხვალ გაწვიმებას აპირებს, მე კი ბოტები გამიცვდა, თუ ახლებს არ შემიკერავ, ბოტებში წყალი შემივა, მერე გაცივდები, მერე სიცხე ამიწევს, მერე ფილტვების ანთება დამემართება, მერე დედაჩემი ძალით წამიყვნს ექიმთან, მერე ექიმი ნემსებს გამომიწერს, მერე კი მოვკვდები, იმიტომ, რომ ნემსებს არ გავიკეთებ, იმიტომ, რომ ნემსებს სიკვდილზე მეტად მეშინია, იმიტომ, რომ გინდაც ნემსი გავიკეთო, მაინც მოვკვდები, იმიტომ, რომ თუ ნემსი შემერტობა — გავსკდები, ასე რომ, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, ახალი ბოტები უნდა შემიკერო, მუხის ქერქი მოგიტანე, ყავისფერი ბოტები მინდა! — დაიწყო და ძლივს დაამთავრა ბაყაყმა...

მიგრის-მოგრისა უუშუმ მუხის ქერქები, ზედ თოკები გადაუჭიმა..

— ესეც შენი ბოტები, არც წყალი შეგივა, არც გაცივდები..

— მადლობა, კეთილო უუშუ, უკეთესადაც გადამეხადოს...

უუშუმ ბაყაყის ნაჩუქარი ყვავილები ლარნაკში ჩააწყო და შევებით ამიისუნთქა...
— კიდევ ვინ მელოდება?

— ჩვენ — წამოიძახეს კარს უკან...

— ვინ, თქვნ?

მატლები ცდილობენ, კარი გააღონ, მაგრამ ამაოდ, სად აქვთ ამზელა ძალა?

ვინ უნდა იყოს ეს უცნაური? კარი გააღო ბუმ, თურმე კართან ათასობით მატლი მოგროვილა და ფუთფუთებენ...

— თქვენ რა გინდათ, პაწიებო?

— იცით, კეთილო უუშუ... ჩვენ ისეთი უშნოები ვართ, უყურებენ ერთმანეთს... აი, ჭრელი ფრთები რომ გაქონდეს, გაგვიხარებდა გული, ჩვენც გვინდა ლამაზები ვიყოთ, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია... მინდოორში რომ მხატვარი პეპე ცხოვრობს, იმის-ნაირი ჭრელი ფრთები გვინდა...

— ოხ, დიდი ისამოვნებით, მაგრამ, ჭრელი ნაჭერი არ გამაჩნია, იქნებ, სადმე იშოვნოთ, ...

ოხ — გულში ფიქრობს ბუ, რა კარგია, რომ არ მაქს ჭრელი ნაჭერი, ამდენი ფრთის შესაკერად მთელი დღე დამჭირდებოდა.

— აბა, ჩვენ საიდან, კეთილო უუშუ, ჩვენ საერთოდ არაფერი გვაბადია, ...

რა გაეწყობა — მხრებს იჩეჩავს უუშუ, — მხოლოდ თეთრი მიტკალი მაქს, მაგრამ მხატვარ პეპეს სთხოვთ და მოგიხატავთ ჭრელ-ჭრელად...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — ფუთფუთებენ მატლები, შეგვიკერე რა, შეგვიკერე რა...

ერთი დღე და დამე კერავდა უუშუ წერილ-წერილ ფრთებს, მერე ყველას სათითაოდ მიუმაგრა ზურგზე და თან უთოთი გაუტეკიცინა, აფრთიანდნენ მატლები. ახლა მათ მატლები კი არა — პეპლები ჰქვიათ...

— წამო, პეპე მოვძებნოთ... გმადლობთ, კეთილზე კეთილო უუშუ, მადლობის მეტი არაფერი გვაბადია...

ოჳ, — ფიქრობს უუშუ, ერთი დღე და დამე გავასწორე, მაგრამ ამათ სიხარულად ღირდა...

რადგანაც პეპე გამოცდილი მხატვარი იყო, სწრაფად მოხატა უფერო პეპლები და დაარიგა: სანამ საღებავი კარგად არ გაშრება, წყალს არ გაეკაროთ, თუ საღებავი წაიშლება, შავ-თეთრებად დარჩებით, რადგან მთელი საღებავი დავხარჯე და მეტი აღარ მაქს...

ოო, — შეწუხდნენ პეპლები, ჩვენ ასე გვიხარია ჭრელი ფრთები, შენ კი საღებავის გარეშე რა უნდა ქნა?

მე უკვე დავბერდი — ამბობს პეპე, მთელი ცხოვრება ვხატავ და ვხატავ, ახლა კი დროა, ხელები დავასვენო....

პეპლებმა სამადლობელად ინარნარეს ჰაერში პეპესთან ერთად და მზიან მინდოორში გაიფანტნენ.

წვიმით გაბერილი ღრუბელი ლამის გასკდეს ცაში, მაგრამ არ წვიმდება, ელოდება, როდის გაუშრებათ პეპლებს ფრთები, ისინი კი ნარნარებენ ჰაერში, ბერინერები მღერიან...

თავი შეაფარეთო, — უყვირის ღრუბელი, რადგან მეტი აღარ შეუძლია, პეპლებს კი ნარნარში და ოცნებაში გართულებს, არაფერი ესმით, ჭრელი ფრთებით და ფრენით ტკბებიან...

განა ტყუილად იწინასწარმეტყველა ბაყაყმა...

ადამიანს, რომელიც ძერაზე ნადირობდა, ისარი გაუსხლეთა და ძერას სანაცვლოდ, ღრუბელს მოხვდა ისარი, ღრუბელიც დაუყოვნებლივ ჩამოემსო მინდოორს წვიმად...

ვამე, წყალი, ვამე — დავსველდით, დაწიოკდნენ პეპლებით... ბოროტი ღრუბელი, შეუბრალებელი ღრუბელი... ჩვენი ფრთები, ჩვენი საწყლი ფრთები...

— თავს იკლავენ ტირილით... ღმერთმა როგორებიც გაგაჩინა, ისეთები უნდა ვყოფლიყავით, მოვინდომეთ აქ გაღამაზება... ახლა სად გამოვჩნდეთ სირცევილით? ყველა ჩვენ დავცინებს, აღარც ჭრელი პეპლები ვართ, აღარც მატლები... აღარ იციან, რა თქვან და რა ქნა...

გაუჩინარდნენ საცოდავი პეპლები, გარეთ სასეირნოდ მხოლოდ დამით გამოდიან, ამიტომ ჰქვიათ შავ-თეთრ პეპლებს დამის პეპლები...

საცოდავი პეპლები,
დღემდე ჯავრით სკდებიან.
სიშვე-თეთრის რცხვენიათ,
მხოლოდ დამით ჩნდებიან...

შოკოლადის ნაყინი, სახელად „სიკეთე“

მექენს სართულზე ფანჯრის რაფაზე წამომჯდარი საოცრად ლივლივა ზღვას გადავყურებ და ხელის თითებს უკვე მეათასედ ვითვლი... ერთი... ორი... სამი...

ბავშვობიდან დამჩერდა მშობლიური და საყვარელი ზღვის სიყვარული... უფრო სწორად, კი არ მიყვარს, ვესრავი მას მოელი არსით, სხეულის თითოეული უჯრედით... ზღვა ხომ სივრცეა, ხმაურია, უსაზღვრო ხმაური... ნავსაყუდელი ჩემი ფიქრებისთვის... რამდენი ხანია ასე არ გადმომიხდავს სახლის ფანჯრიდან და არ დავმტკარვარ სოხუმის ზღვით, ჩემი ზღვით... გავიზარდე, წამართვეს, გავექეცი. ლამის დავივიწყე ღრმა ბავშვობის ჩვეულება, 8 წლის ზევულთმიანი გოგონა საათობით ფანჯრიდან რომ გადავყურებდი ყველაზე ახლობელსა და საყვარელ ტალღებს და თეთრ თოლიებს, მერე თაკარა მზეს ვუშვერდი თითქმის გადამწვარ ფეხებს და გემრიელი ნაყინის მოლოდინში ასე ვატარებდი დროს. ხომ, ჩემს მენაყინეს ველიდებოდი... ახლაც კარგად მახსოვეს ის მანქანა, მისი უცნაურად წარმოსადეგი და მაინც უმწეო თვალების მქონე მძღოლი და ნაყინი ხომ, მით უმეტეს. ძია თედოს მზისგან გადამწვარი ბეჭები და კოხტად გადავარცხნილი მუქი ფერის ულვაშები ჰქონდა. სტვენა-სტვენით დაატარებდა ქალაქში ყველასთვის საყვარელ ნაყინს, თან საოცარი სიგრილე და სიმსუბუქე დაჰყებოდა, ჩგნეს კორპუსთან გავლისას სვლას ანელებდა, თვალს შორიდან ჩამიკრავდა და ხელში ჩემს საყვარელ შოკოლადის ნაყინს შეათამაშებდა ხოლმე. მეც დიდხანს არ ვალოდინებდი და თვალის დასამხამებაში მასთან ვწნდებოდი. მერე ძია თედოსგან უსასყიდლოდ მიღებული ნაყინით ვითხუპნებოდი და მონეტებს იქვე გადასასვლელთან მდგარ ხელგამოწვდილ ჩემა თანატოლებს ვურიგებდი... ასე გრძელდებოდა დიდხანს...

ერთხელაც ძია თედოს ხელგაშლილობით გაკვირვებულმა ვკითხე, უფასოდ რატომ მაძლევთ ნაყინს, მე ხომ მამა ყოველდღე მიტოვებს ამისთვის ფულს-მეთქი. ძია თედომ გამიღიმა, მზრუნველად გადამისვა თმებზე ხელი და მიჩურჩულა: „მე ვიცი, რომ შენ ადამიანების დახმარება გიყვარს, უფრო მეტად ადამიანები გიყვარს. მე რომ უული გამოგართვა, მერე შენ იმ პატარა უმწეოებს როგორ დაეხმარები? დაიმახსოვრე, ჩემ პატარა,



ამ ცხოვრებაში ყველაფერი წრეზე ბრუნავს, მე შენ გეხმარები, შენ მათ, დრო მოვა და სიკეთე ამ წრეს შეკრავს. წრე კი არსაიდან იწყება და არსად მთავრდება!“

ძია თედოს ბოლო სიტყვები მეტისმეტად დიდურად მეჩვენა და ბევრი ვერაფერი გავიგე, თუმცა მაინც გადავეხვე ჩემს უფროს მეგობარს, მერე ბედნიერი და შოკოლადიანი დავბრუნდი სახლში.

15 წლის ასაკშიც ფანჯრის რაფაზე წამოსკუპებული ველოდებოდი ნაცნობ სტვენას და მაშნაც ფეხშემად შერჩენილი ფულით უნის უმწეოებს ვეხმარებოდი. ასე მზესთან, ზღვასთან და ნაყინთან ერთად ვიზრდებოდი.

20 წლის ასაკშიც ვიჯექი ფანჯრის რაფაზე და უცნაურად გარინდებულ ნაცნისფერ ზღვას გადავყურებდი, სოხუმის ზღვას, ჩემს ზღვას, რომელიც გარინდებულიც კი ხმაურობდა, ღელავდა... აპროტესტებდა. ქალაქი უტყვი იყო, აგვისტოს სიცხეც კი მზარავდა... თვალმოუშორებლად რაღაც ახალზე ფიქრით შევცემოდი ქუჩას და ნაყინის მოლოდინში თითებს ვითვლიდი... მანქანა გამოჩნდა... გამისარდა, რომ ჩემს ქალაქში ძველი რაღაც ისევ შემორჩა. ჩემთვის ხომ ძია თედოც და მისი ტკბილეულიც ბავშვობასთან და, შესაბამისად, სიმშვიდესთან, ბედნიერებასთან ასოცირდებოდა... მანქანა გამოჩნდა, მაგრამ აშკარად არა ძია თედოსი... უფრო დიდიც იყო და ხმაურიანიც და მას ნაყინზე ცივი რამ მოჰკონდა...

სიკვდილი... აწონილი, დაჭრილი... სიკვდილი მოჰკონდათ გარინდებული ქალაქის ქუჩებში ხმაურით მიმავალ მანქანებს...

მთელი დღე აქვითინებული შევცემოდი ტანკების უსაშველოდ გრძელ სვლას და მთელი სხეულით შიშის უჩვეულო სისველეს ვერძნობდი... მხოლოდ საღამოს მამა ძალით ჩამომსვა ფანჯრის ღია სარკმლიდან, სულ მთლად გათოშილი და ათრთოლებული... სწრაფად ჩამილაგა ტანსაცმელი, გაუგებარი სიტყვებით გამომეშვიდობა, შუბლზე

ძლიერად მაკოცა და, სხვათა მსგავსად, ერთ დიდსა და ხალხმრავალ გემზე ამიშვა. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც სამეგრელოში დედის დედასთან ჩამოშვეს, გავაცნობიერე, რომ რაღაც დიდი მოხდა, რაღაც სხვა... რომ ბავშვობა დასრულდა, ქალაქიც, ჩემი სოხუმიც დასრულდა... ამ აზრა მატკინა, თუმცა ბევრს მანც ვერაფერს ვიაზრებდი...

გამუდმებით ვფიქრობდი მამაზე... მამაზე, რომელიც დედის გარდაცვალების დღიდან მივლიდა, მზრდიდა... სახლიდან დილით ადრე გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა... უკვე დაძინებულს კულულებზე ფრთხილად მყოცნიდა და ნაყინის ფულს მაგიდაზე მიტოვებდა... ბოლო დამშვიდობებისას მეგონა მამას ბოლოვერ ვხედავ-მეტქი, მაგრამ მუხთალი ბედის უკუღმართობით ის მოულოდნელად ისევ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და თან სოხუმიც დააბრუნა... ჩემი არსიდან ვერამოგლეჯილი ქალაქი... ბავშვობის ქალაქი... და მატკინა, ყველაზე მეტად სწორედ მაშინ, როდესაც მამა ტყვეთა ბანაკში სხვებთან ერთად ვნახე და მე დავეცი... მე გავნადგურდი... ვერ გამოვდექი გმირი შვილი... ვერ... არ ვალიარე მისი შვილობა, მისი ვინაობა დავმალე და გავიმეტე... მერე უმისამართოდ გავიქეცი და დღიძე გავრბივარ... მე მოღალატე... მე ლაჩარი... დღემდე მეზიზღება საკუთარი თაგი, საკუთარი მე, რომელმაც გამზრდელი მამა განსაცდელს შეაჩერა, დამალა, უარყო... თუმცა ადამიანი ვიყვავი... არა, გმირი, არა, მებრძოლი, მაგრამ ადამიანი, ჩვეულებრივი, ჩვეულებრივად...

ამ ამბიდან დიდი დრო გავიდა, მტანჯველი დრო, მარწუხებიანი დრო, საჯველად ქცეული დრო... სწორედ ამ დიდი ხნის შემდეგ გავტედე

და მოვახერხე ჩემს სოხუმში ჩასვლა, ჩემს ქველ მეგობართან დაბრუნება... საყვარელსა და უახლოესად ქცეულ ზღვას კრძალვით მივეახლე, შორიდანვე ჩურჩულით და ვედრებით: „მომიტევე“... პატიებას ვთხოვდი თითოეული შეცდომის გამო, რომ წავედი, დაგტოვე, უკანმოუხედავდ, რომ გავწირე და მე გავიწირე და რომ საერთოდაც შემეშინდა... მე, ზღვის სანაპიროზე გაზრდილმა გოგომ სისუსტე გამოვიჩინე...

მერე სახლისკენ გავწიე, კორპუსი აქა-იქ დანგრეულიყო... ქალაქში ომის ბუდი ჯერ კიდევ ტრიალებდა... ისე ცარიელი მომეჩვენა ჩემი ქალაქი, ჩემი ბავშვობა უფრო... მერე ისევ ფანჯრის რაფაზე წამოვაჭები და თითების დათვლა დავიწყე... თვალი მოვავლე გარემოს... უეცრად გადასასვლელთან უმწეოდ წელში მოხრილი და ხელგამოწვდილი ჭაღარა წვეროსანი დავინახე... უხილავი ძალით წაგაბარბაცდი მისკენ... მიახლოებისას შორეული ბავშვობიდან შოკოლადიანი ნაყინის სურნელება ვიგრძნი... ამეწვა თვალები, წარსულიც, და ხმამაღლა, შეუსევენებლად ავქვითინდი... ხელგამოწვდილ მოხუცში ძია თედო ამოვიცანი...

გადაეხვიე ჩემს დიდი ხნის უნახავ მეგობარს, სახლში შევიყვანე, ჩაითა და ტკბილეულით გავუმასპინძლდი. მაშინვე გაცოცხლდა ჩემი სოხუმი... ჩემი ქალაქი... ჩემი ბავშვობაც... და მე ვიგრძნი, დიდი ხნის მივიწყებული წრის ძალა... ახლა ხომ ჩვენს გარშემო უზარმაზარი სიკეთის წრე შეიკრა... ისეთი წრე, არსიდან რომ არ იწყებოდა და არსად მთავრდებოდა...

„მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“

შორენა ლებანიძის დოკუმენტური რომანი „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ ნაწარმოების მთავარი გმირის ნაამბობს ეფუძნება და ქართულ-აფხაზური ოჯახის ტრაგედიას აღწერს.

სინამდვილის მხატვრული გააზრება, პერსონაჟების ფსიქოლოგიის წვდომა და მძაფრი, სულისშემძვრელი ისტორიების სიუჟეტური განვითარება ავტორს საშუალებას აძლევს, მკითხველი 1990-იანი წლების ქართულ-აფხაზური რეალობას უშუალო თვითმჩილველად აქციოს. თუმცა გასული საუკუნის მიწურულის სამხედრო-პოლიტიკური პროცესები მხოლოდ ფონად გასდევს წიგნში მოხრობილ ამბავს.

ავტორის მზერა მიპყრობილია აფხაზეთის მთებში ჩაკარგული პატარა სვანური სოფლის, კომანის, ეკლესიისკენ, სადაც დრამატული მოვლენები შემაძრწუნებელი სისწრაფით ვითარდება. მკითხველი ეცნობა ადამიანებს, რომლებიც თავსდატეხილმა უბედურებამ ეკლესიაში გამოკეტა და რომლებიც ბედისწერის მორიგ გამოწვევებს ჯანსაღი ცხოვრებისეული პოზიციით, მაღალადამიანური თვისებებით დაუპირისპირდნენ.

დოკუმენტური რომანის რამდენიმე პერსონაჟის ვინაობა, გარკვეული მიზეზების გამო, შეცვლილია.

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

შორენა ლებანიძე

მანანა ანუა

ტყვეობის
ორმოცდათორმეტი
დღე



სტუმრად ფონიჭალის უსინათლოთა კულტურის სახლში



ნოდარ მამაცაშვილის არაერთი ბრწყინვალე ლექსი, ერთ-ერთი, ამირან ღოღაძის ლექსი „ცას იქით ცა რომ ციმციმებს“ სიმღერად შეასრულეს. საღამოს არაჩეულებრივი დატვირთვა შესძინა უსინათლო მომღერალთა უნიჭიერესმა გუნდმა.

ეს იყო სულიერი ამაღლების, განწმენდის, სიყვარულის ჭეშმარიტი დღესასწაული. ასე რომ, მეგობრები, თუ გსურთ, ძალუმად შეიგრძნოთ პოეზიის ღვთაებრივი მაღლი, განიცადოთ უფალთან სიახლოვის სანეტარო სიტქბო, ეწვიეთ უსინათლოთა სახლს, გაცანით მათს პოეტურ მარგალიტებს, დატკბით მათი სიმღერით, ანგელოზთა ტკბილხ-

ქალაქ თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ლიტერატურული სალონი ჭეშმარიტ ხელოვანთა ძიებაშია. მათთან ურთიერთობის წადილში უამრავი საქველმოქმედო პროექტი თუ აქცია, უამრავი ღონისძიება ტარდება. ამჯერად ლიტერატურული სალონის წევრებმა, რომელსაც 7/2 კლასი წარმოადგინდა, სულიერი თვალით მაყურებელ, უსინათლო საზოგადოების პოეტებს უმასპინძლეს, ღონისძიებით „შუქი სულისა“. 7/2 კლასის მოსწავლეებმა ბევრი იმუშავეს ლექსების გამომეტყველებით კითხვაში, ამ საქმეში მათ ეხმარებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაყვალა გერმანზაშვილი. ღონისძიების განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კლასის დამრიგებელს – ნინო ჯიქიძეს. მოსწავლეებს მეგზურობას უწევდნენ: მე-11 კლასის მოსწავლეები: გურანდა ლაზარაშვილი და გურანდა გოგალაძე, რომლებმაც ღონისძიების წამყვანობა ითავეს. 7/2 კლასის მოსწავლეებმა ლექსებთან ერთად მსმენელებს ამირან ღოღაძის ლექსზე შექმნილი სიმღერაც შეასრულეს. მუსიკის ავტორი გახლდათ მუსიკის პედაგოგი იზოლდა ტყეშელაშვილი.

უბედნიერესი და შთამბეჭდავი დღე იყო თბილისის 142-ე საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეთათვის. სკოლის ამაგდარმა პედაგოგმა – მაყვალა გერმანზაშვილმა მე-7-11 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით, მოაწყო პოეზის დაუკიწყარი საღამო უსინათლოთა სახლში. ბავშვებმა საოცარი პოეტური შთაგონებით წაიკითხეს ხუთი უსინათლო შემოქმედის: ამირან ღოღაძის, ცირა ვეფხვაძის, რევაზ ტატალაშვილის, ნაზი უშიკიშვილისა და



მოვანებას რომ მოგვაგონებს. მადლობა მაყვალა გერმანზაშვილს, ჩემს უნიჭიერეს კოლეგას, შეუდარებელ პროფესიონალს, ჩვენი სკოლის საამაყო მოსწავლეებს, მათ დამრიგებელს, ნინო ჯიქიძეს, მუსიკის მასწავლებელს – იზა ტყეშელაშვილს, უსინათლოთა საზოგადოების თითოეულ უკეთილშობილეს წევრს, ღონისძიების საპატიო სტუმრებს: პოეტებს: ქეთევან დოლიძესა და თამარ გაბროშვილს იმდღვანდელი ღვთაებრივი საღამოს მოძღვნისათვის. და რაც, მთავარია, მაღლობა უფალს ყველა იმ ბედნიერი წამისათვის, რომელიც გვაჩუქა!

ლილიანა გვიჩია,
142-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

„შუქი სულისა“

სასწაულია უსინათლოთა კავშირის შემოქმედ პოეტთა ხილვა. უდიდესი სითბო, სიყვარული, სინაზე, სიწმინდე მოეფინება მათგან. გასაოცარი სიღრმისეული წედვით დაწერილი მათი ლექსები მკითხველს მთავარი არსისებ მიგვაჲყრობინებს ყურადღებას, იმ უხილავის ძიებისებ გვიძიშვებს, რომლის ხილვა სულიერი თვალის გარეშე გაგვიჭირდება. საინტერესო, სანიმუშო, სულის საწვრთნელი აღმანახია „შუქი სულისა“, რომელიც თავის სახელწოდებას ყოველ სიტყვაში, სტრიქონსა თუ მხატვრულ სახეში ამართლებს. შეიძლება თამაბად ითქვას, რომ აღმანახის ავტორები, თითოეული პოეტი, პროზაიკოსი თუ ჟუბლიცისტი თავისეული ხმით, სათქმელითა თუ მხატვრული სტილით ამდიდრებს და ავითარებს ქართულ მწერლობას. ამჯერად ხუთი პოეტის შემოქმედების განხილვით შემოვიფარგლებით. მე, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, შეკვედები, რამდენიმე შტრიხით ჩემი თვალით დანახული თითოეული პოეტის სულიერი პორტრეტი შევქმნა.

* * *

ამირან ღოღაძის პოეზია სადღაც, შორს, „ცას იქით ცა რომ ციმციმებს“, გვამოგზაურებს, წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარს გვიმდიდრებს; თითოეული ჩვენგანის სულს მოქმედებისებ უბიძგებს; მგზავრად ქცევას გვავალებს, თვალთახედვას გვიფართოებს, რათა დაგვანახვოს, ცას იქით როგორ დაგვანათის „კვართი თუ კალთა კარვისა“, რომელიც „ნათობს და ელავს ქარვისეფრად“. მის პოეტურ სამყაროში ხალისია თავისით მომავალი აისისა, ვარდისა და ის სურნელია. პოეტი უმღერის უსასრულო, მარადიულ ზღაპარს, რომელსაც გამუდმებით ყვება დილის ნიავი. ლექსი „პეიზაჟი“ იმ სინაზესა და ჰარმონიულობას გვაზიარებს, რომლისთვისაც არ არსებობს „უზენაესი კანონმდებლობა უამთა სიაგის“, სამაგიეროდ, „ლიაა მისთვის ზეცის ცხრა კარი, უსასრულო მისი ზღაპარი, ახლა რომ ჰყვება დილის ნიავი“.

ამირან ღოღაძის პოეზიაში ვისმენთ „იდუმალ ჩურჩულს“, „მზის ამოოხვრას“, ვგრძნობთ ბობოქარი ზენა ქარის ქროლვას, აღმაცერ წვიმას. წუთისოფლისგან დამტრთხალი სული კი ლურჯ სივრცეებში იმკვიდრებს ბინას. ლექსები: „რა იდუმალი ჩურჩული ისმის“ და „გარდაცვალება“ საკმარისია ამირან ღოღაძის სულიერი პორტრეტის მთავარი შტრიხის ამოსაცნობად. პოეტი დაკარგული ცხვრის მდგომარეობაში შესთხოვს უფალს: „მწყემსო კეთილო, არ მიატოვო ცხოვარი შენი!“ („რა იდუმალი ჩურჩული ისმის“) ლირიკული გმირის სულიერი კათარზისი, მეორედ შობა დედამიწაზე, გარდაცვალების განცდა და მადლიერება უფლის მიმართ საოცარი სიფაქიზითაა გადმოცემული:

„ქროდა ცივი ზენა ქარი,
წვიმდა, აღმაცერად წვიმდა,
ის დამფრთხალი ამოფრინდა
ძოწისფერი წიაღიდან და
ლურჯ სივრცეს მიეახლა;
ღირდა, ამ ღღისათვის ღირდა
სულის შობა ხელახალი,
ხორცის შესხმა კვლავ მიწიდან,
ქროდა ცივი ზენა ქარი,
ციდან აღმაცერად წვიმდა“.

* * *

ცირა ვეფხვაძის პოეზია სათქმელის თავისებური სტილით გამოირჩევა. მისი ლექსები აკინძულია მონოლოგსა თუ ღიალოგზე, რაც უფრო ახლობელს ხდის მკითხველისათვის. მის ლექსებში ანცობენ „ბელი ღამიდან გმობარული ბედნიერი ბავშვები“. მკითხველი ამ ბავშვებს შორის აუცილებლად ამოიცნობს თვით ღირიკულ გმირს. ქალბატონი ცირას ლექსები მოღრუბლულ, განრისხებულ ცასაც კი შეგვაყვარებს; მიწის მძაფრ სუნსაც შეგვაგრმობინებს და ერთადაც გვახეტიალებს ცის კიდემდე. მისი „იდუმალი შეხვედრები“ იმ მარადიულ თემაზეა დაწერილი, მამაშვილური სიყვარული რომ ჰქვია, და რომელიც ერთგვარი აღთქმა მამა-შვილს შორის დადგბული. ეს აღთქმა გაუტეხელია ლექსის ლირიკული გმირისათვის:

„თუ გსურს, ილოცე
შუა გზაზე გამტყდარ კაცისთვის,

შენი ნებაა, რადგან სულში გიდგას
ზედაშე ჩემი სისხლისა,
სხვა თოკები გვახრჩობს მე და შენ,
ჩემი სუნთქვა ხარ, განგეშორე? რა ვუყოთ მერე,
ბედი გიღიმის, თუ სოფელი ცრუ და მკაცრია,
ორივეს ნაცვლად გვევდრები, ოღონდაც წერე!“

პოეტი წყდება ბნელით მოცულ რეალობას, ქმნის ზღაპრულ სამყაროს, რომელშიც საოცრად გვმასპინძლობს, მაგრამ დორდადორ არაზღაპრულ დასასრულსაც შეგვახსენებს:

„ – მოხვალ?/ – რა თქმა უნდა, მოვალ/ – მალე?/ – უსათუოდ მალე. / – სად ხარ? / – ტელეფონი ოხრავს, ქარმა ამირია კვალი. / – რა ხარ? / – გაუმჯაცრდა ტონი, / – რაო?! / – ავირიე წამზე, / – იცი, გაგაბრაზე, მგონი, / – თაფლი დაეწვეთა ხმაზე. / ვდგავართ ალერსიან ზღვასთან, / სიტქბო უთქმელია ენით, / მაგაწრავს იდუმალი განცდა / – ბოლო შესვედრაა ჩვენი“. / („არაზღაპრული დასასრული“)

ქალბატონი ცირას სულიერი პორტეტისათვის საკმარისია მისი ლექსი „ტკბილი სონეტი“: „დაუნდობელი სევდის ტალღამ რომ არ წამლეკოს, ნატყვიარ სულში რომ ყვაოდეს მწვანე წალკოტი, ღმერთმა ამისთვის მისახსოვრა ოცნების გუდა“. და, რაც მთავარია, პოეტი გვასწავლის, ადამიანმა ყოველგვარი მიზეზის გარეშე როგორ უნდა იგრძნოს თავი ბედნიერად:

„ბედნიერი ვარ სულ უმიზეზოდ,
ქარს მოაქვს გემო სველი ალუბლის,
მზის ცხელი სუნთქვა გასცლია ეზოს,
ჩიტები მხოლოდ ჩემთვის გალობებ.
მივდივარ ჩუმად, არც კი იციან,
ამვლელს და ჩამგლელს გულზე ვადნები,
მივდივარ ნელა, მაცვიგა ციდან
წვიმის კისკისა ბრილიანტები“. „

ცირა ვეზხვაძის თითოეული ბტკარი ლოცვაა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი მამულიშვილისა: „შემეწიე, ზეციერო, მამა, ძეო, სულო წმინდა, – შენ და მამულს გემსახუროთ, ამის მეტი არა მინდა“. („მარიამული“)

უფალმა გისმინოთ, ქალბატონო ცირა!
* * *

უსინათლოთა კავშირის შემოქმედთა რიგებს ამრავალფეროვნებს ღირსეული წევრი – პოეტი რევაზ ტატალაშვილი, რომლის პოეზიაც ცის ცრემლებითაა დალტობილი. მისი ლექსების სტრიქონები შეგვახსენებს, რომ დღესაც კაენის ცოდვა მეუფობს და უნდა გვეშინოდეს ღვთის რისხეის:

„შენი სიცრუე გენიდან გენით / სერავს პლანეტის გრძელსა და განედს, / დღესაც ლაპლაპებს მახვილი შენი, / მერეზელო კაენი!“ / („კაენ“)

რევაზ ტატალაშვილის შემოქმედებაში დღევანდელი მძიმე რეალობაა ასახული, – პიროვნული, ეროვნული თუ საკაცობრიო ტკივილი ერთად გადაჯაჭვულა. ლირიკული გმირი გამოსავლის ძიებაშია, იმედს არ კარგავს, რომ ბნელ

ნათელი მოჰყვება. მისი ლექსები გაჯერებულია უფლისადმი ლოცვა-ვედრებით. ლექსი „ვედრება“ ჭეშმარიტი ქრისტიანებისათვის დასასწავლი ლოცვაა უფლისადმი აღსავლენად:

„უფალო, მპყრობელო ყოვლისაო,
მეუფევ, სულთა და გვამიერთა,
ვიდრემდის სასჯელი მომისაჯო,
გენუკვი, მისმინო კადნიერსა:
ცოდვათა სიმძიმით დაცემული
ამ სოფლის ჩაღმართებს ჩაგუგევი,
ვიარე, ვეთრიე მხარქცეული,
დავლახე ცცნების ჭიუხები...
შენდამი რწმენა და სიყვარული,
რაიცა პაბისგან გარდმომეცა,
ყრმობაში ჩავტოვე მინავლული,
ცარგვალი თაგს რისხვით ჩამომექცა.
თვად ხარ არსიც და დასაბამიც,
ვედრება კრძალულად გამილექსავს,
ცოდვანი მუნ თანაწარსატანი,
შემინდე, შემინდე, კადნიერსა!“

პოეტ რევაზ ტატალაშვილის სულიერი პორტრეტისათვის შტრიხები თითოეულ ლექსშია. განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით გამოვყოთ ერთი ლექსის – „საუბარი საკუთარ თავთან“ ფრაგმენტი: / ... „იქნებ გზა სავალს მივაგნოთ მართალს, / იქნებ გამოჩნდეს სადმე ტაძარიც, / იქნებ შევრიგდეთ საკუთარ თავთან / და საუბარიც ვცადოთ სხვაგვარი“.

პოეტი, სუფთა სულის ადამიანი, განიცდის მედროვეთაგან ისტორიის, წინაპართა ტრადიციების, რწმენის დავიწყებას და გაფრთხილებს, ამის გამო მოგვეთხოვება ასუხი და დიდ სასჯელსაც უნდა ველოდოთ. ამავე დროს გვახსენებს ჩვენს სატკივარს – სამშობლოს. საქართველოს იარები მოსამუშებელი აქვს ჯერ კიდევ და თუ არა ქართველმა, ვინ უნდა მოურჩინოს?!

/ ... „კვართი უფლისაი თრთის, / ქარმა ვერ ჩაქრო სანთლის ალი, / ივერთ საქართველო გვჭირს, / ჩვენი უმწარესი სატკივარი!“ / („ქარწვიმული“)

მისი ლექსი „მამების ტრაგედია“ მკაფიოდ გამოხატავს მომავალ თაობაში სარეველად მოდებული ნაკლს, რომელიც ადამიანს აკარგვინებს თვითმყოფადობას, ხოლო ქვეყანას – შვილებს. მისი რიტორიკული შეკითხვა ურუანტელს გვრის მკითხველს: / ... „საით მიღისართ, შვილებო, საით?/ ასე უსულოდ და უკელაპტროდ?/

/ ნეტავ ცოცხალი რად გინდათ თავი / ურუანტელოდ და უგელათოდ?...

/ ..., დაფიქრებულხართ, თუნდ ერთი წამით, / თქვენი დუხჭირი მამულის ბედნები?/ გაბრუებულნი ანაშით, წამლით, / რომ იგინებით საკუთარ დედებს?!!“ /

პოეტის ეს ლექსი უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მამებს. მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობა „თვითმკვლელობაზე უარესია“:

„პოი, მამებო, დუმილი ჩვენი
თვითმკვლელობაზე უარესია!

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს ბიჭები
ერის მომავალს ტყვიებს ესვრიან“...

რევაზ ტატალაშვილის თითოეული ლექსი
განგაშის ზარია, სულიერი სიფხიზლისათვის
დარისხებული.

* * *

პოეტი ნაზი უშიკიშვილი თავისი შემოქმედებით
ლირსეულად უმშვენებს მხარს თანამოკალმებს.
მნაზის ლექსები უფლისადმი უდიდესი მადლიერებითა
და სიყვარულით გამოიჩინა. უფაქიზები სულის
ადამიანის უმშვენიერესი შემოქმედება მკითხველს
სულის თვალის ახელაში ეხმარება. პოეტს თავისი
ლექსებით საინტერესო სამყაროში შევყავართ.
ლირიკულ გმირს შეუმჩნეველი არ რჩება, რა
ხდება მის ირგვლივ: ქუჩაში, კუთხეში, მეტროში,
ჩრდილებსა თუ მზეში. კეთილ გამკლელთა
ხურდების ჩხრიალიც ესმის, პოეტს გული სწყდება
– „ვარდებს კი არავინ, არავინ არიგებს“.

მკითხველი ვარდში აუცილებლად ამოიცობს
„შუქს სულისას“, ურომლისოდაც ადამიანთა
ურთიერთობა სიყვარულისა და მშვენიერების გარეშე
უსულებულო იქნებოდა:

„ნუ დაგაბრკოლებს ის ეკლები,
გარს რომ მომრავლდა,
ივლი და სადღაც შეერწყმები საგმევლის კმევას,
სპეტაკით მოსილ შროშანების ღვთიურ ნაოებას“.
(„შესვედრა“)

მიუხედავად პოეტის „უფერო ცხოვრებისა“, მისი
თითოეული სტრიქონიდან ღვთიური შუქი იღვრება,
რომელიც მკითხველთა შინაგან სამყაროში სანთლად
ენთება:

„გავურბი უფერო დღებს,
უფერო დამებს ვხვდები,
უფერო დამეთა მერე
უფერო ჩიტები ფრენენ.
უფერო მზე ათბობს არეს,
უფერო ხები დგანან,
უფერო სახლების მკვიდრნი
უფერო აჩრდილებს ჰგვანან,
სიზმარში ჩაძირულ მხარეს,
უფერო მდინარის პირას
უფერო სხივები სდევნ
უფერო დღე-დამის ტრიალს“.

ნაზი უშიკიშვილის ერთ-ერთ ლექსის რეფრენად
გალატიონის სტრიქონი გასდევს, რომელიც
მკითხველს მთავარი სათქმელის ამოცნობაში
ეხმარება:

„გარსკავლავები რომ შეამჩნიო, მიწას უნდა
აარიდო მზერა...“

მე დღეს განვიცდი კიდევ ერთ დღეს
სახებაწაშლილს,
– „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“...
მზის შესახვედრად გამომქონდა რტო ნაზამთრალი,
– „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“...
გადაიარა, შლევი იყო, თუ ვინმე მთვრალი,
– „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“...

არ ყოფილიყო, ნეტავ, პოეტი ცაში მცქერალი,
– „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“...
მე დღეს დავტირი კიდევ ერთ დღეს
სახებაწაშლილს...“

პოეტ ნაზი უშიკიშვილის უფერო ცხოვრებას მზე
სტუმრებია, რომელიც აბდლვრიალებს მის ლექსებს
და მკითხველსაც თვალს სჭრის უცნაური სხივი:
„მზე მოსდგომია ჩუმად აივანს,
ალვაც აქვა,
ნათელჩამდგარი ზმები ბავშვების:
„თუთით ავივსეთ კალათი, თუთით...“
მიყუჩებულა აკის მზრახავი და
ჩემი ფიქრი დაწენდილია...
მივიწყებული სიმშვიდე შლის ფრთას,
– სამოთხეში ვარ“.

ამ ლექსის წაკითხვისას მკითხველში გადმოდის
ის ღვთიური სიმშვიდე, რომლის მიღწევა სულის
წვრთნისა და კათარზისის გარეშე შეუძლებელია.
მივიწყებული სიმშვიდის გახსნების მცდელობაშია
ლირიკული გმირი და მკითხველშიც ამ გრძნობას
ამძაფრებს, გვიბიძგებს უფალთან სიახლოვისაკენ,
რათა ვიგრძნოთ ჩვენც ის განუცდელი, რომელსაც
სამოთხეში ყოფნა პქვია. „თავს მოვიტყუებ“ –
ამ ლექსის ლირიკული გმირი იესოს იგავის იმ
გონიერ ქალწულთაგანის ალუზის ქმნის, რომელიც
მთელი სიცოცხლე ანთებული კელაპტრით ელოდა
ღვთაებრივი სიძის გამოჩენას და საუფლოში
შესვლას.

„თავს მოვიტყუებ,
რაც იყოს, იყოს,
– გადავიწმინდავ მწუხარე იერს
და ჩემს ცხოვრებას,
არც ისე იოლს,
ოცნებით ვკვებავ,
ჩიტივით მშიერს,
მოსაბირავად უხმო იარებს
ვაკმარებ წამლად გზა-გზა ნაგროვებს
და გულში წლობით ნალოლიავებ
მოგონებების ჩამომჭკნარ ფოთლებს
მზე ამომიშრობს, კოკით ნაწვიმებს,
გამამნევებენ ფრთებით მერცხლები,
შევიკოწიწებ სულის ნაწილებს,

ახალ განსაცდელს მთელი შევხვდები“.
ქალბატონ ნაზი უშიკიშვილის შემოქმედება
ნიმუშია სრულყოფილებისაკენ მისწრაფებული
ადამიანის ცხოვრებისა. ნებისმიერი ლექსი უფლისკენ
სწრაფვაა:

„და ბოლოს მიგხვდი...
დაგომუხლე ზეცას კარებთან
– გული შენ გიხმობს,
შენ მოგმართავს,
შენდა მოიღტვის,
შენდა, უფალო“

ლალია ბაეინიძე

ორიოდე სიტყვა ქეთევან შენგელიას პოეზიაზე

განსხვავებით მრავალთაგან, პოეტი ნოდარ მამაცაშვილს ისე უყვარს წვიმა, რომ გაოცებულია და გული სწყდება კიდეც: „სადღაც კვლავ მზიან დარებს რომ ნატრობენ“. წვიმა, ცრემლი, ეს ხომ სინაულით გამოწვეული განსაწმენდელია ადამიანის სულისა:

„წვიმს ისე ტკბილად და ისე ამოდ, /როგორიც წვიმამ იცის მარტოლენ /და გული მწყდება, რომ ამ სადამოს /სადღაც კვლავ მზიან დარებს ნატრობენ“ / („წვიმა“)

იგი ტერენტი გრანელის განცდათა თანაზიარია, მის პოეზიაშიც, ისევე როგორც მეგობარ პოეტთა ლექსებში, გაისულერებს ტერენტი გრანელის „მგლოვიარე ჰანგები“:

/...,ფიქრით აუტანელით, / ისევ გავითანგები, / ვით ტერენტი გრანელის / მგლოვიარე ჰანგები“ /

მის ერთ-ერთ უსათაურო ლექსეში იკვეთება პოეტის სულიერი პორტრეტისათვის ერთი შტრიხი, რომელიც მეგობარ პოეტთა ლექსებსაც გასდევს ტკიფილიან ხაზად:

„ნისლით განაწვალები/ გული ელტვის ნათელ მზეს, / კრთის პოეტის თვალები /ცის გამჭვარტლულ ნატეხზე“.

ნოდარ მამაცაშვილის შემოქმედებაში ცოცხალი ასებები ფილოსოფიური ჭრების საგნად ქცეულა. ლექსები: „ცხოვრება აბრეშუმის ჭიისა“, თუ „ლოკოკინები“ ამის ნათელი დადასტურებაა. პოეტს ადამიანის სწულებისაკენ სწრაფვის ნიმუშად აბრეშუმის ჭიის ცხოვრება მიაჩნია:

„აბრეშუმის ჭია – ჯანმრთელი...“

„აბრეშუმის ჭია – მაშვრალი...“

„აბრეშუმის ჭია – ფილოსოფოსი...“

და ბოლოს:

„აბრეშუმის ჭია – პოეტი...“

აბრეშუმის ჭია საკუთარ მოქსოვილ ჭურჭელში ფილოსოფიური ჭრებითა და განსჯით მეორედ იბადება, როგორც პოეტი:

„იძინებს მშვიდად, უდრტვინველად, ვალმოხდილი, რადგან იცის, რომ მისი სხეულის ყავისფერი არარსებობიდან აღმოცენდება ფრენის სურვილი, რომელსაც ექნება პეტლის მსუბუქი ფრთხი და მტკიცე უინი ვიწრო საჭიდან გაღწევისა, აბრეშუმის ჭია – პოეტი“.

(„ცხოვრება აბრეშუმის ჭიისა“)

* * *

ხუთივე შემოქმედის პოეზიას აერთიანებს: უფლის რწმენა, სიმართლე, სინათლე, სიწმინდე, სიყვარული, სათნოება, მადლიერება, თავმდაბლობა, მამულიშვილური ტკივილის განცდა, უკეთესი მომავლის მედი. მადლობა უფალს, რომ იღვწით ჩვენი სულის ასამაღლებლად. როგორც სხეული ვერ იცოცხლებს სულის გარეშე, ისევე წარმოუდგენელია ჩვენი მთლიანობა თქვენ გარეშე.

ქეთევან შენგელია არაერთი პოეტური კრებულის ავტორია. მან შეძლო და თავისი ადგილი დაიკავა ჩვენს თანამედროვე პოეზიაში. თემატური სიმდიდრე, სამშობლოს სიყვარული, ფილოსოფიური ასპექტები მის ლექსებს განუმორებელ უდერადობას და მომხმაბვლელობას ანიჭებს.

„ქეთევან შენგელიას მბაფრი და ნატიფი ლირიზმით აღბეჭდილი ლექსები წარმოადგენს ერთ-ერთ საყურადღებო მოვლენას ჩვენს მწერლობაში. პოეტი ისე ლალად, ისე თავისუფლად წერს, თითქოს ყვავილებს წყალს უსხამს და ამით ქმნის კიდეც გაუბზარავი სიმშვიდის იღუზიას, რომლის ჰაეროვანი სხეულიც ყოველდღიურობის ბასრ ეკლებზე იკაწრება“, – წერს თამაზ ჭილაძე მისი ერთ-ერთი პოეტური კრებულის წინასტყვაობაში და დასძენს: „გულისხმიერი მკითხველი ამ ლექსებში საინტერესო სამყაროს აღმოაჩენს, ერთი შეხედვით, მშვიდსა და ჩვეულებრივს და თანდათანობით არა მარტო შეჩჩევა, არამედ ჩაწერება კიდეც ამ სიმშვიდისა და ჩვეულებრივობის აზრსა და მნიშვნელობას.



თითქმის ყველასათვის მიუღწეველი სიმარტოვიდან მარტოსული არსება აღსარების მსგავსი გულწრფელობით გვიყვება, უფრო სწორად გვანდობს თავის სიზმარსა თუ ოცებას და რამდენად სასიამოენოა, რომ ამ აქტით ჩვენი ხალხის მარადიულ ოცებათა ესტაფეტაშია ჩაფლული“.

დაგვერწმუნებით, ზემოთქმული სავსებით მიესადაგება ქეთევან შენგელიას პოეზიის არსს და ამომწურავად გვიხასიათებს მას, რასაც ჩვენ მივესალმებით და სავსებით ვეთანხმებით.

პირველი და მთავარი, რაც ქ. შენგელიას პოეზიაში იჩენს თავს, არის მისი სამშობლოზე დაწერილი ლექსები, რომლებშიც ნახსენებია არაერთი უძვირფასესი პირვნება, თუ უძვირფასესი ისტორიულ-კულტურული ძეგლი (ფოკა, ხიხანი, სხალთა, ჯვარი, უბისა...):

„ფარავის ტბასთან, ფოკაში,
საღლოცავია ერთი,
მოდი, ახლავე წავიდეთ,
„მოვნასულოთ“ ღმერთი...
მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა“.

ანდა, ვნახოთ ქართული კოლორიტით გაჯერებული პატარა ლექსი „პურის სურნელი“, რომელიც სულ რამდენიმე სტრიქონს შეიცავს, მაგრამ მეტად ღრმააზროვანი და საინტერესოა:

„პურის სურნელი,
საუსე თავთავი,
ყანა და კალო, წისქვილი,
ვარცლი...
ქართველზე უთქვამს უფალთან იღბალს –
სიკვდილის წინო – სიმღერას ვაცლი.
ამდენი ფიქრი და გამარჯვება,
ამდენი მტრობა,
ბრძოლა და მარცხი...
მაინც ამ ცვრიან მიწას ქარგავენ:
თიღვა, ქორეთი,
კორტი და
ქაუხი“.

ამას ემატება ლექსები: „ქეთევან დედოფალს“, „მოგვშორდი მტერო“, სადაც თავისუფლებისმოყვარე ქართველი გვესაუბრება.

ქეთევან დედოფლის გვერდით ქ. შენგელია იმ სხვა დიდ ქართველებსაც იხსენიებს, რომელთა საფლავებზე, ძვლებზე დგას ჩვენი დღევანდელი საქართველო და რომელიც მისაბამი მაგალითები არიან ჩვენთვის:

„წევს მთაწმინდაზე დიდი იღლა,
საქართველოსთან ცამდე მართალი.“

ქეთევან შენგელიას არა მხოლოდ ჩვენი სახელოვანი წინაპრები და დიდებული წარსული შთაგონებს ლექსებს, არამედ ჩვენი თანამედროვე ყოველდღიურობის ამსახველი სურათებიც, რომელიც შთამბეჭდავად არის ასახული თუნდაც ლექსში „პატარა მათხოვარს“:

„პატარა ხელი, ყინვით დამსკდარი,
ქუჩის კუთხესთან ფულს სთხოვს ვიღაცას,
ვინ გაიმეტა შველი დამფრთხალი,
გული უსკდება ცოდვით მიწასაც“.

როგორი სითბო, სიყვარული, თანაგრძნობა გამოსჭვივის ამ ლექსში. სამწუხაროდ, აქ დახატული სურათი ტიპურია და ჯერ კიდევ მათხოვრებითაა სავსე ჩვენი თბილისი (აქ დავძენ, რომ ერთმა მათხოვარმა გოგონამ თქვა, მათხოვარს ნუ მიწოდებთ, ჩემზე უნდა ითქვას: „ადამიანი, რომელიც მოწყვალებას ითხოვსო“). და აი, ბავშვები, რომელნიც მოწყვალებას ითხოვენ, მოჰყვინიან ქუჩებს, მაგრამ მათი შემწყალებელი და განმკითხველი

არავინაა, გულმოწყალე გამვლელთა გარდა, რომელთა ასე თუ ისე, აქვთ ჯიბის ფული. სამწუხაროდ, ჩვენმა დუხშირმა ყოფამ განაპირობა მათხოვართა სიმრავლე და ამ თემას შემოქმედთაგან სათანადო ყურადღება ეკუთვნის, რომელიც ქ. შენგელიამაც გამოიჩინა.

ზემოთ იღლია ვახსენეთ, ახლა რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება:

„ფიქრი აქეთ-იქით აწყდება,
დილგის მდუქარე კედლებს,
სადაც შენ ცხოვრების დაწყებას,
აპირებ სიკვდილის შემდეგ.
გლოვის ზარს მაინც არ ჩამოვკრავ,
რამეთუ „ჩვენთან არს ღმერთი,
მე მჯერა, ქართველი ლაზარე,
სიტყვაში აღსდგები მკვდრეთით“.

დაგვეთან მხებით, ერთობ ორიგინალურადაა დახატული აქ რუსთაველი, მისი სახე ბიბლიური სიღრმითაა განმვენებული და საქართველოს გაბრწყინებას უკავშირდება. ქ. შენგელია არა მხოლოდ ლექსს უძღვნის რუსთაველს, არამედ მის ციტატასც იხსენიებს თავის ლირიკულ ლექსში „ეს ნაკადული“:

„წატუნები უაზროდ, ამ ჩემი კაბის ქობასა,
„ოუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ,
შმაგი ხარ, მოდი ცნობასა“.

ამ ლექსში ნაკადული ქალთან არის შედარებული (რაც ერთობ ორიგინალური შედარებაა) და მის სიახლოეს გათამაშებული სცენა რუსთაველისული სტრიქონით არის აღწერილი, რაც ლექსს სიღრმეს, ფერადოვნებას ს ძებნს.

მეტად საინტერესო ლექსია „ნადირობის ქალმერთი დალი“, რომელსაც მითოსურ სიღრმებში შევავრთ და რომელიც დალის და მონადირის ტრაგიკულ ტრფიალზე მოგვითხრობს. პოეტი ლექსის ლირიკულ გმირშია პერსონიფიცირებული, ოღნდ, ჩვენი აზრით, ეს გმირი მამრობითი სქესია: „მთვარებ სხივი დამაბჯინა,
მხარზე მქონდა ხალი,
მეც მასწავლე ნადირობა,
გეხვეწები, დალი!“

დალის საჩუქრები მონადირისადმი მიცემული ფარხა და მძივი – მითებშიც იხსენიება და ჩვენს მოსაზრებას განამტკიცებს. არა მხოლოდ ქართულ მითს მიმართავს ქ. შენგელია, არამედ – ანტიკურსაც, მისი ლექსის „ვენერას ნათლული“ მოწმობს ამას:

„არც ჰერმესი და აგამეზნონი,
თუმც, ვენერაა შენი ნათლია...
სხეულში გიზის შლევი დემონი,
გაეცი „სიბრძნე“, რადგან მადლია;“
ასევე ანტიკურობა სჭვივის ლექსში „ცეცხლის ენები“:

„ოუ გინდა, გულში იმედი გედგას,
ნუ გაიმარჯვებ „ტროას ცხენივით“,
ვინ რას უწოდებს ძლიერს და მედგარს,
ვისოფის ვინ არის პირშერცხვნილი?!“

ნიშანდობლივია, რომ ანტიკური სამყარო ქ. შენგელიასთან პირიმზესთან, ქართველ ღვთაებასთან არის შეჯვარებული, რაც ჩვენი ფესვების სიღრმეზე მეტყველებს.

საქართველოსთვის თავს დამტყდარი ტრაგედია – აფხაზეთის და სამაჩაბლოს თემებიც არ გამორჩენია ქ. შენგელიას მახვილ თვალს:

„შერჩენილა საქანელა წეზე,
მუხას ფერი დასდებია მიწის,
იწვის სახლი, მამა-პაპის ეზო,
აფხაზეთში საქართველო იწვის...
ჭიშკრის ახლოს წამივიდა გული,
პაწაწინა ფეხსაცმელი ეგლი,
დაიფარე საქართველოს სული,
შენი ჯვარი დაიფარე, ღმერთი!“

ანდა იხილე ლექსი სამაჩაბლო, როცა ასევე შემზარავი სურათია დახატული:

„შენ მოირწევი მშვიდად ამ მზიან
გზაზე და გშეველის ერთი ურემიც,
მე არ მასვენებს ეს ტრაგედია,
გაცეცხლებული ბედაურების.
ვიდაცას ისევ ამაოდ ვენდეთ,
ჩქარა! – გვეძახის ვერზი და მუხა
და მიტოვებულ ნასახლარებზე,
შეშლილი მოხბა ამაოდ სწუხან“. ასევე უნდა მოვიხსენიოთ ტკივილიანი ლექსიც „⁹ აპრილი (1989)“.

საყურადღებოა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი და ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი ლექსებიც, რომელიც ქართული სამყაროდან, ჩვენი ლიტერატურული საგანგურიდან მოდის.

ქ. შენგელიას ფრაზა ლალია და თავისუფალი, დამუხტული ღრმა გრძნობებით და განცდებით; იგი, ძირითადად, ქართული ტრადიციული პოეზიის მიმდევარია. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა პატარა ლექსმა, რომელიც ფოლკლორულ მოტივზეა აგებული და ერთობ კოლორიტულია:

„აფრინდა ჩიტი, აფრინდა,
ბუდესთან შეიფრთხიალა,
დაედევნება არწივი,
მარტო მიმინო კი არა.
მდელოზე ლეკურს ცემპავდა
პატარა გოგო ცქრიალა,
ვერც გიზგიზა მზე შეაკრთობს,
ვერც ქარბორბალა ბზრიალა.
ერთი რაინდი მოსულა,
შეშლილა თავ-ფეხანად,
ზეცისკენ გაუტაცია,
მთვარიანად და მზიანად“.

ქეთევან შენგელიას ლექსების ლირიკული გმირი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ღრმა მორწმუნე და არაერთი რელიგიური გრძნობით სავსე სტრიქონი ეთმობა მას. ასეთი ლექსების ჩამოთვლა შორის წაგვიყვანს, მაგრამ რამდენიმე მათგანს გავიხსენებთ: „იოსებ ალავედელი“ („მოდის ალავერდელი, გულზე ჯვარი უბრწყინავს, იოანე ზედაზნელს იქით წარუგზავნია“), უსათაურო – „არ მძინავს“ (აპა უფალო, ახლა შენი ვარ, სულით და ხორცით მართლა ვმარჩულობ“).

საქართველო და ქრისტიანობა განუყოფელია ქ. შენგელიასთვის, რასაც კარგად ადასტურებს სტრიქონები მისი უსათაურო პატარა ლექსისა:

„წმინდა გიორგის სალოცავს ვხედავ,
ფიქრმა შემიპყრო, კლდეა ფრიალო,
შევარდნის ფრთას მოვაბა უნდა,
თამარის ღროშა ავაფრიალო.

ქარვისფერ მტევანს სიმღერა ვუთხრა –
შაირებად და ხანაც იამბოლ,
მოდი, დაჯექი, რაღაც მაწუხებს,
რასაც განვიცდი, ჩუმად გიამბობ...“

და ისევ პატარა უსათაურო ლექსი:
„მოდის ყვირილა და ტაძრის ახლოს,
„ლოცვანს“ კითხულობს ზოგჯერ ყმაწვილი...
სანთელი, ბიჭი, მდინარე, ბორცვი –
ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი“.

ამავე ციკლს ეკუთვნის ლექსები: „წმინდა გაბრიელის საფლავი მცხეთაში“, „ათონის კრებული“, „თამარ მეფეს“ და სხვა.

ქ. შენგელია თავის ლექსს – „ორი რამ მინდა“ ასე ამთავრებს:

„ორი რამ მინდა: საქართველო რომ გამობრწყიდეს, და სიკვდილამდე ჩემს ნებაზე ვიხეტაში“.
და ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს. საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსებზე უპვე ვისაუბრეთ და მივადექით ლექსების სხვა ციკლსაც, რომელიც მოგზაურობისმოყვარე პოეტის შთაბეჭდილებებს გადმოგცემენ. ასეთი ლექსებია: „სანტა კროჩეს“ ტაძარში (მიქელაჯელოს საფლავთან), „მაისი ვენციაში“, „ვერსალი“, „ბარსელონაში“, „პაფეას საფლავთან“ და სხვა. ამ ლექსებში მოჩანს ადამიანის ბედზე ჩაფიქრებული შემოქმედი.

„ნაფიქრია კველაფერი,
შექმნილა მერე,
ზევით – უშბის მწვერვალები,
ქვევით – სოფლის ღელე,
ნაფიქრია ბევრნაირად...
გაფერმძრთალდა ფიცი,
არაფერი არ ამიხსნა,
ყველაფერი ვიცი.“

ასეთი ფილოსოფიური ლექსით გვინდა დავასრულოთ ქეთევან შენგელიას პოეზიაზე მსჯელობა, და ბოლოს, დავუმატებთ, რომ ქ. შენგელიას პოეზიაში შეინიშნება ცალკეული ციკლები, როგორიც არის სამშობლოზე ღაწერილი ლექსები, მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ღრმა რელიგიური გრძნობით დაწერილი ლექსები, ფილოსოფიური ლირიკა, ისტორიულ პირთა შესახებ დაწერილი ლექსები და მითოსური სიღრმის მქონე ლექსები, ამავე ღროს – პეზაური ლირიკა. თემატური სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მეტაფორული აზროვნება და მუსიკალურობა ქ. შენგელიას ლექსებს განუმეორებელ ხიბლს და უღერადობას ანიჭებს. იგი სწორ გზაზე დგას და ამ გზაზე წარმატებით მიიწევს წინ. ჩვენ კი საუკეთესო სურვილების გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. ქ. შენგელიას ჰყავს თავისი მკითხველი, რომელსაც იგი ყოველთვის ახარებს.

თამაჩ მიქაელი



მცირე მოგონება

გიორგი ციციშვილი

როგორც წესი, ყველაზე მეტად იმ ადამიანის შესახებაა მნელი საუბარი, ვისთანაც ბევრი მოგონება გაკავშირებს. მთ უფრო, მცირე ფორმატის დროს, რომელი ერთი გაიხსენო, ფიქრობ.

ბატონი გიორგის უმცროსი ქალიშვილი მაია და მე ერთად ვსწავლობდით ფილოლოგის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში მისვლის პირველი დღიდან ერთ მერხთან დავსხედით და მას მერე უახლოესი მეგობრები ვართ დღემდე, ტერიტორიული სიშორის მიუხედავად. მაია შვილებთან და მეუღლესთან – ექიმ ზურა ნადარეუშვილთან ერთად, დიდი ზანა ვაშნიგტონში ცხოვროს, არადა, იმ დროს, ერთი დღეც არ შეგვეძლო უერთმანეთოდ ყოფნა. ეს იყო ახალგაზრდობის ცხოველმყოფები წლები; პერიოდი, როცა ციციშვილები ჩემთვის მეორე ოჯახი იყო. ჩვენს მეგობრობაზე, ხუმრობებზე, გართობაზე იმდენი შთაბეჭდილება მოდის, მეშინია, თემას არ გადაუხეხვიო, ამიტომ აჯობებს ეს საქმე სამომაკლოდ გადავდო.

იმ ხანად, აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი ერთდროულად ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტსა და მწერალთა კავშირს. მოგეხსენებათ, მაშინ ინსტიტუტიც ინსტიტუტობდა, და კავშირიც კავშირობდა. გიორგი ციციშვილი ღირსეული გამგრძელებელი იყო წინა თაობის ხელმძღვანელებისა. დაწესებულებებში იშვიათად უყვართ დირექტორი. ის კი უყვარდათ, რადგან ახალგაზრდების ხელისშემწყობი, საჭიროების შემთხვევაში კი, თანამშრომლის გვერდში ამომდგომი იყო. ამასთან, არც სიმკაცრე აკლდა, გარკვეულ დისტანციასაც ინარჩუნებდა.

ასეთი მახსოვეს: მუდამ საქმიანი, ენერგიული, მკვირცხლი, დაუღალავი... ერთი რამ, თითქოს ჩვევაში ჰქონდა გადასული. სახლიდან გასვლის შემდეგ რამდენჯერმე უნდა შებრუნებულიყო, ხან რა რჩებოდა, ხან – რა... დღვენანდელი გადმოსახედიდან კარგად მესმის, რას ნიშნავს, როცა ბევრი საქმით ხარ დაკავებული და წვრილმანებზე ფიქრისთვის დრო არ გრჩება.

საინტერესო ყოველდღიურობით ცხოვრობდნენ ციციშვილები. მათ სახლში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, კულტურის სხვადასხვა სფეროს

წარმომადგენლები. ასევე, რუსეთიდან და მაშინდელი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. ის თაობა ვიყავით, შმობლებთან ბევრი რამ რომ გვქონდა საერთო. მათ შორის – გემოვნება. ერთი სიამოვნება იყო ჩვენთვის უფროსების გვერდით ყოფნა, ბევრი საინტერესო ამბის მოსმენა.

ასე იყო კეპელიძეზე... შემდეგ აბაშიძეზე, მათ საკუთარ სახლში, სადაც მისაღები ოთახის კედლები წინაპრების ლამაზი ფოტოებით იყო დამშვენებული, გრძელი მაგიდა კი – ხშირად იშლებოდა მომსვლელთათვის.

ჩვეულებრივ, ოჯახის ყველაზე ხშირი სტუმარი იყო ბატონი გიორგის უსაყარლესი ძმა, თავადაც საინტერესო პიროვნება – დავით ციციშვილი თავისი ლამაზი ოჯახით. ძმების ურთიერთობა ხომ სამაგალითო იყო! მათ დანახვაზე ბატონ გიორგის თვალები უბრწყინავდა სიხარულისგან.

ასევე, ქალბატონ ნათელას ძმა – მხატვარი საურმავ დამბაშიძე ოჯახით. და დები – რუსთაველის თეატრის მსახიობი – ლეიილა და ენათმეცნიერი – როგორდა დამბაშიძები.

ბატონი გიორგის სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა ყველასთვის კარგად იყო ცნობილი.

ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. 1983 წელია, მე, სულხანი და მისი მეგობრები რუსეთში, სასტუმრო „რასიას“ რესტორანში ვართ. ამ დროს, ბატონი გიორგი შემოვიდა, ქალბატონ ნათელასთან და ქალბატონ როგორდასთან ერთად. როგორც ყოველთვის, თბილად შეგხვდით ერთმანეთს. სულხანის მეგობრებს კი ვუთხარი, ჩემი დირექტორია-მეთქი. მაშინ, მართლაც ახალი თანამშრომელი ვიყავი ლიტერატურის ინსტიტუტისა. ცოტა ხანში ჩვენს სუფრას ტებილეულობა და შამპანიური შეემატა, მაგრამ რაც მთავარია, ბატონი გიორგი მოვიდა ჩვენთან და ძალიან გემრიელად დაგვლოცა.

– ია, მესმის დირექტორი, როგორი თბილი და გულიანია. აღფრთოვანება გამოხატეს სულხანის მეგობრებმა. აღარ მითქამს, რომ ჩვენ დიდი ხნის, ჯერ კიდევ უფროს თაობას შორის დაწყებული ურთიერთობა გვაკავშირებდა, რადგან დაწყებული ვიყავი, ასევე მოიქცეოდა სხვა შემთხვევაშიც, იმდენად ყურადღებიანი იყო, თანამშრომლებისა თუ ზოგადად, ნაცნობების მიმართ.

ერთი დღეც გამახსენდა. მესამე კურსზე მე და მაია სიძლერის გუნდში ჩაგვწერეს. სასაცილო ის იყო, რომ ამ გუნდში ვერ მოხვდენ ჩვენი კურსის მართლა მომღერალი გოგონები, სამაგიეროდ, ყოველგვარი სურვილისა და მონაცემის საწინააღმდეგო, მოვხვდით ჩვენ: მაია ციციშვილი, გვნეცა ჩსწერები, თამარ მიქაელ. არჩევანის საშუალება არ დაგვიტოვეს და რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ მოგვიწია გამოსვლა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, კონცერტზე, რომელსაც ბატონი გიორგი, მამაჩემი და სხვა ახლობლები ესწრებოდნენ. ჩვენი რეპერტუარიდან მახსოვს სიმღერა: „ერეხელი ვარ,

მერეხელი“. სახელდახელოდ შეკრებილმა გუნდის წევრებმა, რაც მოვახერხეთ, ეს იყო... ზოგმა ტემპს აუქსარა, ზოგმაც შეწყვიტა სიმღერა. არც მანამდე, არც მერე, სცენიდან მსგავსი რამ არ მომისმენია და არც ასეთი „სირცხვილი“ მიჭამია. ამ საცოდაობის შემხედვები მამაჩვენები ჯერ შეცტუნებულან, მერე, გასცინებიათ – კაცმა რომ თქვას, რა თქვენი ბრალიაო. ამის მერე ციციშვილებთან წავედი და ქალბატონი ნათელაც გავახალისეთ. რა მშვინიერი ქალბატონი იყო! გარეგნობითაც, სულიერადაც, წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას – კარდეოლოგიას.

დღესდღეობით, სახლში სტუმართმოყვარეობას უფროსი ქალიშვილი თამარი აგრძელებს,

რომელთანაც ასევე, დიდი ხნის თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მაღლობა მოვახსენო მას 2009 წელს გამოცემული ალბომის – „დიმიტრი ყიფიანის“ გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის, ამ საქმეში თანადგომისთვის.

დაბოლოს, ერთ-ერთი მთავარი თვისება არ მინდა გამომრჩეს, გიორგი ციციშვილი გვარის, ჯიშის, ოჯახის სიძლიერის დიდად პატივცემელი იყო. ახალგაზრდების დაოჯახების ამბავს თუ გაიგებდა, გულიანად მიულოცავდა და გულშემატკივრობდა.

იგივე მინდა გუსურვო მის ოჯახს...

ღმერთმა კარგად ამყოფოს, გამრავლოს ჩემი საყვარელი ციციშვილები.

ესმა ონიანის საღამო მწერალთა სახლში

19 ნოემბერს, ხალხით გადაჭედილ მწერალთა სახლში გაიმართა დიდებული ქალბატონის, მოაზროვნის, ფილოსოფოსის, არაჩვეულებრივი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაბის პრემიების ლაურეატი, პროფესორი ივანე ჯაფარიძე

საღამოზე წარმოდგენილი იყო ესმა ონიანის ორი ახალი წიგნი, რომელთაგან ერთი გერმანიაში გამოსცა ქართველოლოგმა შტეფი იუნგერმა, რაც ესმას ნიჭიერებისა და შემოქმედების მასშტაბურობის კიდევ ერთი დასტურია, მეორე კი გამომცემლობა „არტანუჯმა“ დასტამბა.

კომუნისტურ წყობის ხმაურიანი გარემოდან გარიდებულმა, საკუთარ სახლში შექმნა საოცარი სამყარო, სადაც განათლებული, წიგნიერი, ჭეშმარიტ შემოქმედებით წვეში მყოფი მეგობრები სულის მოსათქმელად, სულის საოხად იკრიბებოდნენ და მსჯელობებსა თუ კამათში იბადებოდა ახალი მიმართულებები, ახალი ტენდენციები, ახალი სახეები მათ შემოქმედებაში.


ეს მეგობრები იყენენ გურამ რჩეულიშვილი, დათო ჯავახიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ანდრე ვოლკონსკი, ოთარ იოსელიანი, სხვანი და სხვანი.

საღამოზე აჩვენეს ვიდეოჩანაწერი, სადაც ესმა ონიანი კითხულობს საკუთარ ლექსს და ოთარ იოსელიანის მოგონება, რომელშიც იგი შეფასებას აძლევს ესმა ონიანის ფენომენს და მას უდიდესი მხატვრად და პოეტად მიიჩნევს.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: წიგნის რედაქტორი ზგიად კვარაცხელია, პოეტები: მაკა ჯოხაძე, ნინო სადღობელაშვილი, ლია მეტრეველი, პოეტი და მთარგმნელი გივი შაპაშარი, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე – მანანა გაბაშვილი, ფილოლოგიის დოქტორები: სოფიო ჯაფარიძე და მარინე ტურავა, პროფესორები: ნოდარ ნათაძე, რევაზ ბალანჩიგაძე, მხატვრები: თემო გოცაძე, ილია პატაშური, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელიბის უნივერსიტეტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არქიმანდრიტი მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე), რომლის ინიციატივითაც თამარ მეფის უნივერსიტეტში გაიხსნა ესმა ონიანის სახელობის სახელოვნებო კაბინეტი.

საინტერესოდ გამოვიდნენ ესმა ონიანის მეგობრები: ლამა ქურდიანი და ქეთი ანჯაფარიძე, ესმა ონიანის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ნინო კასრაძემ და ელდინო საღარაძემ.

ბოლოს ესმას დამ – ირინე ონიანმა, რომელიც მუხლაუხელად, თავდადებით იღვწის საამაყო დის უნიკალური მემკვიდრეობის მოსაწესრიგებლად და ამ, მართლაც, ეროვნული საგანძუროის მსოფლიოსათვის გასაცნობად, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისა და ესმას გახსენებისათვის.



ქურელი უნის წიგნიდან ჯომბები ჯიშჩახისინი



ფაქსი ვილენ მარდალეიშვილს

შმაო, ვილენ, გამარჯობა!

მიიღე გულწრფელი მოკითხვა და ათასი კეთილი სურვილი შორეული ამერიკიდან.

— უცხოობაში რაა სიამეო, წუხდა ჩვენი დიდი პოეტი, თურმე ბოლომდე გაცნობიერებული არც მქონია... ნუთუ, ამდენი წელი უნდა მეწვალა და მეჯახირა, რომ ეს ჭეშმარიტება შემეცნო?

ბედის უკუდმართობით არგენტინაში გადმოხვეწილი თვალისაჩინო მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლეო ჭეშმარილი წერდა: — მშობელ მიწაზე დგომა და შრომა კურთხეულია, ხოლო გადახვეწილობა — მხოლოდ წყევლა და კრულვაა.

აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოფილა!

— თუკი ასეა, რაღას ელოდები, ადექი და წამოდიო, — მეტყვი აღბათ, და მართალიც იქნები; მაგრამ, მეც მაქვს ჩემი სიმართლე.

იმად ვერ ჩამოვდივარ, ჩემი ვილენ, რომ რითაც აქ ჩამოვედი, იმას ვერაფერი შევმატე; ხელცარი-ელი დაბრუნება კი მერიდება; სამშობლოში კი შრომის, არსებობის საშუალება მომისპეს; კუდის რიკამდე გამფუქვნეს, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, სული რომ არ ამომხდომოდა შიმშილისგან... ისეთ მდგომარეობაში აღმოგჩნდი სრულიად უსახსროდ და პერსპექტივის გარეშე, რომ თვითმევლელობის ზღვარზე ვიყავი...

მიჭირს ამის გახსენება, ოდესმე მოგიყვები... ჯერ არავისთვის მითქვამს, მაგრამ შენთან არ მერიდება ამის გამხელა, — აქ ნასესხები უულით ჩამოვედი, ბილეთიც სხვამ ამიღო (ღმერთმა დალოცოს აკა-დემიკოს რეზო სეფიაშვილის ოჯახი)! რა თქმა უნდა,

მეორე წელს ვალი გავისტუმრე, მაგრამ მაშინ ეს ისეთი ხელის შეწყობა იყო, ნაჩუქრად ვთვლი. ასევე ძალიან მაღლობელი ვარ ჩვენი დირექტორის, ზურაბ ტატაშვილისა; შენ მას კარგად იცნობ.

თავიდან დაგეგმილი მქონდა, რომ ერთ-ორ წელი-წადში უნდა დაბრუნებულიყავი უკან, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ გამიგრძელდა „ვიზიტი“...

ის მასულდგმულებს, რომ სამშობლოსთან თითქმის ყოველდღიური კავშირი მაქვს. მართალია, ხშირად ისეთი გულისმომკვლელი ამბები მესმის, ლამის გული გამისკდეს, მაგრამ ვუძლებ. ვალდებული ვარ, გავუძლო! თანაც, ჩემი მფარველი ანგელოზის, თათია ელერდაშვილის სიტყვები მამხნევებს, ამერიკაში წამოსკლის წინა დღეს რომ მითხრა, — ნურაფურის შეგაშინდება, შენი თავი ჩემს მეგობრებს ჩავაბარე, და ყველაფერი კარგად იქნებაო.

ბევრისთვის ეს დაუჯერებელია, მისტიკაა, მაგრამ ჩემთვის რეალობაა; მე მჯერა! ამიტომაც თათიას სურათი საწერ მაგიდასთან მიკიდია, ბატონი ლევან გოთუას, ზვიადისა და მერაბის პორტრეტების გვერდით... მჯერა, უფალი დამიფარავს და უცხოობაში არ დამიღამებს...

გარდა ამისა, ისიც მშველის, რომ ცოტ-ცოტას ვვახირობ, რაღაცებს ვწერ და ზოგჯერ ვბეჭდავ კიდეც (თქვენი წყალობით)! საოცარია, ამ ორმოცი წლის მანძილზე რვასზე მეტი წერილი დაგეჭდე, მაგრამ მაინც ვერ „გამოვსწორდი“, ბავშვივით მიხარია დაბეჭდილი მასალის ხილვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლამაზადაა დასტამბული შენი წყალობით მომზადებული „ტერენტი გრანელი“, ან „დისკავერი“ და ა. შ.).

ჩემო ვილენ! გიგზავნი შეპირებულ წერილს, თან ჩემს სულს ვატან... აბა, შენ იცი, უპატრონე შენებურად, რომ კორექტურა არ გაიპაროს. თუ შესაძლებელი იყოს, სთხოვე, რომ სურათი ძალიან არ შეამცირონ, არ დაიკარგოს.

თუკი წერილს ნიკალას ორ ნამუშევარსაც დაურთავთ — ამას რა აჯობებს!

ასე, ჩემი ვილენ, შენი იმედი მაქვს. ძალიან გამიგრძელდა ლაქლაქი. აღბათ, თავი შეგაწყინე აბ-დაუბდით, მაგრამ ცოტაც გაუძლები, უკვე ვამთავრებ.

ჩემო ვილენ, ერთი თხოვნა! მარტ-აპრილში შესაძლოა, „გავვაქტიურდე, ამიტომ წერილების დაბეჭდვის შემთხვევაში, ნუ დაიზარებ, ჩემს მეუღლეს წინასწარ შეატყობინე, რომ თადარიგი დაიჭიროს და გაზეთები შეიძინოს.

დიდი მოკითხვა და კეთილი სურვილები შენს ოჯახს. იყავი კარგად, მაღალ შეხვედრამდე, ვაჟაცაურად გართმევ მარჯვენას.

მმური სალმით — ჯუმბერ ჯიშკარიანი.

14 თებერვალი, 07
ფლორიდა, აშშ

დასამახსოვრებელი შეხვედრა ტიბაანის საჯარო სკოლაში



სიღნაღის რაიონის ხეთა ბიძინაშვილის სახელობის ტიბაანის საჯარო სკოლამ თავის კურს-დამთავრებულს, პოეტსა და უურნალისტს, ლიტერატურულ უურნალ „ანეულის“ მთავარ რედაქტორს თამარ შაიშმელაშვილს უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე მეგობარი მწერლები, სიღნაღის საპატიო მოქალაქე, ცნობილი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი ჯუბა ღებელი, დამსახურებული უურნალისტი, თსუ პროფესორი, რადიოგადაცემა „საგანძურის“ ავტორი და წამყვანი ივანე ჯაფარიძე.

მოსწავლებმა წარმოადგინეს თამარ შაიშმელაშვილის ლექსების მიხედვით დადგმული კომპოზიცია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ტიბაანის საჯარო სკოლის მოსწავლეები: ელენე ნაცვლიშვილი, კესო გურაშვილი, ნინო მამაიაშვილი, დიანა გურაშვილი, მარიამ აბულაშვილი, მარიამ ათანაშვილი, სალომე შაიშმელაშვილი, თინათინ გურაშვილი, ნათია გურაშვილი, ნინო ნაბულიშვილი, დათო გურაშვილი, ლილე ლათიბაშვილი, გიორგი მაისურაძე, გიორგი ელაშვილი, იზა პაპალაშვილი, ზურაბ ნატროშვილი, ჯუმბერ კუპრაშვილი, ელენა სომხიშვილი, დავით ყატაშვილი, გიგა და გოგა გურაშვილები.

ამის გარდა, საცეკვაო ნომრებში მონაწილეობდნენ: ჯუგანის სკოლის მოსწავლე შოთაკო ალადაშვილი და წნორის 1-ლი საჯარო სკოლის მოსწავლე ალექს გოზალიშვილი.

„ეს იყო ორმხრივად სასარგებლო დღე, დიდი წნის შემდეგ ვნახე ჩემი მონატრებული სკოლა, მოსწავლეები, ჩემი მასწავლებლები... და ისევ უწინდელივით დამხვდა ძლიერი მუხტი – სიყვარულისა... ისეთი, მომავალში რომ ასმაგად გაძლიერებს შემოქმედებით გზაზე. ყველა მოსწავლეს ვუხდი მადლობას, რადგან ეს საღამო სხვა ყველა შეხვედრებს შორის ძვირფასი და დაუვიწყორი იყო...“

ჩვენ სკოლას უურნალ „ანეულის“ სხვადასხვა ნომერი, კრებულ „ერთი მოთხრობის“ (რევაზ ინაი-იშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურ-



სის გამარჯვებულთა მოთხრობები) ეკზემპლარები ჩავუტანეთ, ასევე – ასზე მეტი მხატვრული ლიტერატურის ნიმუში, რომელიც მოგვიტანეს ჩვენმა მეგობარმა მწერლებმა და ავტორებმა: ცირა პიტიურიშვილმა, მაია კარსელმა, ნათელა გოხელაშვილმა, მარიკა ორჯონიკიძემ, მაია მიქაიამ, დავით ჭელიძემ, ლელა თოთაძემ, გიორგი კაკაბაძემ, მაია ცერცვაძემ, ივანე ჯაფარიძემ, ლანა მანველმა“, – აღნიშნა თამარ შაიშმელაშვილმა.

წარმოდგენა, რომელიც მოამზადა მასწავლებელმა მარინა პატარქლიშვილმა, სკოლის დირექტორის – მარინა ათანელიშვილის ორგანიზებით და თანადგომით გაიმართა.

სკოლას სტუმრად ჰყავდა სიღნაღის გამგებისა და რესურსცენტრის წარმომადგენლებიც.



თბლიუს

მაჩინა ბობოცაშვილი



მარინა გოგოლაშვილმა დაამთავრა თხუ-ს უურნალისტიკის, ქართული და ფრანგული ფილოლოგიის ფაკულტეტები. მუშაობდა თელავის რაიონის გაზეთ „ალაზნის განთიადის“ განყოფილების გამგედ, იყო სიღნაღმი გამომავალ გაზეთ „მერანისა“ და საკრებულოს ბიულეტენ „პირველი ნაბიჯის“ რედაქტორი, გაზეთების – „ვერსიისა“ და „დილის გაზეთის“ კორესპონდენტი.

თარგმნის ფრანგული და რუსული ენებიდან. გაზეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ (რედაქტორი ვაჟა თოარაშვილი) გამოქვეყნებული აქვს ფრანსუაზ საგანის მოთხოვა „გამოსათხოვარი წერილი“ (Lettre d'adieu) შატობრიანის, ვიქტორ პიუვოს, უკა პრევერის, არტურ რემბოს, უკა ბრუნის,

პოლ ვერლენის, უორუ შეადესა და სხვა ფრანგი პოეტების თითო ლექსი. მისი თარგმანები განთავსებულია ლიტერატურულ საიტზე.

ამჟამად თანამშრომლობს უურნალ „გზაში“.



* * *

მომწონს, რომ ჩემით არ ზართ სნეული,
მომწონს, რომ თქვენით არც მე ვარ ავად.
და არასოდეს გამოგვეცლება
ფეხთა ქვეშ მიწა, რომელზეც ვდგავართ.
რომ შემიძლია, ვიყო გიუმაფი,
არ ჭყირდებოდეს სიტყვით თამაში,
რომ არ წამლეკავს ტალღა სიწითლის,
არ აღმოვჩნდები მდარე დრამაში
მაშინ, როდესაც ჩვენი ხელები
უცებ მსუბუქად შეეხებიან;
მომწონს, გულგრილად როცა გიცქერით
სხვა ქალის მიმართ ასე ვნებიანს.
არ მემუქრებით, ჩემი განწმენდა
გენის ცეცხლით რომ მოხერხდება;
თქვენ რომ არ გკოცნით და ამ სურვილით
ჩემი სხეული რომ არ ხელდება.
რომ არ გამძიმებთ სახელი ჩემი, –
სახელები ხომ ნაზად ტყუიან. –
და ჯვრისწერის უამს ტაძრის კედლებში
ჩვენთვის არა უღრუს ალილუია!
მადლიერი ვარ, რადგან გიყვარვართ,
გიყვარვართ ისე, თავად არ იცით,
და მშვიდზე-მშვიდი დამეტების წინ
უჩვენერთოდ დგება დაისი.

ერთად არ გვათბობს მზე მოჩახახე,
თავს არ დაგვნათის მთვარე უელი,
ვაგლახ, რომ თქვენით არა ვარ ავად!
ვაგლახ, რომ ჩემით არ ზართ სნეული!

მაჩინა ცვალევა

Мне нравится

Мне нравится, что вы больны не мной,
Мне нравится, что я больна не вами.
Что никогда тяжёлый шар земой
Не упливёт под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной-
Распущенной – и не играть словами,
И не краснеть удущливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.
Мне нравится ешё, что вы при мне
Спокойно обнимаете другую
Не прочите мне, в адово огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное моё, мой нежный, не
Упоминаете ни днём, ни ночью веус
Что никогда в церковной тишине
Не пропоют над нами – Аллилуя!
Спасибо Вам и сердцем и рукой,
За то, что вы меня-не зная сами!-
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши не-гулянья под луной,
За сольнце не у нас над головами,
За то, что вы больны –увы! -не мной,
За то, что я больна –увы! – не Вами!

P.S. ლექსი ეძღვნება მავრიკ მინცს, პოეტის დის, ალინა ცვეტაევას, მეუღლეს.

ლექსები სონეჩკას

გაზაფხულზე მოგვიყევი, ბები! –
ეხვევიან პატარები გარს.
მოხუცი კი, სევდით სავსე ქალი,
თავის ქნევით შემოხურავს კარს,
– გაზაფხული – ცოდვით სავსე!
– გაზაფხული – შიშით მავსებს!
იქნებ გვითხრა სიყვარულზე რამე?! –
ყრმა, ნამცეცა, მიუმღერებს ქალს,
მოხუცი კი, ოხვრითა და ახით,
მოლაპლაპე ცეცხლს უშტერებს თვალს:
– სიყვარული – ცოდვით სავსე!
– სიყვარული – შიშით მავსებს!
და მას შემდეგ
ყოველ ცისკრის უამს,
ეზო უსმენს,
ყრმის უცოდველ წმას;
– სიყვარული – ცოდვით სავსე!
– სიყვარული – შიშით მავსებს!

* * *

სარკეს ჩავცერი დაჟინებით,
სარკე ბნელია.
მსურს, დავინახო, რა იღუმალი
გზები გელიან.
სად შეისვენებო, სად გექნებათ
თავშესაფარი?
ხომალდის ანძა, გემბანზე თქვენ,
სხვა არც ვინ არი...
მატარებელი მიაპობს ველს,
მის კვამლში გხედავთ.
სევდიან მიმწუხრს გაჩქარებით
სად მიქრით ნეტავ?
საღამოს ველზე ქვითინებს ცვარი,
სხედან ყვავები...
ჯვარი გწერიათ, ოთხსავ კუთხივ,
სალოცავების!

* * *

– სად გაქრნენ გედები? – წავიდნენ შორს.
– ყორნები? – აქ დარჩნენ, ეძებენ მმორს,
წერონი იცავენ გედების ფრთებს
და დასაბრუნებლად ელიან დროს.
– სადაა მამა? – სიზმრების ზღვაში,
მისკენ გაგაფრენს ზმანების რაში,
მიენდე, გაჩვენებს გედებს დონზე, –
ერთი ჩემია, ფრთები აქვს მარმაშის.

Стихи к Сонечке

Ты расскажи нам про весну! –
Старухе внуки говорят.
Но, головою покачав,
Старуха отвечала так:
– Грешна весна!
– Страшна весна!
Так расскажи нам про любовь! –
Ей внук поёт, что крфше всех.
Но, очи устремив в огонь
Старуха отвечала: – Ох!
Грешно любовь!
Страшна любовь!
И долго-долго на эаре
Невинность пела во дворе:
– Грешна любовь!
– Страшна любовь!

* * *

Хочу у эеркала, где муть
И сон туманяющий,
Я выпытать-куда Вам путь
И где пристанище.

Я вижу: мачта корабля,
И вы — на палубе...
Вы—в дыме поезда. Поля
В вечерней жалобе...

Вечерние поля в росе,
Над ними — вороны...
Благославляю Вас на все
Четыре стороны.

* * *

– Где лебеди? – А лебеди ушли.
– А вороны? – А вороны остались.
Куда ушли? – Куда и журавли.
Зачем ушли? – Чтоб крылья не достались.
– А папа где? – спи, спи, за нами сон.
Сон на степном коне сейчас приедёт.
– Куда возьмёт? – на лебединный Дон,
Там у меня-ты знаешь? – белый лебедь.

* * *

* * *

ჩამოგაშორებ ცას და მიწას, სადაც კი მზეა,
რაღან აკვანი ჩემი – ტყეა და საძვლებ ტყეა.
მყარად ვერ ვდგავარ ცალი ფეხით დედამიწაზე.
მე ვძლერი შენზე, რომ ამქვეყნად ერთი გიწამე.
ჩამოგაშორებ ყველა ღამეს და ყველა დროებს,
გადაგავიწყებ მჭრელ მახვილებს და
ოქროს ღროშებს.
დაგამტვრევ ბოქლომს, პარმალიდან
გავყრი ქოფაკებს, –
ამას ძალური ერთგულება მაღლაპარაკებს.
გაქციე ჩინით არცვის საქმროდ,
მინდა, დარწმუნდე,
გადამწყვეტ კამათს ვერ მომიგებ,
გიჯობს, დაღუმდე!
თვით იაკობი იდგა ჩემს წინ, შენ გენაცვალე,
და თუ ღმერთი ვარ, ეს სამყარო შენში გავცვალე!
ვერ შევძელ, შენთვის დამეკრიბა ხელები გულზე
ო, დაწყევლილო! საკუთარ თავს
რა რწმენით უმზერ.
ორი ფრთა გაქვს და ეთერს მიღმა
როგორ დაგმალო?!

შენთვის აკვანი და საფლავი არის სამყარო.

მეგობარი ქალი

ამ მოალერსე ზავერდის პლედქეშ
გუშინდელ ხილვას ვუხმობ ვნებული.
და ეს რა იყო? მაინც ვინ დარჩა
გამარჯვებული?
თავიდან ვხარშავ ფიქრში ყველაფერს,
იმ განცდით ტანჯვას ხელახლა ვბედავ,
რაღან არ ვიცი, ეს სიყვარული
იყო კი ნეტავ?
ვინ ნადირობდა? ვის დარჩა დავლა?
ეშმაკეულად ჩახლართულია.
როგორ მიხვდება ციმბირის ზვადი
მას, რაც რთულია?!

ამ თავაწყვეტილ ორთაბრძოლაში
ვინ გაიმარჯვა შემართული ხმლით?
ან ვისი გული – ჩემი თუ თქვენი,
ქროდა ოთხახმით?

და ეს რა იყო, მაინც რა იყო?
რა მენატრება და რაზე ვწუხვარ?
ახლაც არ ვიცი, გამარჯვებული
ნამდვილად მე ვარ?

Я тебя отвоюю у всех эемель, у всех небес
Оттого что лес моя колыбель и могила-лес.
Оттого я на эемле стою – лишь одной ногой.
Оттого, что я о тебе спою – как никто другой.
Я тебя отвоюю у всех времён, у всех ночей,
У всех золотых знамён, у всех мечей.
Я ключи закину и псов прогоню с крыльца.
Оттого, что в земной ночи я вернее пса.
Я тебя отвоюю у всех других – у той одной,
Чине будешь ничей жених, я – ничей женой,
И в последнем споре возьму тебя – замолчи!–
У того, с которым Иаков стоял в ночи!
Но пока тебе не скрещу на груди персты,
О проклятие! – у тебя останешься – ты:
Два крыла твоих нацеленные в эфир,
Оттого что мир – твоя колыбель

и могила-мир!

Подруга

Под лаской плюшевого пледа
Вчерашиий вызываю сон.
Что это было? – чья победа? –
Кто побеждён?

Всё передумываю снова
Всем перемучиваюсь вновь.
В том, для чего не знаю слова,
Была ль любовь?
Кто был охотник? – Кто-добыча?
Всё дьявольски –Наоборот!
Что понял длительно мурлыча
Сибирский кот?

В том поединке своеволий
Кто, въчей руке был только мяч?
Чьё сердце – Ваше ли, моё ли
Летело вскач?
И всё- таки – что ж это было?
Чего так хочется и жаль?
Так и не знаю: победила ль?
Побеждена ль?

P.S . ლექსი ეძღვნება პოეტის მეგობარ ქალს, სოფია პარნოკს.

მონოლოგი / რეკვიემი

თვალს მიეფარა უკვე რამდენი ღრმა
უფსკრულის პირლია შორეთს,
დადგება დღე და ბედისწერა დედამიწას
მეც განმაშორებს.
ჩემი თვალების მწვანე ზავერდს, ხმის სინაზე,
თმის ოქროს ნამქერს,
ჯერ პოეზია გააფერადებს, შემდეგ ყინვა
მოამინანქრებს.
და გაგრძელდება არსობის პურით გაჯერებულ
მიწაზე ყოვნა,
მაგრამ უჩემოდ. ჩემს არსებობას დაერქმევა
ცის ქვეშ არყოფნა –
ასე ცვალებადს, როგორც იურს ბავშვის სახეზ,
ხანმოკლედ ბოროტს,
მე – ასე სულსწრაფს, სამართლიანს – ეგებ,
არც ასეთს – ზედმეტად გოროზს.
მე – შეყვარებულს ღროზე, როცა ბუხარში
შეშა იქცევა ნავლად.
ვიოლონჩელო, უღრან ტყეში კავალკადის
გულგრილად ჩავლა.
სოფლის ტაძარში სევდიანად რეკებ ზარები.
მიწაზე ვწევარ,—
მიხუტებს გულში, ასე ნამდვილს და
ასე ცოცხალს,
ნუთუ ეს მე ვარ?!
და მე, არმცოდნე არაფერში არაფრის ზღვარის,
მოგმართავთ ყველას –
უცხოს, ჩემიანს – მოწიწებით გთხოვთ,
რომ გიყვარდეთ
და ვითხოვ რწმენას!
გიყვარდეთ, რადგან ხშირად მიპყრობს
უძირო სევდა,
თუმცა ვარ ოცის.
მე ვალად მაწევს მიტევების გარდუვალობა
და ეს მაოცებს.
გიყვარდეთ ჩემი თავაწყვეტილი სინაზისა
და თამაშისთვის,
სულსწრაფობისთვის, სიმართლისთვის,
სიამაყისთვის
და კიდევ რისთვის?
გეტკინებათ მერე გულები,
როცა ერთ დღეს აღვესრულები!

Монолог /Реквием /

Уж сколько их упало в эту Бездну,
Разверстую вдали!
Настанет день, когда и я исчезну
С поверхности земли.
Застынет всё, что пело и боролось
Сияло и рвалось,
И зелень глаз моих, и нежный голос,
И золото волос...
И будет Жизнь с ее наущным хлебом
С забывчивостью дня.
И будет все – как будто бы под небом
И не было меня!
Изменчивой, как дети в каждой мине
И так недолго злой,
Любившей час, когда дрова в камине
Становятся золой.
Виолончель и кавалькады в чаще
И колокол в селе...
-Меня, такой живой и настоящей
На ласковой Земле!
К вам всем – что мне ни в чём
Не знавшей меры
Чужие и свои?! –
Я обращаюсь с требованьем веры
И с просьбой о любви.
И день и ночь письменно и устно:
За правду да и нет,
За то, что мне так часто – слишком грустно
И только двадцать лет.
За то. Что мне прямая неизбежность –
Прощение обид.
За всю мою безудержную нежность
И слишком гордый вид.
За быстроту стремительных событий,
За правду, за игру...
Послушайте! – Ещё меня любите
За то, что я умру.


რუსულიდან თარგმნა მარინა გოგოლიაშვილმა

მანანა ლემბაძე



ხეების დარგვა

ერთიღა დაგვრჩა – მითის გორგალი.
დედაჩემს ახსოვს ის დღე, როდესაც
ბავშვობაში ნაძვს გადაახტა.
ახლა ის ნაძვი ცად აზიდულა
და დაკყურებს ქვის სახლს, რომელშიც
ჯერ კიდევ ცხოვრობს დედაჩემი.
მისი ნათელი, წარსული დრო ამ ხითაა
გამოხატული, მაღალი ნაძვი, –
ქარს და ფრინველებს რომ ექიშპება.
თავისსავე ჩაყრილ ხეხილის ბაღში,
სადაც მხოლოდ ტოტებშეჭრილი და
ფუტურო ხეები
დარჩა, მოხუცი გლეხი დადის
ბებრული, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით.
შინდი, დარგული ჩემი მობის აღსანიშნავად,
აპრილში უხმოდ იფეთქებს და აყვავდება.
ჩვენ ყოველ წელს ვიხსენებთ ხოლმე
მის ამბავს: წვიმიანი დღე და ყავარჯენზე
დაყრდნობილი უღონო ნერგი.
სანამ ცხოვრებას დავიწყებდით ჩვენს წილ მიწაზე
მე და ცოლმა მეტრიანი ორი ნაძვი გადმოვრგეთ –
ჩვენს სახლს პირქუშ დარაჯებად
მწვანე გნომები დავუყენთ. აქედან ერთი
აბზინდასაგით გაიცრიცა და
კიდეც მოკვდა გაზაფხულზე,
ხოლო მეორემ – გაიხარა. და ის დღეც მოვა,
როცა მხრებს გაშლის იმ სივრცეში,
რომელიც ჩემი
აღარ იქნება. ზანტად ჩამოჰყრის ბანჯგვლიან
ტოტებს, რომ თავისსავე გაფისულ მუცელს
კალთასავით გადააფაროს. ვთქვათ,
კვლავ დავბრუნდი –
მაგრამ ბებერი, გადამთიელი, გაოცებული
ვნახავ ჩემი და ჩემი ცოლის მოუსვენარ, გარდასულ
დღეებს გაუდგამო ფესვი იმ ამბის მსგავსად,
გამუდმებით რომ ჰყვებიან მთელ ქვეყანაზე.



ზოგ ავლიანი

Planting Trees

Our last connection with the mythic.
My mother remembers the day as a girl
she jumped across a little spruce
that now overtops the sandstone house
where still she lives; her face delights
at the thought of her years translated
into wood so tall, into so mighty
a peer of the birds and the wind.

Too, the old farmer still stout of step
treads through the orchard he has outlasted
but for some hollow-trunked much-lopped
apples and Bartlett pears. The dogwood
planted to mark my birth flowers each April,
a soundless explosion. We tell its story
time after time: the drizzling day,
the fragile sapling that had to be staked.

At the back of our acre here, my wife and I,
freshly moved in, freshly together,
transplanted two hemlocks that guarded
our door

gloomily, green gnomes a meter high.
One died, gray as sagebrush next spring.
The other lives on and some day will dominate
this view no longer mine, its great
lazy feathery hemlock limbs down-drooping,
its tent-shaped caverns resinous and deep.
Then may I return, an old man, a trespasser,
and remember and marvel to see
our small deed, that hurried day,
so amplified, like a story through layers of air
told over and over, spreading.

ქართული ხავასი

ქეთევან ჯავახიძე დაიბადა 1985 წლის 8 მარტს, თბილისში. 2002-2007 წწ. სწავლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ხაზა, სახვითი ხელოვნება და კომპიუტერული გრაფიკის“ სპეციალობით, რომელიც „წარჩინებით“ დამთავრა. სტუდენტობის პერიოდში იყო „ფიროსმანის“ სახელობის სტიპენდიანტი. 2013 წლიდან არის მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების წევრი. 2015 წლიდან არის საქართველოს მხატვართა ეროვნული კავშირის წევრი. მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში.



ქეთევან ჯავახიძის ნატიფი სახისმეტყველება

გურამ ცერცვაძე, საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების თაგმულომარე:

„ქეთევან ჯავახიძე თავისი შემოქმედებითი მრწამსის ერთგული ახალგაზრდა მხატვარია. მხატვრული ოსტატობითა და თავისებური გამოშესხვალობითი სიღრმით გამორჩეული ფერწერული ნამუშევრებით წარმატებით მონაწილეობს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთის ხელოვნების მოყვარულთა კერძო კოლექციებში“.

ნანა გოგელია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფ. კურატორი:

„ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრის ქეთევან ჯავახიძის შემოქმედება საინტერესო და მრავალსახოვანია. იგი გამოირჩევა ინდივიდუალიზმით, დახვეწილი მხატვრული სტილით, თემატური სპექტრის მრავალფეროვნებით. მისი მსოფლმხედველობა და კონცეპტუალური აზროვნება სიმბოლურია, ერთგვარად მისტიკურიც. პირობითი გამოშესხვალობითი საშუალებებით და დეკორატიული ელემენტებით თითქოს ზღაპრის სიუჟეტებისკენ მივყავართ. თუმცა მოტივები ცხოვრებისულია და ყოველდღიურობის ალეგორიულ სახეს იძენს. ფერისა და ხაზის ფაქტზი მონაცვლეობით ძერწავს სხეულის ფორმას. ოსტატურად გადმოსცემს განწყობილებას.“

ფერწერულ ტილოებზე ემოციური პლასტი გაძლიერებულია და ვხედავთ მხატვრის მდიდარ, შინაგან სამყაროს. სინატიფე და ამაღლებული განწყობილება ახასიათებს მის სახისმეტყველებას. ქეთევან ჯავახიძე ნაყოფიერად მუშაობს, არაერთ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იმედი გვაქვს, რომ კვლავაც ახალი ორიგინალური ნამუშევრებით გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას.“

იულია რიბაკოვა, გალერეა „არტ-ლიგას“ კურატორი, ნონკონფორმისტული ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო თანამშრომელი:

„ახალგაზრდა მხატვარი ქმნის სიურეალისტურ ნამუშევრებს დეკორატიული ელემენტებით. იგი ქალურობის თემას მიმართავს, როგორც შემოქმედებისა და აღმაფრენის ნამდვილ საფუძველს“.



ქოთი ლუსი

ახბა ლებალი

შენ ხარ!

შენა ხარ ჩემში, ჩემს სხეულში,
სულში, ოთახში
და როგორც მთვარე გარიერაუზე,
მაინც მარტო ვარ,
დაგეძებ ყველგან და გეძახი,
როდის მოხვალ შინ,
შინ ანუ გულში, ჩემი გულის
ბატონ-პატრონად!..

ფერი წაართვი მონა ლიზებს,
სიქსტის მადონებს,
მე მინდა შენგან ეს ფერები
მოვიყაჩალო,
გროშად არ მიღირს დრო და წლები,
რაც მოვანდომე,
შენს აღმოჩენას –
სიყვარულის
უჭინობ ყაყაჩოს!..

თუნდ იყოს გრძნობა ვერ ახსნილი,
სიტყვა – ვერთქმული,
მზე რომ მოწყვიტო, კიბე არა,
გული სჭირდება,
შენ წევხარ გვერდით თეთრი, როგორც
თოვლში
თეთნულდი,
გათენდება და უშენობა
გამიჭირდება!..



„მონატრება“
მხატვარი ვასილ ბოსტაშვილი

დეივინგი

მაჩინა ბვილავა



გმირთა სავანე

ყველას თავისი სამშობლო უყვარს,
მისი მთა-ბარი ეამაყება,
ფარ-ხმალით ვიცავთ მიწას სანუკვარს,
მტრის სისხლმა ზეცა წითლად გაღება.
რა შეედრება აქაურ ხედებს,
აქაურ მიწას, ან აქაურ ცას,
იმ ვაჟკაცების ჟინი გვახელებს,
ივერია რომ სისხლით დაუცავს.
მე მიყვარს მისი ყოველი მხარე:
ქართლი, მერეთი, რაჭა, აჭარა,
ჩვენ ბრძოლის ჟინი როდი გვახარებს,
სისხლით დაგწურეთ ღვინო – ხვანჭკარა!
ღირსება – გმირის, გული – ხავერდის,
მანკიერებებს კი არ მაღავენ,
გვწყალობს სიონი და ალავერდი
ჩვენი სილალე და სიალალე...

* * *

„მე შემოგხედავ ერთგული თვალით,
რომლის სიღრმეშიც სინდისი მოჩანს“,
ბუხრიდან თუ არ ამოდის კვამლი,
კოცონის ღელვა მიწყნარდა, მორჩა...

თავშესაფარი აღარ აქვთ მერცხლებს,
ჩამოუნგრიათ ზამთარმა ბუდე,
მეც გულში ვიკლავ სუსხის ნაპერწკლებს
და ეს რომანიც სჯობს, რომ დასრულდეს...

ცალივან სხალაძე

ქეთევან ცხადაძე დაიბადა 1996 წლის 29 დეკემბერს, ქალაქ ზესტაფონში. 2003 წელს შევიდა ზესტაფონის დამოუკიდებელ სკოლა „ანაბასისში“, რომელიც 2014 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე. უყვარს მხატვრული ღილერატურა. მისი ღუშები ქვეყნდება პირველად.



* * *

სიტყვების თამაშის სუფრას გავუძღვები, დღეს მე ვიქები ლექსებთან თამადა, ერთი რითმიანი სასმისი მომაწოდეთ, დავითვრები და კაეშანს გავფანტავ. მერე მოჰყვებოდა მშვიდობა სამყაროს, მერე აღბათ უფრო გრძნობამორული ქვეყნას დაგილოცავ, ასე, რომ ვამყობ. ვგრძნობ ნელა რითმების გრადუსი მედება, თავი დამიმონა, გულლიად თქვი რამე მე კი ავდგები, უკვე მერამდენედ... ვიდაც მეჩხებება – რაღას დაგვტანჯეო?! ვითომ სიმორცხვით და მაინც გულწრფელობით, სახელს ვახსენებდი შენსას სახემცინრად, ჩუმად ნათქვამ სტრიქონს, სიტყვის უგემობით, ხმამაღლა გავატანდი დარდის მაღენიავს. დიდი მონდომებით, მეტად შევამკობდი, ეპილოგის შემდეგ უნდა დამეძინა, არ დავიღლებოდი ღერძით შენათრობი, რომ არ ეყვირათ და რომ არ დაეცინათ...

ქალი ქარში

მდუმარებით მიდიოდა ქალი ქარში, გასცემოდა მზის სხივებს და მთას... გაზაფხული იფრქვეოდა ქალის თმაში, თუმცა ქალი შემოდგომას ჰგავს... ცხრათვალა მზეს გაუყარა თვალი-თვალში, მზე დაბრმავდა, ეფარება წყალს. დაბრუნდება, ისევ წავა ქალი ქარში, გული ისევ სევდას უღებს კარს, სილამაზე ისევ ყველას ხვდება თვალში,

მაგრამ ქალი კვლავ არიდებს თავს. ზღვის ნაპირზე მოაბიჯებს სველ ქვიშაში, იდუმალ ქალს დარდის სკივრი აქვს, რა აფიქრებს? რა ატარებს ასეთ ქარში? ვხედავ, ცრემლი როგორ სწყდება თვალს. ...და ამაყად მოაბიჯებს ქალი ქარში, მზის სხივები გადაყლაპა ზღვამ, გაზაფხული კვლავ იფრქვევა ქალის თმაში, ქალი ისევ შემოდგომას ჰგავს...

* * *

ქარში, გრიგალში...

კაბის შრიალში...

ღამის გმინვაში...

კოცონის ალში...

ღრუბლების მარშში

მზე წვება ზღვაში...

კარავში, მთაში...

უზარო კარში

ჩანს თეთრი ბავშვი

ცრემლებით თვალში,

ბზარი აქვს ხმაში...

ქუხილი ტაშის...

ჩატეხილ მინაში

სევდა ჩანს ნიღაბში,

უმზეო დილაში

სველდება წვიმაში...

ქარში, გრიგალში,

ამ კაბის შრიალში,

შევედი ჩიხში და...

გავები რითმაში...

თეატრი

ლილი ბალინიძე

კიდევ ერთხელ პანტომიმის თეატრის შესახებ

ჩვენი პანტომიმის თეატრი უკვე ორმოცდათი წლის გახდა და ეს წელი მისი დამარსებლის, მსოფლიოში ცნობილი და სახელგანთქმული, ლეგენდარული ამირან შალიკაშვილის წელიწადიცაა. მას 75 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავაც ახალგაზრდული შემართებით მუშაობს და იბრძვის, რათა მისმა თეატრმა წარმატებით იარსებოს.

პანტომიმა ხელოვნების ისეთი სახეობაა, სადაც სიტყვა გამორიცხულია და მსახიობი ადამიანთა ცხოვრებაზე მხოლოდ მოძრაობის საშუალებით მოგვითხრობს. პანტომიმა მიჩნეულია თეატრის განვითარების საწყისად. ეს ხელოვნება საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და გარკვეულ კვალს ტოვებდა ყველა ერის თეატრალური კულტურის განვითარებაში... 1961 წელს საქართველოს სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში შეიქმნა პანტომიმის ჯგუფი ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

1965 წელს მოხდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტი: 13 მაისს შედგა პირველი სპექტაკლის – „ესეც ასე“ პრემიერა და ა. შალიკაშვილი შეხვდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ პანტომიმის ოსტატს, აწ განსვენებულ მარსელ მარსოს.

მრავალწლიანი დაუღალვი შრომის შედეგად შეიქმნა პატომიმის თეატრის მნიშვნელოვანი სპექტაკლები, შედევრები: „ოცნება და სინამდვილე“, „პოემა ვაზზე“, „ქრისტე“, „წმინდა გიორგი“, „ტერენტი გრანელი“, „კრიმბნჭული“ და სხვა.

1971-1975 წლებში თეატრმა გასტროლებით მოიარა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკა (115 ქალაქი), ასევე – თურქეთი, გერმანია, პოლონეთი, ესპანეთი, მალტა, კვიპროსი, საბერძნეთი, სირია და სხვა მრავალი.

1976 წლის 1 იანვარს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული პანტომიმის თეატრი გადაკეთდა საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრად. ეს იყო პირველი პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეში.

თეატრი განაგრძობს სისხლსავსე ცხოვრებას. იდგმება ახალ-ახალი სპექტაკლები. „თეატრის მთავარი მიზანია ქართული ნაციონალური პლასტიკის აღორძინება, მისი დამკვიდრება და გატანა მსოფლიოს არენაზე. ადრე მათზე წერდნენ, რომ ეს არის პლასტიკის რაინდების თეატრი. ამ ტიტულს თეატრი ღირსეულად ატარებს“, – წერს ერთგან ამირან შალიკაშვილი.

პანტომიმით დაინტერესებული მაყურებლისთვის და მკითხველისთვის ერთობ საგულისხმო საჩუქარია ამირან შალიკაშვილის წიგნი „პანტომიმა – დუმილის პოეზია“ (თბ. 1999 წ.), რომლის წინასიტყვაობაშიც ნათქვამია: „ავტორი მკითხველს სთავაზობს მსოფლიო პანტომიმის ისტორიის მოკლე მიმოხილვას და მოკლედ გვაცნობს ქართული პანტომიმის სახელმწიფო ისტორიის დაარსების იმ საინტერესო გზას, რომელიც მან განვლო თვითმოქმედი სტუდიიდან პროფესიულ სახელმწიფო თეატრამდე.“

ამ წიგნში გვხვდება თავები: „პანტომიმის უძველესი საწყისები“, „პანტომიმის ტრადიციები საქართველოში“, „პლასტიკური წარმოსახვა“, როგორც ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისება“, „ევროპული პანტომიმა – იტალია, ინგლისი და საფრანგეთი, „რუსული პანტომიმა“, „პანტომიმის ხელოვნება – დუმილის პოეზია“, „პანტომიმის მსახიობის პლასტიკური აღზრდა“, „პლასტიკა და მისი ეროვნულობა“, „პანტომიმის მსახიობის ბუნება“, „რეჟისურა, მუსიკა, მხატვრობა პანტომიმის თეატრში“, „პანტომიმის ხელოვნების განვითარება სხვადასხვა უანრის თეატრებში“, „პანტომიმის ლიტერატურული მასალის შესახებ“ და სხვა.





წიგნს თან ერთვის საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო ოეატრის მსახიობთა სია (1965–2000) ფოტომასალით და უპრიანი იქნება, მოვიხსენიოთ ის მსახიობები, რომელთა ბაზაზეც დაარსდა პანტომიმის ოეატრი და რომელთა უძრავლესობაც ახლა პედაგო- გიურ საქმიანობას ეწევა, ან სხვაგან იყენებს თავის ცოდნას. პანტომიმის ოეატრმა არაერთხელ გაიარა თაობათა ცვლა, ამჟამად კი იგი განახლებული შემ- დაგენლობით მუშაობს, ხოლო პირველი მსახიობები არიან: კ. მებუკე, გ. ოსეფაშვილი, ზ. გუგუშვილი, ზ. კიკონიშვილი, გ. გომურაშვილი, ნ. მეფარიშ- ვილი, გ. სიფრაშვილი, თ. ჯაჯანიძე, ნ. ჯაჯანიძე, ე. ბერიაშვილი, თ. შანშიაშვილი, ნ. შატბერიშვილი, პ. ციქურიშვილი, ა. საყვარელიძე, ა. ჯორჯაძე, მ. გურჩიანი, რ. გრიგოლია, ი. რომანოვი და სხვანი და სხვანი, ყველას გრი ჩამოგთვლით.

პანტომიზის თეატრის რეპერტუარი ამჟამად განახლებულია და უაღრესად თანამედროვეა. ყოველ წელიწადს რამდენიმე პრემიერით იქსება, მაგრამ არის ისეთი სპექტაკლებიც, რომელთაც დროს გაუძლეს და დღესაც იმსახურებენ მაყურებლის ოვაციებს („ოცნება და სინამდვილე“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „კრიმანჭული“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა). საერთოდ, ყველა სპექტაკლი თავისებურად საინტერესოა, მაგრამ საერთო ფონზე გამოირჩევა ა. შალიკაშვილის მიერ დადგმული ტრილოგია: „ქრისტე“, „ტერენტი გრანელი“ და „წმინდა გიორგი“. სამივე სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს ამირან შალიკაშვილი უძცროსი და უნდა ითქვას, რომ მისი სახით თეატრს საიმედო ცვლა და საიმედო მომავალი ჰყავს. იგი უზადოდ ფლობს პლასტიკის ენას.

ჩვენი პანტრომიმის თეატრის და ვიტყოდით, ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაშიც მოვლენა იყო ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტრომიმის საერთა-

შორისო ფესტივალი – 2015 (13.05 – 22.05),
რომელიც ჩვენა მერიის კულტურის განყოფილების
ხელშეწყობით ჩატარდა. ამ ფესტივალში მონაწ-
ილეობა მიიღეს გერმანელმა, იაპონელმა, სომებმა
შსახიობებმა, ხოლო საქართველოდან წარმომად-
გენელი იყო ა. შალიკაშვილის თეატრი, კახა
ბაკურაძის მოძრაობის თეატრი (დაარსდა 2001
წელს), ქუთაისის პატრომიძის თეატრი, თბილისის
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის
თეატრი „სხვენი“ (დამდგმელი რეჟისორი და მუსი-
კალური გამზორებელი გიორგი გომურაშვილი).

მაყურებელი გულთბილად შეხვდა თითოეულ
სპექტაკლს და სპექტაკლები სრული ანშლაგით
მიდიოდა. აქ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის ცნობილი
სახეები და სახელები ა. შალიკაშვილის პანტომიმის
თეატრისა, როგორიც არიან: ნინო ლორთქიფანიძე,
ვასო კი პაროიძე, მიშა ზაქაძე, სალომე ფილიშვილი,
ირაკლი ბიბილური, დავით შალიკაშვილი, ლუკა
ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, გიგი ლორია, შოთა
ქერაშვილი და სხვები.

ერთობ საინტერესო იყო ჩვენი უცხოელი მეგობრების გამოსვლები.

რაც შეეხება იაპონელ მიმის – მაკოტოს (მაკოტო ინოუ), იგი კაბუკის თეატრის წამყვანი მსახიობია, მსოფლიოში ცნობილი და დაფასებული, არაერთი ქვეყნის სცენაზე გამოსულა და არაერთი ჯილდო მიუღია. იგი მრავალმხრივი მსახიობია, მღერის და უკრავს რამდენიმე ინსტრუმენტზე. მან წარმოადგინა პანტომიმური ნოველა „Dojo -91“, რომელიც ეფუძნება კაბუკის თეატრის ყველაზე უფრო ცნობილ ამბავს. ეს არის ახალგაზრდა ბერის – ანჩინის და ახალგაზრდა ქალბატონის – კოპიმეს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია. თავისი პილიგრიმობის დროს ბერი ანჩინი ერთ სახლში დარჩა. ამ სახლში კიოპიმე (კხოვრობდა, რომელსაც შეუყარდა ახ-



ალგაზრდა ბერი, მას კი პილივრიმობის გამო არ შეეძლო სიყვარულზე სიყვარულით ესაუბრა მისთვის. ბერმა წასვლა გადაწყვიტა, რათა ცდუნება დაეძლია. ბოლოს მან მიაღწია მიზანს. თუმცა კიოპიმე მას მაინც ელოდებოდა, მაგრამ ანჩინი ქალთან აღარ დაბრუნებულა. ქალმა შენიშნა, რომ ბერი მას გაექცა. დასასრულს კი კიოპიმე დაიწყო ანჩინის დევნა და ტაძრიდან უკან სახეშეცვლილი დაბრუნდა. ანჩინიმ შენიშნა, რომ ქალი დასდევს და ქალისადმი ვნებისაგან დიდ, თეორ გველად იქცევა. იგი გაექცა ქალს, შეძლებ იქცა დიდ ზარად. ქალის ვნების ცეცხლმა დაწვა ქალიც და ბერიც.

მეტად საინტერესო იყო ერევნის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის გამოსელა, რომელმაც წარმოადგინა სპექტაკლი „შერანიკი“. წარმოადგენა დაფუძნებულია მე-13 საუკუნის დროინდელ სომხურ მიანიატიურაზე და აგბოულია იმდროინდელი ნათელი გმირების მოქმედებაზე. აქ აღწერილია მე-13 საუკუნის სომხეთის დედაქალაქ ანისის ყოველდღიური ცხოვრება. არუელ გამოსახულებებში იკვეთებიან გმირები. ახალგაზრდა ჯარისკაცი შერანიკი ეხმარება ლომს მშობიარობაში. ეს ლომი შემდეგში ხდება ანისის სიმბოლო. დედაქალაქის მცხოვრებლები ზეიმობენ ფესტივალს „ბარეკენდანს“ და ვერ ამჩნევენ მათი ქალაქის დასაპყრობად მაღლულად შემოპარულ მტერს. მღვდელი ცდილობს ახალგაზრდების გამოფხიზლებას, რომელნიც უდარდელად ცხოვრობენ და ერთობიან. მტერი ხიბლავს ანისის სიმბოლოს – ლომს და ანადგურებს ქალაქს. შერანი კი კლავს ლომს და ირჩევს სულიერ ცხოვრებას მღვდლის ხელშეწყობითა და თანადგომით. გამოსახულებები კვლავ გადადის მინიატიურებში.

საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრმა კი წარმოადგინა: „ტერენტი გრანელი“ (რეჟ. ა. შალიკაშვილი) და „Stop aids“ (რეჟ. დ. შალიკაშვილი). ორივე სპექტაკლმა მაყურებლის მქუჩარეოვაციები დაიმსახურა.

ფეტივალის ბოლოს გაიმართა მონაწილეთა დაჯილდოება და ფესტივალის დახურვა. ამ ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ გვყავს კაცი-ლეგენდა, პანტომიმის მეტრი, საქართველოს სახალხო არტისტი ამირან შალიკაშვილი და მისი საქმის ღირსული გამგრძელებელი მისი უმცროსი ვაჟიშვილი ამირან შალიკაშვილი უმცროსი, რომელთა ძალისხმევითაც ჩატარდა ეს ფესტივალი. ჩვენი პანტომიმის თეატრი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ადარ არიან მარსელ მარსო, ჩარლი ჩაპლინი, ჟან ბატისტ გასპარ დებიურო, ვლადისლავ ფიალკა, მაგრამ არის ამირან შალიკაშვილი (დმურთმა დიდხანს გვიცოცხლოს!). მისი თეატრი დღესდღეობით ათასგვარ გასაჭირო განიცდის და, პირველ ყოვლისა, შენობის საკითხია მოსაგვარებელი. ვუსურვებდით, რომ ეს პრობლემა წარმატებით გადაეწყვიტოს და თავისი დონის შესაფერისა შენობა მიეღოს. მისი მაყურებლები ხომ ასე ხშირად არიან უცხოელებიც და მათ სათანადო დახვედრა სჭირდებათ.

ზემოხსენებულმა ფესტივალმა საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. იგი, მართლაც რომ, მოვლენა იყო ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში და ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ მის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, რომელთაც არერთი ბედნიერი წუთი გგჩჩქეს. ასევე მაღლობა უნდა ვუთხრათ საფესტივალო ბუკლეტის შემდგენლებს, რადგან ჩვენ იგი მაღიან გამოგვადგა ამ წერილის დაწერისას.

მარა ასეული ასეცი დავსომა

განა ავთეაქს მომსირია –
„კაპუა“

ჰელი იავარეა –
უძრულ ჰაბასილია
ზოგიერთი

ცავარ გასაკ
[დადასი ზავარი] – 60


რიგორია ჰავიზედურეა
სახისადასა

რივარ ეპერა –
გირგი გირგარა ჟამინი

გიზა ერიდან
კარეგორია გვარია ჟამინი

გარე გვარევალი
ასალ ავარები

ლიკ ჩავარევიდა –
დარევაზი ცავარევადაზი
პირება: „კაცი აა ზავარია“



ძეგურა — გიბაფეულის ხევურა